დანართი №3

შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის -SBA ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა მოისწრაფიშვილი

წევრები:

დავით კუპატაძე

ლია ხარებავა

ია გელენიძე

ინგა კალანდაძე

ნონა კოკაია

გიორგი ევგენიძე

ზურაბ მესხიძე

ელისო საბაური

ბათუ ხურცილავა

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია -SBA**

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

საიდენტიფიკაციო კოდი: 406037550

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

დაწესებულების ავტორიზაცია

☐ დაწესებულების ავტორიზაცია (პირველადი)

■ დაწესებულების ავტორიზაცია (განმეორებითი)

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

ა.წ. 20-23 იანვარს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში - SBA სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრის დირექტორის MES 3 25 0001837868 ბრძანების შესაბამისად (25.12.2025) „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში შემოწმდა ავტორიზაციის დებულების 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის შესაბამისობა შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებისთვის: ფარმაცია, საექთნო საქმე, სკოლამდელი განათლება, ლოგისტიკა, კომპიუტერული ქსელი და სისტემები, ინფორმაციის ტექნოლოგია, საბაჟო საქმე (ქართულენოვანი), საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი), შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები და „ვებტექნოლოგიები (Front-endდეველოპმენტი)“.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ვიზიტამდე შეისწავლეს დაწესებულების მიერ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაცია, შეიკრიბნენ zoom-ის საშუალებით, განიხილეს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მასალების შესწავლის შედეგად წამოჭრილი საკითხები, შეიმუშავეს ვიზიტის დღის განრიგი. ვიზიტი შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიაში-SBA (მის: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N18-22) მანანა მოისწრაფიშვილმა, დავით კუპატაძემ და ლიკა ხარებავამ განახორციელეს 2026 წლის 20-23 იანვარს და შეისწავლეს ინსტიტუციური სტანდარტები, პროგრამების სტანდარტებთან შესაბამისობები კი დარგის ექსპერტებმა ზურაბ მესხიძემ, გიორგი წიკლაურმა და ინგა კალანდაძემ შეისწავლეს 2026 წლის 22 იანვარს, ხოლო, ბათუ ხურცილავამ, ია გელენიძემ, გიორგი ევგენიძემ, დავით კუპატაძემ და ელისო საბაურმა - 2026 წლის 23 იანვარს. ვიზიტი განხორციელდა დაწესებულებასთან შეთანხმებული დღის განრიგის დაცვით. ვიზიტის ფარგლებში მათ მიერ შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ჩატარებული იქნა ინტერვიუები პერსონალთან, დათვალიერებული იქნა ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რევიზირებული იქნა კოლეჯის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და მათი პრაქტიკაში განხორციელების მტკიცებულებები, ასევე, გადამოწმდა პროფესიული პროგრამის განხორციელებისთვის ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. დარგის ექსპერტები ვიზიტის ფარგლებში გაესაუბრნენ პროფესიულ სტუდენტებს, პროფესიული პროგრამების ხელმძღვანელებს და განმახორციელებლებს, ადმინისტრაციის წარმომადგენლებს, შეაფასეს პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური, მატერიალური და საგანმანათლებლო რესურსები, დაათვალიერეს მათი ფაქტობრივი მდგომარეობა, ფლობის დოკუმენტაცია, გაესაუბრნენ პრაქტიკის ობიექტების წარმომადგენლებს, შეიმუშავეს რეკომენდაციები.

ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ და საქმიან ვითარებაში, დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა ხელი შეეწყო ექსპერტებისთვის შეფასების პროცესისთვის საჭირო დოკუმენტაციისა თუ ინტერვიუების მონაწილეების მობილიზებით. 2026 წლის 23 იანვარს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაწესებულებას წარუდგინა პრეზენტაცია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შეჯერებული მიგნებების შესახებ.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორიზაციის ვიზიტის დასაწყისში კოლეჯის წარმომადგენლებმა ავტორიზაციის ექსპერტებს წარმოგვიდგინეს წინასწარ მომზადებული პრეზენტაცია, რომელშიც თავმოყრილი იყო ყველა ის მნიშვნელოვანი ინფორმაცია და მიღწევები, რომლის გაცნობამ გაადვილა სხვადასხვა დოკუმენტებში ასახული ინფორმაციის ერთ კონტექსტში აღქმა.

ასევე, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია იმის აღნიშვნა, რომ საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA არის თანამედროვე და ინოვაციური მიდგომების პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება საქართველოში, რომელიც მაღალი ხარისხის სწავლებითა და აქტიური პარტნიორული თანამშრომლობითაა ცნობილი. აკადემიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ხარისხის მართვასა და მუდმივ თვითგანვითარებას – ამ მიმართულებით აკადემიამ გასულ წელს წარმატებით გაიარა ENESAT22 თვითშეფასების პროცესი და დაიმსახურა ევროპული აღიარება, როგორც პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი საუკეთესო პრაქტიკის მქონე დაწესებულებამ. აღნიშნული მიღწევები ასახულია როგორც ეროვნული, ისე საერთაშორისო დონეზე: აკადემია აღიარებულია პროფესიული განათლების სრულყოფის ცენტრად (Excellence Center), არის ETF-ისა და EfVET-ის თემატური ქსელების აქტიური წევრი და მონაწილეობს ევროკავშირის „Union of Skills“და „Global Gateway“ ინიციატივებთან დაკავშირებულ რეგიონულ პროექტებში.

III. ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლების მოპოვებაც სურს დაწესებულებას საავტორიზაციო განაცხადით

პროგრამის სახელწოდება	პროგრამა ინტეგრირებული ზოგადი მოდულებით/ პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	პროგრამის განხორციელების ადგილი
ფარმაცია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
საექთნო საქმე	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
სკოლამდელი განათლება	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
ლოგისტიკა	პროგრამა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
კომპიუტერული ქსელი და სისტემები	პროგრამა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
ინფორმაციის ტექნოლოგია	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22

საბაჟო საქმე (ქართულენოვანი)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი)	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	პროგრამა არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	რეალურ სამუშაო გარემოში	კოოპერაციული	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
„ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“	პროგრამა ინტეგრირებული და არაინტეგრირებული ზოგადი მოდულებით	იმიტირებულ სამუშაო გარემოში	-	საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22

IV. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა	აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა	სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა
ფარმაცია	100	77	12	3
საექთნო საქმე	150	112	16	3
სკოლამდელი განათლება	120	121	10	2
ლოგისტიკა (ინტეგრირებული)	180	61	1	4
ლოგისტიკა		115	13	35
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (ინტეგრირებული)	180	90	4	2
კომპიუტერული ქსელი და სისტემები		90	10	7
ინფორმაციის ტექნოლოგია	30	29	0	0
საბაჟო საქმე (ქართულენოვანი)	60	49	5	7
საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი)	80	71	0	7
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	240	236	6	22

V. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

საქართველოს ბიზნესის აკადემიას - SBA დანერგილი აქვს დაგეგმვის პროექტული მიდგომა, რაც ექსპერტთა ჯგუფის მიერ აღიარდა საუკეთესო გამოცდილებად. აღნიშნული პროექტული მიდგომის ფარგლებში აკადემია უზრუნველყოფს სტრატეგიული მიზნების გარდაქმნას კონკრეტულ, გაზომვად და დროით განსაზღვრულ ინიციატივებად. ამ მიდგომის ფარგლებში სამოქმედო გეგმის მონათესავე აქტივობები ლოგიკურად ერთიანდება პროექტებში, რაც უზრუნველყოფს მათი განხორციელების ჰოლისტურობას, მიზნების უკეთ ინტეგრაციასა და საერთო ხედვის გაცნობიერებას ყველა ჩართული მხარის მიერ. თითოეული პროექტი ეფუძნება მკაფიოდ იდენტიფიცირებულ საჭიროებას, განსაზღვრულ შედეგებსა და პასუხისმგებლობებს, რაც ზრდის გამჭვირვალობას, რესურსების ეფექტიან გამოყენებას და ანგარიშვალდებულებას. პროექტული დაგეგმვა აკადემიას აძლევს მოქნილობას სწრაფად უპასუხოს შრომის ბაზრის, რეგულაციების და საერთაშორისო ტენდენციების ცვლილებებს, ხოლო პარალელურად უზრუნველყოფს ხარისხის უწყვეტ გაუმჯობესებას, ინოვაციების დანერგვას და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას. 2026 წლის სამოქმედო გეგმის 37 აქტივობა რვა პროექტშია გადანაწილებული.

საქართველოს ბიზნესის აკადემიას - SBA დანერგილი აქვს უნარების კონკურსები, რაც ასევე წარმოადგენს კარგ პრაქტიკას, რადგან ისინი უზრუნველყოფს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების პრაქტიკული კომპეტენციების შეფასებას რეალურ სამუშაო გარემოსთან მაქსიმალურად მიახლოებულ, მაგრამ უსაფრთხო პირობებში. საექთნო უნარების კონკურსი, რომელიც ექთნის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა, ეფუძნებოდა სიმულაციურ სცენარებს და შეფასდა გარე პრაქტიკოსი სპეციალისტებით დაკომპლექტებული კომისიის მიერ, რაც უზრუნველყოფდა შეფასების ობიექტურობასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას. აღნიშნული მიდგომა ზრდის სწავლის მოტივაციას, აძლიერებს ხარისხის კულტურას და წარმოადგენს მოდელს, რომელიც შესაძლებელია ეფექტიანად გავრცელდეს სხვა პროფესიულ პროგრამებზეც.

ნაწილი II: სტანდარტებთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება
1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
1.1) პსდ-ს მისია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

4) ადამიანური რესურსები	**☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
4.1) პერსონალის და პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
4.2) პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	**☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**	**☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება**
5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.2) საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
5.3) ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. პროგრამის/პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება	**საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
ფარმაცია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საექთნო საქმე	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სკოლამდელი განათლება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
ლოგისტიკა (მათ შორის ინტეგრირებული)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპიუტერული ქსელი და სისტემები (მათ შორის ინტეგრირებული)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ინფორმაციის ტექნოლოგია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საბაჟო საქმე (ქართულენოვანი)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
საბაჟო საქმე (ინგლისურენოვანი)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
„ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“ (მათ შორის ინტეგრირებული)	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

რეკომენდაცია I, III, IV და V სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არ დაფიქსირებულა.

რეკომენდაცია II სტანდარტთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად არ დაფიქსირებულა.

V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაცია I, III, IV და V სტანდარტებთან მიმართებით არ დაფიქსირებულა.

განმავითარებელი რეკომენდაცია II IV სტანდარტთან მიმართებით არ დაფიქსირებულა.

VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

საქართველოს ბიზნესის აკადემიის - SBA-ს წერილის N00003280 (19/02/2026) მიხედვით დაწესებულებას არსებითი ხასიათის შინაარსობრივი შენიშვნები არ გააჩნია.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს მისია და დასტურდება, რომ იგი შესაბამისობაშია „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ პროფესიული განათლების მიზნებთან. კერძოდ, აკადემიის „მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესის“ (SBA-REG-060) მიხედვით, 2024 წლის 05 აგვისტოს დირექტორის ბრძანებით შექმნილია აკადემიის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული გეგმების რევიზიის სამუშაო ჯგუფი, რომელმაც 2024 წელს განახორციელა მათი რევიზია. აკადემიის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრებისას აღინიშნა, რომ წარმოიქმნა რა სისტემური და ინსტიტუციური მასშტაბის ისეთი ახალი გარემოებები, რომლებიც ქმნიდნენ საფუძველს აკადემიის მისიის, ხედვის და ღირებულებების რევიზიისა და შეცვლისათვის.

მათ მიერ მოხდა ზემოაღნიშნული სამუშაების გატარება და დღეისათვის აკადემიის პროფესიული განათლების მიზნებთან მისიის შესაბამისობა უზრუნველყოფილია და იგი ახდენს არა მხოლოდ პროფესიული განათლების მიზნების ციტირებას, არამედ აკადემიის გუნდს ეს მისია სრულად აქვთ გააზრებული და საკუთარი როლი გაცნობიერებული.

საერთო ჯამში აკადემიის მისიაა ,, ... ვიყოთ მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების ჰაბი, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის“, მისგან გამომდინარეობს მათივე ხედვა ,,წარმოვადგენდეთ ორგანიზაციას, სადაც საზოგადოების წევრები და ეკონომიკური აქტორები პოულობენ ხარისხიან, მათ საჭიროებებზე მორგებულ, ხელმისაწვდომ და ინოვაციურ გადაწყვეტას პიროვნული, პროფესიული და ორგანიზაციული განვითარების საკითხებთან დაკავშირებით“ და თავიანთი საქმიანობის ფარგლებში განუხრელად იცავენ შემდეგ ღირებულებებს: ინოვაციურობა, სამართლიანობა, გუნდურობა, ხარისხი, ამბიციურობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ინდიკატორის 1.1.1.1 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;

2. აკადემიის მიერ წარმოდგენილი იქნა სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული განახლებული მისიის განმარტებები, რომელშიც აღნიშნულია, რომ დაწესებულება წარმოადგენს მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობების ჰაბს, სადაც სწავლის ნებისმიერ მსურველს შეუძლია იპოვოს სასურველი სერვისები და შესაძლებლობები, რასაც სთავაზობს აკადემია, ან მისი მრავლობითი პარტნიორი ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები. მათი განმარტებითა და ადგილზე ვითარების გაცნობით დასტურდება, რომ ეს შესაძლებლობები გულისხმობს როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური განათლების სერვისების მიწოდებას ან სხვა

პროვაიდერთა სერვისებზე წვდომას, თვითგანვითარების მიზნით რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, ინკლუზიურ გარემოს, პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტებითა და მარეგულირებელი აქტების შესაბამისად ყველა დასაშვები ფორმით: პირისპირ, დისტანციურად, ჰიბრიდულად. ასევე, მრავალფეროვან გარემოს ალტერნატიული მიდგომების, მეთოდების, სიახლეების, ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას, ღიაობასა და მიმღებლობას, რაც ასევე დასტურდება დაწესებულებაში ვიზიტისას გამოვლენილი გარემოებებითა და ინტერვიუებით. კოლეჯი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ინტერნაციონალიზაციის განსაკუთრებულ

შესაძლებლობებს, პროგრამებში, სადაც ეს შესაძლებელია, აქცენტირებს თანამედროვე გლობალური შრომის ბაზრის საჭიროებებზე და შესაძლებლობებზე, სთავაზობს სერვისებს საერთაშორისო სტუდენტებს, მუშაობს საქართველოს მოქალაქეებისათვის უცხოეთში განათლების მიღების შესაძლებლობების, უცხოელი მასწავლებლების, ტრენერების და პროფესიონალების ჩართულობის, აკადემიის სასწავლო და სხვა საქმიანობაში, თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერების ხელშეწყობის მიმართულებით საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების საფუძველზე, აქტიურადაა ჩართული საერთაშორისო პროექტებში და მიზნად ისახავს გლობალური მოქალაქის ჩამოყალიბების ხელშეწყობას;

აკადემია მრავალპროფილურია, მისი მისიაა ცხოვრებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში შესთავაზოს სერვისები და მისი სერვისები ორიენტირებულია არა მხოლოდ პროფესიის დაუფლებაზე, არამედ პროფესიულ განვითარებაზე მათთვის, ვინც უკვე პროფესიაშია და პროფესიის ცვლილებაზე. ასევე, პიროვნულ განვითარებაზე, რაც არაა აუცილებელი უკავშირდებოდეს შემდგომ დასაქმებას, არამედ პიროვნების თვითრეალიზაციას, თვითგამოხატვას, ჰობს და სხვა პიროვნულ ინტერესებს, რაც, დასტურდება მის მიერ ჩატარებული არაერთი ღონისძიების მტკიცებულებებითა და ინტერვიუებით.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.1.1.2 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;

3.შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს მისიიდან გამომდინარე სავსებით ნათლადაა ჩამოყალიბებული დაწესებულების ხედვა და ღირებულებები. დასტურდება მათ შემუშავებაში სხვადასხვა მხარის ჩართულობა და მათი ინტერესების ასახვა, ასევე, დაწესებულების ღირებულებები სრულად შეესაბამება მათ ხედვასა და მისიას.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.1.1.3 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;

4.შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებისა და საჯაროობის უზრუნველყოფის მექანიზმები გაწერილია "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესში" მე-3 და მე-4 მუხლებში (SBA-REG-060). აღნიშნულის შესაბამისად, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, დირექტორის ბრძანებით 2024 წლის 05 აგვისტოს შეიქმნა აკადემიის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული გეგმების რევიზიის სამუშაო ჯგუფი, რომელიც წარმომადგენლობითია და მოიცავდა დაინტერესებულ მხარეთა ფართო წრეს, რასაც ადასტურებს აკადემიის მიერ დანართი 4-ით წარმოდგენილი დოკუმენტები, მიმოწერები, ფეისბუქგვერდზე და ვებგვერდზე წარმოდგენილი ინფორმაციები, ინტერვიუები ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან, დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.1.1.4 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სტრატეგია 2020-2027 (2024 წელს რევიზირებული ვერსია) (SBA-REG-006);
- აკადემიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული გეგმის რევიზიის მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის დოკუმენტი;

- "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (SBA-REG-060);
- აკადემიის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული გეგმების რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- სენატის წევრებისა და პარტნიორ დამსაქმებლების უკუკავშირი, მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარებასთან დაკავშირებით;
- ვებგვერდი https://sba.edu.ge/mission-vision-values/;
- „სტუდენტის სამახსოვრო“;

- პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრების შესახებ ინფორმაცია;
- https://www.facebook.com/photo/?fbid=1215718493932914&set=pcb.1215756633929100 ;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება

1.2.1 პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (SBA-REG-060) განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის, წლიური დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომელიც წარმოდგენილი იქნა დანართი 3-ის სახით. დოკუმენტის გაცნობითა და ინტერვიუებით დასტურდება, რომ აკადემიაში სტრატეგიული დაგეგმვის საფუძველს წარმოადგენს დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები, რომლებიც წარმოადგენენ გრძელვადიან მიზნებს და ამოცანების ფორმულირების ორიენტირს. ასევე, წესი დეტალურად აღწერს პროცედურებს, პასუხისმგებლობებს, ვადებს და ანგარიშგების პრინციპებს როგორც სტრატეგიული, ისე სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისთვის.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.1.1 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;

2. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ში სტრატეგიული დაგეგმვა თანამონაწილეობითი, ინკლუზიური პროცესია, რომელიც უზრუნველყოფს როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებული მხარეების ჩართულობას. ადმინისტრაციის წარმომადგენელთა განმარტებითა და დაწესებულების შიდა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად არსებობს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ორი გზა: მონაწილეობა პროცესში, ან შემუშავებული დოკუმენტის პროექტის განხილვა და უკუკავშირის მიწოდება. სტრატეგიის გადამუშავების პროცესში მხარეთა ჩართულობა უზრუნველყოფილი იყო სამუშაო ჯგუფის ფორმატში, რომლის მტკიცებულებაც აკადემიამ წარმოადგინა, ხოლო უკუკავშირისათვის გამოყენეული იქნა პარტნიორი ორგანიზაციები და აკადემიის სენატი, რომელიც არის წარმომადგენლობითი ორგანო და მასში შედის ყველა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელი. 2024 წლის 16-18 აგვისტოს, შედგა დირექტორის 2024 წლის 5 აგვისტოს N234 ბრძანებით შექმნილი აკადემიის მისიის, ხედვის ღირებულებების და სტრატეგიული გეგმების რევიზიის სამუშაო ჯგუფის გასვლითი სამუშაო შეხვედრები. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები ასევე ადასტურებს პროცესების დადგენილი წესისა და პროცედურებით შესრულებას. სამუშაო ჯგუფის ინცირებით, შესულია ცვლილებები 2020-2027 წლების სტრატეგიაში. განხორციელებულია სტრატეგიული მიზნების ოპტიმიზაცია სამ მსხვილ მიზნად და სტრატეგიული ამოცანების ახალი ფორმულირება ჩამოყალიბებულია იმგვარად, რომ საერთო სტრატეგიული მიმართულებები დარჩა უცვლელი. სტრატეგიის გადამუშავებისას გამოყენებული იქნა სვოტ ანალიზი, რამაც უზრუნველყო განახლებულ სტრატეგიაში ქვეყანაში, რეგიონში მიმდინარე ახალი ტენდენციების გათვალისწინება.

ასევე, აკადემიის რექტორის განმარტებით, მათ მიერ განხორციელებული ENESAT22 - ევროკავშირის პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ფონდის (ETF) 2024 წლის თვითშეფასებით დადგინდა, რომ აკადემიის მიდგომა კერძო სექტორის და დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან და თანამშრომლობასთან დაკავშირებით შეესაბამება საუკეთესო ევროპულ პრაქტიკებს.

დამატებით, აღსანიშნავია, რომ აკადემიის დირექტორი კრწანისის რაიონის გამგეობის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრია, რის ფარგლებშიც ის აქტიურად არის ჩართული იმ ინიციატივების მხარდაჭერაში, რომლებიც სარგებელს მოუტანს კრწანისის რაიონის მოსახლეობას, რაც ადასტურებს აკადემიის მიზნებსა და აქტივობებში რეგიონის/თემის საჭიროებების მაქსიმალურ გათვალისწინებას.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.1.2 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;

3. აკადემიის სტრატეგიული გეგმისა და შვიდწლიანი სამოქმედო გეგმის შინაარსი განსაზღვრულია "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის,

სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესის“ (SBA-REG-060) მიხედვით. ამასთან, აკადემია უზრუნველყოფს, რომ მისი სტრატეგიული მიზნები მისიიდან გამომდინარეობდეს და დაგეგმვისას განისაზღვრება მკაფიო მიზნები, შესაბამისი ამოცანები, აქტივობები, განხორციელების ვადები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, შესრულების მტკიცებულება და შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რაც მათი განმარტებით უზრუნველყოფს ანგარიშვალდებულებას და პროგრესისა და კონტროლის შეფასების შესაძლებლობას.

სამოქმედო გეგმის შემუშავებისას აკადემია განსაზღვრავს დასახული სტრატეგიული ამოცანების, შესაბამის აქტივობებს, აქტივობის შესრულების ინდიკატორებს, შესაძლო რისკებს, შესრულების მტკიცებულებათა სახეებს, საჭირო რესურსებს, აქტივობათა განხორციელების პერიოდს, პასუხისმგებელ პირებს და თანამონაწილეებს. როგორც ზემოთ აღვწერეთ აკადემია აჯგუფებს ამოცანებს და აძლევს პროექტულ სახეს, რაც მნიშვნელოვანი პრაქტიკაა სამოქმედო გეგმის ეფექტიანი განხორციელების თვალსაზრისით.

საზოგადოდ, აკადემიის მმართველობას ახასიათებს სტრუქტურირებული მიდგომა როგორც სხვა სამუშაოთა ციკლის დაგეგმვის, ისე სამოქმედო გეგმების განსაზღვრისას და ეს მათ რეალურად აძლევს შესაძლებლობას დააკვირდეს პროცესების მიმდინარეობას და მიაღწიოს გაზომვად შედეგებს, მათ შორის, რესურსების ეფექტიანი გამოყენების პირობით.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.1.3 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (SBA-REG-060);
- აკადემიის მისიის, ხედვის,ღირებულებების და სტრატეგიული გეგმების რევიზიის მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება;
- გასვლითი ღონისძიებების შესახებ ბმულები: https://www.facebook.com/share/p/15ETtiuwVx/ ;
- https://www.facebook.com/share/p/15pzwuNFif/;
- კრწანისის გამგეობის წერილი კრწანისის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით და საბჭოს დებულება;
- https://www.facebook.com/share/p/19HyhPnHot/;
- სტრატეგია 2020-2027 (SBA-REG-006) (2024 წელს რევიზირებული ვერსია);
- საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ანგარიში;
- კვარტალური სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- სენატის სხდომის ოქმი;
- სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშის ბმული: https://sba.edu.ge/strategicdevelopment/;
- ინტერვიუს შედეგები.

1.2.2 პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია ახორციელებს გეგმების მონიტორინგის ეფექტურ პროცესს, რომელიც გაწერილია "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესში“ (SBA-REG-060). აღნიშნული წესით განსაზღვრულია როგორც ვადები და

პროცედურები, ასევე, პასუხისმგებლობებიც. აკადემიის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის ადმინისტრირებას უზრუნველყოფს ადმინისტრაციული სამსახური.

სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სტრატეგიის მოქმედების შუა პერიოდში. მოქმედი სტრატეგიის მონიტორინგი, წესის შესაბამისად განხორციელდა 2023 წელს, რის შედეგადაც შემუშავდა ანგარიში, რომელსაც ავტორიზაციის ექსპერტები გაეცნენ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად ნათლად ჩანს მონიტორინგში ჩართული და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების პასუხისმგებელი მხარეები. კერძოდ, 2023 წელს ჩატარებული მონიტორინგის შედეგები გაეცნო აკადემიის კოლეგიალურ ორგანოს - სენატს, ხოლო სტრატეგიის საბოლოო შეფასება ავტორიზაციის დროს ჯერ არ იყო განხორციელებული, ვინაიდან მისი მოქმედების ვადა 2027 წელს იწურება.

აკადემიის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება კვარტალურად, აქტივობების ვადების შესაბამისად. აკადემიის სტრუქტრული ერთეულები ვალდებულნი არიან შესაბამისი კვარტლის დასრულებამდე 10 კალენდარული დღით ადრე აკადემიის სერვერზე განთავსებულ სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშში ასახონ ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობების შესრულების შესახებ და დაურთონ შესაბამისი მტკიცებულებები.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგის შედეგების შეფასება ხორციელდება მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრებზე. აკადემიის მიერ წარმოდგენილი იქნა სამოქმედო გეგმის შუალედური კვარტლური შეფასების დოკუმენტი და წინა წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასების წლიური ანგარიშები.

სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშები განიხილება სენატის მიერ და ქვეყნდება აკადემიის ვებ-გვერდზე.
შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.2.1 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

2. აკადემიაში არსებობს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგებზე რეაგირების წესი. აკადემიის სენატი განიხილავს სტრატეგიული გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს და წლიურ ანგარიშებს. სენატის სხდომისას სენატი განიხილავს არა მხოლოდ დასრულებული საქმიანობის ხარისხს და შედეგებს, არამედ ნებისმიერი შეუსრულებელი ამოცანის მიზეზებს. აკადემიის რექტორის განმარტებით, ეს უზრუნველყოფს როგორც წარმატებების, ასევე გამოწვევების საფუძვლიან ანალიზს. სამოქმედო გეგმების შეფასების შედეგები, აკადემიის საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვა ინფორმაციასთან ერთად გაითვალისწინება აკადემიის მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შედგენის პროცესში. საჭიროების შემთხვევაში ხდება შეუსრულებელი აქტივობების ანალიზი, აქტუალობის შემთხვევაში მათი გადატანა ახალ სამოქმედო გეგმაში ან მათი მოდიფიცირება.

სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები წარმოადგენს აკადემიის პერსონალის წახალისების ან დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ

ერთ საფუძველს.

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგის მიზანია უზრუნველყოს აკადემიის საქმიანობა მის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში. შედეგების გაანალიზებით და ნებისმიერი გამოწვევის გამოვლენით, აკადემიას შეუძლია მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილებები და დაგეგმოს შესაბამისი ქმედებები შეფასების შედეგებზე დაყრდნობით. ეს უწყვეტი უკუკავშირის ციკლი ხელს უწყობს შესრულების მაღალი სტანდარტის შენარჩუნებას, რაც უზრუნველყოფს აკადემიის ეფექტურად რეაგირებას მისი დაინტერესებული მხარეების საჭიროებებზე.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.2.2 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;

3. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს ყოველწლიურად აქვეყნებს აკადემიის ვებგვერდზე, რაც შესაძლებელს ხდის დაინტერესებული მხარეებისათვის მათ ხელმისაწვდომობას. აღნიშნული პრაქტიკა საშუალებას იძლევა დაინტერესებული პირები იყვნენ ინფორმირებულნი პროგრესისა და დაწესებულების საერთო საქმიანობის შესახებ. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო კოლეჯის სამოქმედო გეგმების ანგარიშებს და შეაფასა აკადემიის განვითარების დინამიკა.

შესაბამისად, ინდიკატორის 1.2.2.3 მოთხოვნა სრულადაა დაკმაყოფილებული და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- "მისიის, სტრატეგიის და სტრატეგიის დანერგვის, სამოქმედო გეგმის შემუშავების, გეგმების მონიტორინგისა და შეფასების წესი“ (SBA-REG-060);
- სტრატეგია 2020-2027 (SBA-REG-006) (2024 წელს რევიზირებული ვერსია);
- საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია SBA-ს 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის მონიტორინგის ანგარიში;
- სამოქმედო გეგმის კვარტალური ანგარიში;
- სენატის სხდომის ოქმი;
- სამოქმედო გეგმის შეფასების ანგარიშის ბმული: https://sba.edu.ge/strategicdevelopment/;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა

3.1.1 პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი – „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესი“– განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, აღდგენისა და მობილობის წესებს, აგრეთვე აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში სტუდენტთა განათლებით უზრუნველყოფის საკითხებს.
პროფესიული სტუდენტების უფლებების მარეგულირებელი ჩანაწერები მოცემულია ასევე აკადემიის დირექტორის 2024 წლის 11 დეკემბრის №00000473 ბრძანებით დამტკიცებულ „შინაგანაწესში“, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის ძირითად უფლებებს. დოკუმენტი მოიცავს როგორც სწავლის პროცესთან უშუალოდ დაკავშირებულ უფლებებს (ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღება, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევა, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში მონაწილეობა), ისე ინსტიტუციურ მართვასა და თვითგამოხატვასთან დაკავშირებულ უფლებებს (სტუდენტურ ორგანიზაციებში გაერთიანება, კოლეგიურ მართვის ორგანოებში არჩევა, აზრის თავისუფლად გამოხატვა). დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია დისციპლინური წარმოების თანაზომიერებაზე და აკადემიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების უფლებაზე, ასევე უზრუნველყოფილია სტუდენტთა თანაბარი ხელმისაწვდომობა აკადემიის რესურსებზე და ფინანსური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში.
სტუდენტთა უფლებების რეგულირება ასევე უზრუნველყოფილია აკადემიის რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტით – „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“, რომელიც არეგულირებს სტუდენტებისათვის საბიბლიოთეკო სერვისებისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის ხელმისაწვდომობას.
აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებებისა და გარანტიების დაცვას და სრულ თანხვედრაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან.
შესაბამისად, ინდიკატორის 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია და პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. შპს საერთაშორისო ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესი“-ს მიხედვით სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სასწავლო გარემოსთან სტუდენტთა ადაპტაციისა და მხარდაჭერის მიზნით, სასწავლო პროცესის დაწყებამდე შეიმუშავებს „სტუდენტის სამახსოვრო“-ს, სადაც თავმოყრილია ყველა ინფორმაცია აკადემიის სერვისებისა და მასზე პასუხისმგებელი პერსონალის შესახებ (სტუდენტს, აღნიშნული სამახსოვრო, სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, მიეწოდება ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმების/სისტემის გამოყენებით), სასწავლო პროცესის დაწყებამდე აორგანიზებს სტუდენტებთან საინფორმაციო და საორიენტაციო შეხვედრებს, სრულფასოვანი თანამშრომლობის უზრუნველყოფის მიზნით პერიოდულად ატარებს სტუდენტებთან ინდივიდუალურ/ გაერთიანებულ შეხვედრებს და უწევს კონსულტაციებს, საჭიროების შემთხვევაში აორგანიზებს კონსულტაციებს პროგრამის ხელმძღვანელთან, პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან ან/და ადმინისტრაციულ პერსონალთან, გეგმავს და ჯგუფური/იდივიდუალური აქტივობების განსახორციელებლად უზრუნველყოფს შესაბამის მხარდაჭერას.
სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების შესახებ ინფორმაციას მოიცავს სტუდენტებთან დადებული ხელშეკრულებები რომელზე ხელმოწერითაც სტუდენტი და საჭიროების შემთხვევაში კანონიერი წარმომადგენელი ადასტურებენ ხელშეკრულებით გათვალსიწინებულ პირობებს.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებითა (PPT პრეზენტაცია, კოლეჯის ახალ სტუდენტებთან შეხვედრის დღის წესრიგი, პროფესიულ სტუდენტებთან კორესპონდენციის ამსახველი ე.წ. სქრინშოთები, ბროშურები: 7 ფაქტი კოლეჯის შესახებ და სამახსოვრო ბარათი) და პერსონალთან, პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით დადასტურდა, რომ სწავლის დაწყებისთანავე სტუდენტებს პრეზენტაციის სახით მიეწოდებათ ინფორმაცია აკადემიის მისიის, ხედვის, ღირებულებების, შინაგანაწესის, სტუდენტთა უფლებებისა და ვალდებულებების, სასწავლო კალენდარის, სტუდენტთა შეფასებისა და აპელაციის მექანიზმების, სტუდენტური სერვისების, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების, აკადემიაში დანერგილი ფასიანი სერვისების შესახებ. მათივე თქმით, მსგავსი საინფორმაციო შეხვედრები პერიოდულად იმართება აკადემიაში. სტუდენტებმა ასევე აღნიშნეს, რომ თავისუფალი წვდომა აქვთ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, საინფორმაციო საშუალებებზე, ბიბლიოთეკისა და სასწავლო რესურსებზე თუ სტუდენტურ სივრცეებზე. დამატებით, დეტალური ინფორმაცია საკუთარ უფლებებსა და ვალდებულებებზე ხელმისაწვდომია აკადემიის ვებ-გვერდზე და კოლეჯის კამპუსის ფოიეში საინფორმაციო ეკრანებზე.

სტუდენტთა მაღალი ინფორმირებულობის დონეს ადასტურებს 2025 წელს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის სერვისების შეფასების ანგარიში. კვლევის მიზანი იყო სტუდენტთა კმაყოფილების გაზომვა აკადემიის სერვისების, მათ შორის პროგრამის შინაარსის, სწავლის პროცესის ორგანიზების, ადმინისტრაციული მომსახურების, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, ინფრასტრუქტურის, კარიერული მხარდაჭერის, აკადემიასთან კომუნიკაციისა და საერთო კმაყოფილების დონის დადგენა. შედეგები ცხადყოფს, რომ სტუდენტთა უმრავლესობა (84.8%) ინფორმირებულია მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების, სწავლების პროცესის, შეფასების წესების შესახებ. რაც მიუთითებს ორგანიზაციაში ეფექტური საინფორმაციო კომუნიკაციის არსებობაზე.

სტუდენტთა ინფორმირებულობას მათი უფლებების შესახებ ასევე ასაბუთებს კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროფესიული სტუდენტების სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის შესახებ დოკუმენტაცია (სტუდენტების განცხადებები, განცხადების საფუძველზე რექტორის ბრძანებები, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებასა და სტუდენტთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია), რომლის პროცედურებიც სრულ თანხვედრაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან. მიმდინარე პერიოდში დაწესებულებას აქვს 77 სტატუსის შეჩერებისა და 70 სტატუსის შეწყვეტის შემთხვევა (წარმოდგენილი მონაცემები ასახავს 2018 და 2025 წლებში სტუდენტების სტატუსის დინამიკას).

სტუდენტის უფლებებისა და ვალდებულებების დაცვის მიზნით აკადემიას შინაგანაწესით განსაზღვრული აქვს დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, რომელთა ეფექტიანობას ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პრაქტიკა სტუდენტთა დისციპლინური გადაცდომის შედეგად კოლეჯის დირექტორის ბრძანება დისციპლინური კომისიის შექმნის შესახებ, დისციპლინური კომისიის სხდომის ოქმი და გადაწყვეტილება დისციპლინური დევნის დაწყებასთან და დისციპლინური სახდელის სახესთან (პრობაციის რეჟიმი 6 თვის ვადით) დაკავშირებით. რომლის დადებით შედეგს წარმოადგენს დირექტორის ბრძანება ვადაზე ადრე პრობაციის შეწყვეტის შესახებ სტუდენტების მხრიდან გამოვლენილი სანიმუშო ქცევის, მაღალი პასუხისმგებლობისა და სხვადასხვა პროცესში (ღონისძიება, შეჯიბრება და ა.შ.) აქტიური ჩართულობის საფუძველზე.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;

3. აკადემიის დირექტორის 2020 წლის 24 მარტის N031 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“-ს შესაბამისად, აკადემიაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისას გამოიყენება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება, ამავე წესის შესაბამისად, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება არაუმეტეს ორჯერ. შეფასების შედეგები სტუდენტს ეცნობება შეფასების დღეს ან შემფასებლის მიერ შეფასების განხორციელებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში იმგვარად, რომ დაცული იყოს მისი კანონიერი ინტერესები შეფასების მიმართულებისა და თავისებურების გათვალისწინებით. სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შეფასების შედეგი შეფასების შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს მეორე დღისა, ხოლო პროცესი იმავე დღეს. საჩივარს განიხილავს

სამსახური მათ შორის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში რექტორის ბრძანებით განსაზღვრული სააპელაციო კომისია. გასაჩივრების შედეგები პროფესიულ სტუდენტს ეცნობება წერილობით. აღნიშნული წესის მიხედვით, მოდულის განმახორციელებელი პირი ვალდებულია განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების შესახებ (დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია) წინასწარ მიაწოდოს ინფორმაცია სტუდენტებს. გარდა ამისა, „სასწავლო პროცესის მართვის წესი“-ს მიხედვით სასწავლო პროცესის მართვის სამსახური ახალ სტუდენტებს სწავლის დაწყებამდე გამართულ შეხვედრაზე აწვდის ინფორმაციას შეფასების სისტემისა და აპელაციის მექანიზმების შესახებ.

2025 წელს ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგებით, რომლის ერთ-ერთი მიზანი იყო სტუდენტების მიერ ზოგადი აკადემიური გამოცდილების შეფასება, დადგინდა, რომ სტუდენტების დიდი უმრავლესობა (93%) სანდოდ, გამჭვირვალედ, სამართლიანად და ობიექტურად მიიჩნევს შეფასების სისტემას, ასევე რესპონდენტების უმრავლესობა (91.7%) შეფასების შემდეგ მასწავლებლისგან იღებს უკუკავშირს, რომელიც ეხმარება შემდგომ განვითარებაში.

კოლეჯმა წარმოადგინა მის პრაქტიკაში არსებული ერთადერთი გასაჩივრების შემთხვევის ამსახველი მტკიცებულებები, რომელიც უკავშირდება მასწავლებლის განცხადების საფუძველზე ერთერთი მოდულის განმეორებითი შეფასების დაგეგმვის მოთხოვნას, სტუდენტთა იდენტური ნაშრომების იდენტიფიცირების საფუძველზე. სტუდენტებმა, თავის მხრივ განცხადებით მიმართეს კოლეჯის ადმინისტრაციას, მათი უფლებების დარღვევის შესახებ მასწავლებლის მხრიდან შეფასების შედეგების საჯაროდ განხილვის, სტუდენტების მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულების, დადებითად შეფასებული შედეგების შენარჩუნებისა და უარყოფითად შეფასებული სტუდენტების შეფასების შედეგების განმეორებით შეფასების შესახებ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კოლეჯმა გადადგა შიდა მარეგულირებლებით განსაზღვრული შესაბამისი ნაბიჯები, კერძოდ, დაიგეგმა და განხორციელდა ვერიფიკაციის პროცესი, რომლის საფუძველზე სტუდენტთა განსაზღვრულ რაოდენობას დადასტურებულად ჩაეთვალა სწავლის შედეგები, ხოლო გარკვეულ ნაწილს განესაზღვრა დამატებითი შეფასება.

სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი კარგად არიან ინფორმირებულნი მოქმედი შეფასების სისტემის შესახებ. თითოეული მოდულის ფარგლებში სტუდენტებს წინასწარ ეცნობებათ ინფორმაცია სწავლის შედეგების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებზე. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იციან შედეგების გასაჩივრების უფლების შესახებ, მათ შორის საჩივრის წარდგენის ვადები და პროცედურული წესები. სტუდენტების თქმით, მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში არ ჰქონიათ შეფასების შედეგების გასაჩივრების შემთხვევა, მათთვის მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული პროცედურა მკაფიოდ არის განსაზღვრული შიდა დოკუმენტებში და ინფორმაცია მიეწოდათ როგორც მოდულების ფარგლებში განმახორციელებლების მიერ ასევე ადმინისტრაციის მხრიდან საორიენტაციო შეხვედრების ფარგლებში.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;

4. აკადემიის „პროფესიულ სტუდენტთა მართვის წესი“-ს შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შემდეგ აკადემია პროფესიულ სტუდენტთან, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში — მის კანონიერ წარმომადგენელთან, აფორმებს ხელშეკრულებას საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, თუ აკადემიის მიერ პროგრამაზე დადგენილ სწავლის საფასურს ვაუჩერული დაფინანსება სრულად არ ფარავს, საგანმანათლებლო მომსახურების გაწევის შესახებ გაფორმებულ ხელშეკრულებას თან ერთვის პროფესიულ სტუდენტთან ან მის კანონიერ წარმომადგენელთან შეთანხმებული სწავლის საფასურის გადახდის განრიგი.

სტუდენტთან, ხოლო კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში — მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: ზოგად დებულებებს, ხელშეკრულების საგანს, დაწესებულების უფლებებსა და ვალდებულებებს, პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და ვალდებულებებს, სწავლის საფასურის ოდენობას (ასეთის არსებობის შემთხვევაში), დამატებით დებულებებს, ფორს-მაჟორის პირობებს, ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და მხარეთა პასუხისმგებლობას, დავის გადაწყვეტის წესს, სხვა პირობებს, დასკვნით დებულებებს და მხარეთა ხელმოწერებს.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.1.1.4 დაკმაყოფილებულია და პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;

5. აკადემიას სასწავლო პროცესის მართვის წესით განსაზღვრული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და ადმინიტრირების მკაფიოდ დადგენილი პროცედურები. მარეგულირებლის მიხედვით, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება დგება ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც სწავლება ვერ ხორციელდება ძირითადი სასწავლო გეგმით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის პროექტი სტუდენტისათვის იქმნება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ იმ სტუდენტის, ხოლო არასრულწლოვანის შემთხვევაში მისი მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის ჩართულობით, რომლისთვისაც დგება გეგმა. გეგმის პროექტის შემუშავების პროცესში საჭიროებიდან გამოდინარე ასევე შესაძლოა ჩაერთოს პროგრამის ხელმძღვანელი, პროფესიული განათლების მასწავლებლები და სხვა შესაბამისი პირი.
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტ(ებ)ის სასწავლო პროცესში სრულყოფილად ჩართვისა და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველსაყოფად, აკადემიის რექტორის მიერ შექმნილი კომისია შეისწავლის სტუდენტ(ებ)ის საგანმანათლებლო საჭიროებებს და მიზანშეწონილობის შემთხვევაში, შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ეფუძნება პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და ასეთის საჭიროების შემთხვევაში აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.
დაწესებულებამ წარმოადგინა რამდენიმე ინდივიდუალური გეგმის შემუშავებისა და ადმინისტრირების ამსახველი დოკუმენტაცია პროფესიული სტუდენტების სხვადასხვა საჭიროებაზე დაფუძნებით (მობილობა, სტუდენტის სტატუსის აღდგენა, ძირითადი სასწავლო გეგმის მიხედვით აუთვისებელი/დარჩენილი მოდულების გავლა). წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან დადგინდა, რომ დაწესებულების მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ადმინისტრირების პროცესი სრულად შესაბამისობაშია როგორც შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, ასევე საქართველოს კანონმდებლობასთან.
შესაბამისად, ინდიკატორის 3.1.1.5 დაკმაყოფილებულია და პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესი;
- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- პროფესიულ სტუდენტთან გასაფორმებელი ხელშეკრულების შაბლონი (სრულწლოვანი, არასრულწლოვანი);
- თანხმობის ფურცლის ნიმუში;
- პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესი;
- სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი;
- პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა - სერვისების შეფასების ანგარიში;
- სტუდენტის სამახსოვრო;
- პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული საინფორმაციო შეხვედრის ამსახველი დოკუმენტაცია;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და თანდართული დოკუმენტაცია;
- პროფესიული სტუდენტის მიმართ დისციპლინური წარმოების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტის სტატუსის შეჩერების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;

- შეფასების შედეგების გასაჩივრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები

3.2.1 პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი“-ს მიხედვით სტუდენტის მხარდაჭერის მიზნებისთვის დაწესებულება იყენებს სხვადასხვა მექანიზმებს, მათ შორის, განმავითარებელ შეფასებას, რომელიც ადგენს სტუდენტის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ასევე, აღნიშნული წესით დაწესებულებას განსაზღვრული აქვს პროფესიული სტუდენტის ინფორმირების მექანიზმები მათი აკადემიური მიღწევის შესახებ, კერძოდ, შეფასების შედეგები სტუდენტს ეცნობება მოდულის განმახორციელებელი პირის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ იმგვარად რომ დაცული იყოს მისი კანონიერი ინტერესები შეფასების მიმართულებისა და თავისებურების გათვალისწინებით, რაც გამორიცხავს სტუდენტთა შეფასების შედეგების გამოცხადებას ჯგუფში, თუ აღნიშნული არ არის შეთანხმებული სტუდენტებთან. გარდა ამისა, სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, მოდულის განმახორციელებელი პირი სტუდენტთა შედეგებს განზოგადებული სახით განიხილავს ჯგუფში და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა როგორც პერსონალთან, ასევე სტუდენტებთან გასაუბრებებით.
სასწავლო პროცესის მართვის წესის შესაბამისად, თუ სტუდენტისათვის სტანდარტულად მიწოდებული სასწავლო დატვირთვა არ აღმოჩნდა საკმარისი სწავლის შედეგების დასადასტურებლად ან შეფასების განხორციელების წინ საჭიროებს დამატებით კონსულტაციას, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ წერილობითი განცხადების საფუძველზე აორგანიზებს ინდივიდუალურ მეცადინეობას სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეთანხმებული გრაფიკით.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი კორესპონდენცია სტუდენტებსა და სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის წარმომადგენლებს შროის ინდივიდუალური მეცადინეობის ორგანიზებასთან დაკავშირებით, ასევე კონსულტაციის ჩატარებასთან დაკავშირებული აღრიცხვის ხელმოწერილი ფურცლები ადასტურებს აკადემიაში საკონსულტაციო შეხვედრების ჩატარების კარგად დანერგილ პრაქტიკას. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა სტუდენტებთან გასაუბრების შედეგად დაადგინა, რომ ისინი სისტემატურად იღებენ კონსულტაციებს და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად. სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროებისამებრ მიმართავენ სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს კონკრეტული მოდულის ფარგლებში ინდივიდუალური კონსულტაციის ორგანიზების მიზნით. აგრეთვე, შესრულებული დავალებების (ტესტები, პრაქტიკული სავარჯიშოები და ა.შ.) საფუძველზე იღებენ განმავითარებელ შეფასებებს, რაც ეხმარებათ შემდგომში დავალებების უფრო ეფექტურად შესრულებაში. აღნიშნული მექანიზმები მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და პიროვნული განვითარების ხელშეწყობას სასწავლო პროცესში.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია და პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

2.„სასწავლო პროცესის მართვის წესი“-ს თანახმად, დაწესებულება ახორციელებს პროფესიული სტუდენტების აქტიურ მხარდაჭერას სწავლების ნებისმიერ ეტაპზე სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის, სოციალური ან ქცევითი თავისებურებების მქონე პირების გათვალისწინებით. სტუდენტთა მხარდაჭერისა და ადაპტაციის მიზნით სასწავლო პროცესის დაწყებამდე, აკადემია შეიმუშავებს „სტუდენტის სამახსოვროს“, სადაც თავმოყრილია ყველა ინფორმაცია აკადემიის სერვისებისა და მასზე პასუხისმგებელი პერსონალის შესახებ. სტუდენტს, აღნიშნული სამახსოვრო, სტატუსის მინიჭების შემთხვევაში, მიეწოდება ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმების/სისტემის გამოყენებით. ასევე, ახალი პროფესიული სტუდენტის სასწავლო გარემოსთან ადაპტირების მიზნით აკადემია პირველივე სასწავლო დღეს უზრუნველყოფს სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრას, რომლშიც მონაწილეობენ კოლეჯის პერსონალი. შეხვედრის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლები აცნობენ პროფესიულ სტუდენტებს აკადემიის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, საქმიანობის ძირითად პრინციპებს, აკადემიის სერვისებსა და ზოგადად არსებულ შესაძლებლობებს, პროფესიულ სტუდენტთა უფლებებსა და ვალდებულებებს, სასწავლო პროცესის თავისებურებებს, ქცევისა და ეთიკის ნორმებს, უსაფრთხოებისა და სხვა წესებს. გარდა ამისა, აკადემია პერიოდულად ახორციელებს სტუდენტებთან ინდივიდუალურ/გაერთიანებულ შეხვედრებსა და კონსულტაციებს სრულფასოვანი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის, გარდა აკადემიის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი სახის სერვისის ხელმისაწვდომობისა, კოლეჯი საჭიროებისამებრ სთავაზობს ისეთ დამატებით ღონისძიებებს როგორიცაა, სპეციალისტის მოწვევა, ხმის აღწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენება (უსინათლო პირებისათვის), საჭიროებაზე მორგებული საგანმანათლებლო რესურსით (ელექტრონული ვერსია) უზრუნველყოფა, აკადემიის ტერიტორიაზე გადაადგილების ხელშეწყობა, სწავლის შედეგების აკომოდაცია ან ადაპტაცია და სხვა საჭიროების მიხედვით.

ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციის წარმომადგენლები პერიოდულად მართავენ შეხვედრებს პროფესიულ სტუდენტებთან. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და შესაძლებლობების შესახებ, ასევე სხვა მათთვის მნიშვნელოვანი საკითხების თაობაზე. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს სტუდენტთა უფრო აქტიურ ჩართულობას აკადემიის ცხოვრებაში.

განსაკუთრებით აღსანიშნავია, 2025 წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, რომლებმაც აჩვენა მკაფიოდ დადებითი ტენდენცია: სტუდენტთა დიდმა უმრავლესობამ (98%) აღნიშნა, რომ ადაპტაციის პროცესში ადმინისტრაციული პერსონალი და კოორდინატორები მათ აქტიურად უჭერენ მხარს და უწევენ დახმარებას. ზემოთ მოყვანილი მონაცემი ადასტურებს, რომ დაწესებულება წარმატებით ახორციელებს როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური მხარდაჭერის მექანიზმებს, რაც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სტუდენტთა სწრაფ და კომფორტულ ინტეგრაციას სასწავლო გარემოში.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.1.2 დაკმაყოფილებულია და პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

3. კოლეჯის დირექტორის 2025 წლის 31 იანვრის N1516 ბრძანებით დამტკიცებული „ერთიანი საქმისწარმოების წესი“-ს შესაბამისად, ნებისმიერ სერვისთან დაკავშირებული საქმისწარმოება, არ ცდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს, ასევე ცალკეულ შემთხვევებში ითვალისწინებს დაჩქარებული მომსახურეობის გაწევის შესაძლებლობას.
ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების გამოკითხვის შედეგებმა ცხადყო, რომ სტუდენტთა დამოკიდებულება ადმინისტრაციული პერსონალისადმი ერთმნიშვნელოვნად პოზიტიურია. რესპონდენტების უმრავლესობამ (91.7%) აღნიშნა, რომ საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი გონივრულ/მისაღებ ვადაში აწვდის მოთხოვნილ ინფორმაციას/ დოკუმენტაციას. გამოკითხვის შედეგები ადასტურებს, რომ ადმინისტრაციული მომსახურება არა მხოლოდ ტექნიკურ ფუნქციას ასრულებს, არამედ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სტუდენტთა მოტივაციისა და აკადემიური წარმატების ხელშეწყობაში.
არსებული პრაქტიკის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ადმინისტრაციასთან მიმართვის შემთხვევაში საჭირო დოკუმენტებსა და ინფორმაციას გონივრულ ვადაში იღებენ. სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ადმინისტრაციული პერსონალი მყისიერად რეაგირებს მათ მიმართვებზე. სტუდენტების თქმით, კითხვებზე პასუხს, პრობლემის გადაჭრას ან მოთხოვნილ დოკუმენტაციას იღებენ არამხოლოდ განსაზღვრულ ვადებში, არამედ ზოგჯერ იმავე დღესაც, რაც მათთვის კომფორტისა და მხარდაჭერის დამატებით შეგრძნებას ქმნის.
შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;

4. აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 ბრძანებით დამტკიცებული „კურიკულუმის გარეშე აქტივობების წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის წესი“-ს მიხედვით, კურიკულუმის გარეშე აქტივობების ინიცირება შეუძლიათ აკადემიის პერსონალს, პროფესიულ სტუდენტებსა და მსმენელებს ან მათ საინიციატივო ჯგუფს, აკადემიის პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებს და სხვა პირებს განაცხადის საშუალებით. განცხადებას განიხილავს აკადემიის დირექტორი, წარდგენიდან არაუგვიანეს 3 სამუშაო დღისა და იღებს გადაწყვეტილებას ინიციატივის დასაშვებობის, დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ. მისაღები ინიციატივების რაოდენობა შეზღუდული არ არის წლის განმავლობაში და მათი დაფინანსების მიზნით თანხა განისაზღვრება აკადემიის წლიური ბიუჯეტით. პირებს, რომლებსაც სურთ ინიციატივების ანონიმურად წარდგენა, აკადემიაში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული ანონიმური გამოკითხვები, ასევე ფიზიკური „ანონიმური ყუთი“ კოლეჯის ძირითად შენობაში. ყუთი იხსნება თვეში ერთხელ, ხოლო შეტანილ ინიციატივებზე შესაბამის რეაგირებას უზრუნველყოფენ ადმინისტრაციული და ხარისხის მართვის სამსახურები.
აკადემიაში 2024-2025 წელს მხარდაჭერილი იქნა 6 დამატებითი/არაფორმალური აქტივობა და სტუდენტური ინციატივა. გარდა ამისა, აკადემიაში, სტუდენტთა ინიციატივების სტიმულირების მიზნით 2025 წელს დაინერგა საგრანტო კონკურსების პრაქტიკა.
2025 წელს ჩატარებული პროფესიული სტუდენტების კმაყოფილების კვლევის შედეგების მიხედვით, გამოკითხულთა უმრავლესობამ (82.5%) დააფიქსირა, რომ აკადემია აძლევს შესაძლებლობას ჩაერთოს კოლეჯის მიერ შეთავაზებულ არაფორმალურ აქტივობებში (მაგ: სპორტული, კულტურული ღონისძიებები და სხვა) და შესაძლებლობის შემთხვევაში, მხარს უჭერს მის ინიციატივებს, მაშინ როდესაც 13%-ს ამის საჭიროება არ დადგომია. აღნიშნული მონაცემები მიუთითებს იმაზე, რომ სტუდენტთა დიდი ნაწილი იღებს მონაწილეობას დაწესებულების მიერ ორგანიზებულ აქტივობებში, რაც პოზიტიურად აისახება მათ პროფესიულ განვითარებაზე.
ექსპერტთა მიერ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად გაირკვა, რომ სტუდენტებს ნაკლებად ჰქონიათ ინიციატივა დამატებითი /არაფორმალური აქტივობების შეთავაზების თვალსაზრისით, თუმცა ისინი ინფორმირებულნი არიან და მონაწილეობა მიუღიათ არაერთ არაფორმალური განათლების აქტივობაში, რომელიც განხორციელდა აკადემიის ორგანიზებით ან მისი მხარდაჭერით.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;

5. ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარებული სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის-სერვისების შეფასების ანგარიში, რომელიც ეფუძნება სტუდენტთა საერთო რაოდენობის 25%-ის მოსაზრებებს, ცხადყოფს, რომ გამოკითხულ სტუდენტთა უმრავლესობა (საშუალოდ 90%) პოზიტიურად აფასებს აკადემიაში არსებულ სასწავლო, ინფრასტრუქტურულ, ადმინისტრაციულ და საერთო მომსახურების გარემოს. სტუდენტთა მიერ დაფიქსირებული მოსაზრებები ადასტურებს, რომ აკადემია წარმატებით ახერხებს ისეთი პირობების შექმნას, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტების კმაყოფილებას, მოტივაციას და მათი საჭიროებების გათვალისწინებას. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შედეგებზე დაყრდნობით შეიმუშავა რეკომენდაციები ზაფხულის განმავლობაში სწავლის და შეფასებების ინტენსივობის ოპტიმიზაციის, ტექნიკური რესურსების, განსაკუთრებით კომპიუტერული ინფრასტრუქტურის, გამართულობის მონიტორინგისა და გაუმჯობესების, სასწავლო პროცესში პრაქტიკული და გუნდური სამუშაოების კომპონენტის გაძლიერების შესახებ. აღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე,სერვისების გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის სამსახურის მიერ დაიგეგმა განსახორციელები აქტივობები.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია და პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი;
- პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა - სერვისების შეფასების ანგარიში;
- პოსტერი „7 ფაქტი კოლეჯში სწავლის შესახებ“;
- ერთიანი საქმისწარმოების წესი;
- კურიკულუმის გარეშე აქტივობების წახალისებისა და სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის წესი;
- კურიკულუმის გარეშე აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი;
- ინტერვიუს შედეგები;

3.2.2 პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.აკადემიის დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N2495 ბრძანებით დამტკიცებული „კარიერული განვითარების სერვისების მართვის წესი“ განსაზღვრავს კარიერული განვითარების სერვისების არსს, მიზნებს, სერვისების სახეებს და ბენეფიციარებს. აკადემიაში კარიერული მხარდაჭერა იწყება სტუდენტის სტატუსის მოპოვებამდე, პროფორიენტაციის პროცესის განხორციელებით და გრძელდება სწავლის დასრულების შემდეგაც. მხარდაჭერის სერვისები ეხმარება ბენეფიციარს (პოტენციური და არსებული სტუდენტები, მსმენელები, კურსდამთავრებულები) კარიერული ცნობიერების ამაღლებაში, საკუთარი ინტერესების, უნარებისა და ძლიერი მხარეების შეფასებაში, ინფორმირებული კარიერული გადაწყვეტილების მიღებაში და სწავლისა თუ პროფესიული განვითარების დაგეგმვაში. ასევე, სერვისები ამზადებს ბენეფიციარს შრომის ბაზრისთვის, აწვდის ინფორმაციას დასაქმების ტენდენციებზე და უზრუნველყოფს პრაქტიკულ მხარდაჭერას, მათ შორის რეზიუმეს მომზადების, გასაუბრების უნარებისა და სამუშაოს ეფექტიანი ძიების მიმართულებით. აკადემიაში დანერგილი ძირითადი კარიერული განვითარების სერვისები მოიცავს: პროფესიულ ორიენტაციას, კარიერულ კონსულტირებას, კერძო სექტორთან თანამშრომლობას, ციფრული რესურსების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას, დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, აკადემიურ ინტეგრაციას, პიროვნული და პროფესიული განვითარების ღონისძიებებს, კურსდამთავრებულთა კვლევას და პროფესიული ქსელების შექმნის ან მათში გაერთიანების ხელშეწყობას.

დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა მტკიცებულებები, რომ აკადემიაში სისტემურად ხორციელდება კარიერული მხარდაჭერისა და პროფორიენტაციის აქტივობები. კერძოდ, ორგანიზებულია სკოლის მოსწავლეთა პროფორიენტაციის ვიზიტები, დანერგილია ინსტრუმენტი „აღმოაჩინე პროფესია SBA-ში“, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტზე მორგებულ კარიერულ კონსულტირებას და შეთავაზებულია პროფესიული მომზადება/გადამზადების სასერტიფიკატო პროგრამები. ამასთან, დაწესებულება ახორციელებს დამატებით ტრენინგებსა და ღონისძიებებს, მათ შორის დარგობრივ კონკურსებსა და ვებინარებს, რაც აძლიერებს სტუდენტთა პრაქტიკულ უნარებს და ზრდის მათი დასაქმების შესაძლებლობებს. წარმოდგენილი მტკიცებულებები ასევე ადასტურებს პარტნიორული თანამშრომლობის განვითარებას პროფესიულ ასოციაციებსა და ორგანიზაციებთან, რაც კარიერული განვითარების მხარდაჭერის მდგრადობას უზრუნველყოფს.

აკადემიაში დანერგილი პროფესიული ორიენტაციის სერვისები წარმოადგენს კარგ პრაქტიკას, რადგან ისინი სისტემურად უწყობს ხელს პირების მიერ გაცნობიერებული კარიერული გადაწყვეტილებების მიღებას და ამცირებს განათლების მიტოვების რისკს. 2025 წელს აღნიშნული სერვისებით ისარგებლა დაახლოებით 7 000-მა პირმა, რაც ადასტურებს სერვისის მასშტაბსა და მოთხოვნადობას. პროფესიული ორიენტაცია ხორციელდება ინდივიდუალური და ჯგუფური ფორმატით და მოიცავს ინფორმაციას პროფესიების შინაარსის, შრომის ბაზრის მოთხოვნების, დასაქმების პერსპექტივების, ანაზღაურების ტენდენციებისა და განათლების ალტერნატიული გზების შესახებ. სერვისების მიწოდება გაძლიერებულია სკოლებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმებით, მრავალფეროვანი მეთოდოლოგიისა და რესურსების გამოყენებით. ეს მოიცავს პოტენციურ აპლიკანტთა ფიზიკურ ვიზიტებს აკადემიაში, ასევე აკადემიის წარმომადგენელთა გასვლით ვიზიტებს პარტნიორ სკოლებში. პროცესსი გამოიყენება პროფესიათა გზამკვლევები, ვიქტორინა და ინტერაქტიული თამაშები პროფესიების შესახებ ცნობიერების ასამაღლებლად, თვითშეფასების ელექტრონული კითხვარი, ინტერესების შესაბამისად პროფესიის ასარჩევად და სხვა. აღნიშნული მიდგომა ზრდის განათლების მიწოდების ეფექტიანობას და უზრუნველყოფს კარიერული განვითარების მხარდაჭერის სერვისების ხარისხიან ინტეგრაციას აკადემიის საქმიანობაში.

აკადემიის სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დასტურდება, რომ აკადემია სისტემატურად უზიარებს ვაკანსიებს პროფესიულ სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მათი ინტერესისა და პროფესიის გათვალისწინებით. გარდა ამისა, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ ხშირად აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ კოლეჯში გამართულ სხვადასხვა ღონისძიებებსა და შეხვედრებში, სადაც ჩართულები არიან დამსაქმებლებიც, რაც ხელს უწყობს მათ პროფესიული გამოცდილების გაღრმავებას, პირდაპირ კავშირს ბაზართან და კარიერულ განვითარებას.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.2.1 დაკმაყოფილებულია და კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;

2.„კარიერული განვითარების სერვისების მართვის წესი“-ს შესაბამისად აკადემიაში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერისა და განვითარების მრავალფეროვანი მექანიზმები, მათ შორის დასაქმების ფორუმები, კარიერული კონსულტაციები და თემატური ტრენინგები. დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ორგანიზაციებთან, რომლებიც რეგულარულად აზიარებენ ინფორმაციას არსებულ ვაკანსიებსა და სტაჟირებებზე. აღნიშნული ინფორმაცია სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს მიეწოდებათ სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის მეშვეობით, მათ შორის ელექტრონული ფოსტისა და სოციალური ქსელების გამოყენებით. ამ მიზნით, აკადემიის სოციალურ ქსელში მოქმედებს დახურული ჯგუფი, რომელიც აერთიანებს 2000-ზე მეტ პროფესიულ სტუდენტსა და კურსდამთავრებულს და უზრუნველყოფს ვაკანსიებისა და სტაჟირებების შესახებ ინფორმაციის სისტემატურ გავრცელებას.

ვიზიტის ფარგლებში დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დამატებითი მტკიცებულებები, ელექტრონულ ფოსტაზე გაზიარებული მიმდინარე ვაკანსიები პროფესიული მიმართულებების მიხედვით და სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებები, ცხადყოფს, რომ მსგავსი შეთავაზებები სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებისთვის პერმანენტულ ხასიათს ატარებს, ხოლო სტუდენტების/კურსდამთავრებულების გამოხმაურებებით ირკვევა, შეთავაზებული ვაკანსიები მათი ინტერესების სფეროს სრულიად ემთხვევა.

პროფესიულ სტუდენტთა კარიერული განვითარების ერთ-ერთ პრაქტიკას წარმოადგენს აკადემიაში განხორციელებული პროექტი „გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება – გახდი პროფესიული განათლების მასწავლებელი“, რომლის მიზანი იყო პროფესიული მასწავლებლის კარიერის პოპულარიზაცია და აკადემიის მასწავლებელთა კორპუსის გაძლიერება კვალიფიციური ადამიანური რესურსით. პროექტი წარმატებით დაასრულა 25-მა მონაწილემ.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.2.2 დაკმაყოფილებულია და პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

3.„კარიერული განვითარების სერვისების მართვის წესი“-ს შესაბამისად, აკადემიის კარეირული განვითარების სერვისებს შორის აღსანიშნავია კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელიც შეიწავლის თუ სად მუშაობენ ან რას აკეთებენ კურსდამთავრებულები განათლების მიღების შემდეგ. კვლევის მიზანია აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო, მომზადება/გადამზადების პროგრამების ინიცირებისა/იდენტიფიცირებისა და განვითარების ხელშეწყობა, კურსდამთავრებულთა მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შრომის ბაზრის თანამედროვე მოთხოვნებთან რელევანტურობის შეფასება, საჭირო კვალიფიკაციების ინიცირების/მოქმედ ჩარჩო დოკუმენტებში ცვლილებების საჭიროების დასაბუთების ხელშეწყობა, პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის ხელშეწყობა და ბენეფიციართა კარიერული განვითარების ხელშეწყობა. კურსდამთავრებულთა კვლევა სავალდებულო წესით ხდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან 12 თვის და 36 თვის შემდეგ.

2025 წელს ადამიანური რესურსების მართვისა და კარიერული განვითარების მენეჯერის მიერ განხორციელდა კურსდამთავრებულთა კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 2020–2021 წლების კურსდამთავრებულების 59.43%-მა, ხოლო 2022–2023 წლების კურსდამთავრებულების 41.04%-მა. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, 2020–2021 და 2022–2023 წლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა წარმატებით არის დასაქმებული ან აგრძელებს სწავლას (შესაბამისად 87.3% და 90.8%), რაც მიუთითებს პროგრამების ეფექტიანობაზე. პროფილური დასაქმება განსაკუთრებით მაღალია ჯანდაცვისა და ფარმაციის მიმართულებებში, მაშინ როცა ლოგისტიკისა და საბაჟო საქმის პროგრამებში მეტად გავრცელებულია არაპროფილური დასაქმება. გამოკითხვის ფარგლებში კურსდამთავრებულთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ აკადემიაში მიღებული ცოდნა და უნარები მათ პრაქტიკაში მეტწილად ან ნაწილობრივ გამოადგათ. დაწესებულების მიერ შემუშავებული კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის საფუძველზე ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მიღებული მონაცემები ნმიუთითებს პროგრამების მაღალი ხარისხით განხორციელებასა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაზე.

შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.2.3 დაკმაყოფილებულია და პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;

4.2025 წლის კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რესურსების მართვისა და კარიერული განვითარების მენეჯერის მიერ განისაზღვრა რეკომენდაციები, რომლებიც უკავშირდება პროფილური დასაქმების ხელშეწყობას, დამსაქმებლებთან პარტნიორობის გაღრმავებას, კარიერული კონსულტაციების, ინტერვიუსთვის მომზადებისა და მხარდაჭერის სისტემურ შეთავაზებას, ასევე საგანმანათლებლო გზების რუკებისა და პროგრამაზე მორგებული კარიერული გზამკვლევების შექმნას და პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერებას.
აღნიშნული შედეგები განხილულ იქნა აკადემიის მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრაზე, ხოლო კვლევის მიგნებები გათვალისწინებული იქნა აკადემიის 2025–2026 წლების სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში. წარმოდგენილი მტკიცებულებები ცხადყოფს, რომ დაწესებულება პერიოდულად აანალიზებს კვლევებიდან მიღებულ მონაცემებს და საჭიროების შემთხვევაში დროულად რეაგირებს მათზე პროცესების გაუმჯობესების მიზნით.
შესაბამისად, ინდიკატორის 3.2.2.4 დაკმაყოფილებულია და პსდ კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი;
- მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრის ოქმი;
- ბმულები კარიერული მხარდაჭერის სერვისებზე;
- კარიერული მხარდაჭერის ამსახველი ფოტო მტკიცებულებები;
- ექთნების ასოციაციასთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პროფესიული სტუდენტის კმაყოფილების კვლევა - სერვისების შეფასების ანგარიში;
- კარიერული განვითარების სერვისების მართვის წესი;
- კურსდამთავრებულთა კვლევის კითხვარი;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. ადამიანური რესურსები

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

4.1.1 პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2024 წლის 3 ოქტომბის ბრძანება №00000373 დამტკიცებული დოკუმენტით „დებულება“ აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მოიცავს შემდეგ ძირითად პერსონალს/სტრუქტურულ ერთეულს: სენატი, დირექტორი, რექტორი, ხარისხის მართვის სამსახური, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური და ადმინისტრაციული სამსახური; აკადემიას ასევე, წარმოდგენილი აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა ორგანოგრამის სახით, სადაც სქემატურად არის მოცემული პერსონალის იერარქია და დაქვემდებარებები. თითოეული პერსონალის პირადი საქმე მოიცავს თანამდებობრივი პოზიციის სამუშაო აღწერილობას, სადაც ჩანს პოზიციის მიხედვით შესასრულებელი დავალებები, სამუშაოს პირობები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პოზიციებს შორის კოორდინაციის საკითხი, დაქვემდებარება და ანგარიშვალდებულება/პასუხისმგებლობა. პერსონალის წარმოდგენილი პირად საქმეებზე დაყრდნობით, დაწესებულებაში დასაქმებულია 40-მდე ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალი, რომლებთანაც აკადემიას გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულებები.
ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციულ პერსონალთან ჩატარებული გასაუბრების შედეგად გამოვლინდა, რომ თანამშრომლები კარგად იცნობენ დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს და თავიანთი პოზიციის შესაბამის სამუშაო აღწერილობებს, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის ეფექტურობას.
შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია და პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

2. აკადემიის თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული ფუნქციები და პასუხისმგებლობები სრულად ფარავს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებასა და სტრატეგიული მიზნების მიღწევასთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული დასტურდება როგორც თანამშრომლებთან გამართული გასაუბრებებით, ისე კოლეჯის სამოქმედო გეგმაში მიზნებისა და ამოცანების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების მკაფიოდ განსაზღვრით.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად გამოვლინდა შემდეგი მიგნებები:
• ადმინისტრაციული სამსახურის სტრუქტურული ერთეულების მენეჯერების სამუშაო აღწერილობებში უშუალო ხელმძღვანელად მითითებული იყო აკადემიის დირექტორი, მაშინ როდესაც შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს ჰყავს ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი; ადმინისტრაციული სამსახურის პერსონალთან გასაუბრების საფუძველზე დაადგინა, რომ მოქმედი პრაქტიკის მიხედვით ადმინისტრაციული სამსახურის ყველა მენეჯერი ანგარიშვალდებულია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის წინაშე, რასაც ადასტურებს ექსპერტთა მიერ შესწავლილი ელექტრონული საქმისწარმოების მტკიცებულებებიც.
• ადმინისტრაციული სამსახურის უფროსისა და ფინანსური მენეჯერის ფუნქცია-მოვალეობების აღწერილობები ფინანსური მართვის ნაწილში ერთმანეთის იდენტური იყო. დოკუმენტაციის მიხედვით, ფინანსური მენეჯერისა და ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის ფუნქცია-მოვალეობებს შორის დაფიქსირდა დამთხვევა და არ იკვეთებოდა პოზიციის შესაბამისად საქმეების დელეგირება. პერსონალთან გასაუბრებითა და მათ მიერ წარმოდგენილი არგუმენტებით, დადგინდა, რომ ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი ითავსებს ფინანსური სპეციალისტის პოზიციას, შესაბამისად, თავისი კომპეტენციის ფარგლებში ჩართულია ფინანსური ოპერაციების შესრულებაში, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსმა და ფინანსურმა მენეჯერმა სამუშაო აღწერილობაში მოცემული დამთხვევების მიზეზად

მოვალეობებში გაწერილი დებულებების არასწორი ფორმულირება დაასახელა. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში წარმოადგინა ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის განახლებული ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც სრულად შეესაბამება აკადემიაში დანერგილ ფუნქციების და პასუხისმგებლობების განაწილების პრაქტიკას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებასთან მოხდა აღნიშნული საკითხის განხილვა, დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფმას და ვიზიტის დასრულებამდე იქნა წარმოდგენილი დაზუსტებული ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო აღწერილობები უშუალო ხელმძღვანელის პოზიციის მითითებით პრაქტიკაში დანერგილი მართვისა და ანგარიშვალდებულების შესაბამისად.
შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია და პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;

3. „დებულების“ მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულია ხარისხის მართვის სამსახური, რომელიც წარმოდგენილია სამსახურის უფროსისა და მენეჯრის სახით. სამსახური უზრუნველყოფს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის ციკლის დანერგვას, მისი განხორციელების კოორდინირებასა და მუდმივ გაუმჯობესებას, რისთვისაც მონაწილეობს აკადემიის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შეფასების/შემუშავების პროცესში; საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს შიდა მარეგულირებელ აქტებში საჭირო ცვლილებების ინიცირებას; შეიმუშავებს/აუმჯობესებს აკადემიის პროცესებზე მონიტორინგის განხორციელების მექანიზმებს, ინსტრუმენტებს, პროცედურებს და ადგენს ხარისხის უზრუნველყოფის წლიურ სამოქმედო გეგმას; არსებობის შემთხვევაში, კოორდინაციას უწევს მონიტორინგის განმახორციელებელი ჯგუფის მუშაობას; აანალიზებს მონიტორინგის შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს საქმიანობის შემდგომი გაუმჯობესების თაობაზე; ორგანიზებას უწევს შემუშავებული რეკომენდაციების გაზიარებას აკადემიის ხელმძღვანელობასთან, სტრუქტურულ ერთეულებთან და დაინტერესებულ მხარეებთან; ახორციელებს გაზიარებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს; კოორდინაციას უწევს აკადემიის ავტორიზაციის/პროგრამის დამატების/პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ადმინისტრაციული პროცესების თუ წარმოებების მომზადებას. ასევე, კოორდინაციას უწევს თვითშეფასების ანგარიშის შევსებას და მის წარდგენას ცენტრში დადგენილი ვადების შესაბამისად.
აღნიშნული ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს სხვა ადმინისტრაციული პერსონალის საქმიანობასთან. რაც დადასტურდა პროცესების მიმდინარეობით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 2025 წლის სამოქმედო გეგმისა და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით.
შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დებულება;
- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის სამუშაოს აღწერილობა;
- ხარისხის მართვის სამსახურის მენეჯერის სამუშაოს აღწერილობა;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- ხარისხის უზურნველყოფის 2025 წლის სამოქმედო გეგმა;

- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.1.2 პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. აკადემიაში პერსონალის მართვის საკითხები განსაზღვრულია დირექტორის 2025 წლის 18 თებერვლის N2497 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“-სა და დირექტორის 2024 წლის 11 დეკემბრის N00000473 ბრძანებით დამტკიცებული „შინაგანაწესი“-ს დოკუმენტებით. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“ მკაფიოდ დაკავშირებულია აკადემიის სტრატეგიულ მიზნებთან და ადასტურებს, რომ თანამშრომელთა განვითარება, მოტივაცია და ღირებულებებზე დაფუძნებული ქცევა განიხილება ინსტიტუციური ეფექტიანობისა და მდგრადობის მთავარ წინაპირობად. დოკუმენტით უზრუნველყოფილია ახალი კადრის საჭიროების განსაზღვრის, პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, კონკურსის ჩატარების, კანდიდატთან წინასახელშეკრულებო ურთიერთობის, ახალი თანამშრომლის ინტეგრაციისა და სამუშაო პროცესში ეფექტური ჩართვის, პერსონალის პროფესიული და კარიერული განვითარებისა და ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების საკითხები.
აკადემიის შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად. დოკუმენტი განსაზღვრავს როგორც დამსაქმებლის, ისე დასაქმებულის უფლებებსა და მოვალეობებს, შრომითი ურთიერთობების წარმოშობის, წარმართვისა და შეწყვეტის წესებს. დოკუმენტი უზრუნველყოფს სამართლიან, გამჭვირვალე და უსაფრთხო სამუშაო გარემოს, სადაც გათვალისწინებულია ყველა მნიშვნელოვანი სამართლებრივი და ეთიკური საკითხი. „შინაგანაწესით“ დადგენილია და დოკუმენტში დეტალურადაა განსაზღვრული სამუშაო და დასვენების დრო, შრომის და ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი, შვებულება, მისი მიღების, რეგისტრაციის და ანაზღაურების წესი, შრომითი ურთიერთობების შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, შრომითი დავების გადაწყვეტის საკითხები.
შესწავლილი დოკუმენტებისა და პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აკადემიაში პერსონალის მართვა, ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების შესაბამისად. კერძოდ:

➢ შრომითი ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალთან შესაბამისობაშია როგორც შინაგანაწესთან, ასევე საქართველოს შრომის კოდექსთან და დაწესებულების სხვა შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებთან, შესაბამისად, აღნიშნულ ხელშეკრულებებზე ხელმოწერები ადასტურებს პერსონალის მხრიდან შინაგანაწესით დარეგულირებული შრომითი ურთიერთობის საკითხების გაცნობას.

➢ შესწავლილი დოკუმენტების (ბრძანებები, განცხადებები და ა.შ) პერსონალის პოზიციაზე დანიშვნა და განთავისუფლების პროცესებში დაცულია როგორც შიდა მარეგულირებელი, ასევე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები.

პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ შრომით სამართლებრივი ურთიერთობის პრინციპები დაცულია მიმდინარე პროცესებში და პერსონალი ფლობს ინფორმაციას მასზე დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესახებ.

შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია და პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.

2. აკადემიაში პერსონალის მართვის საკითხები დარეგულირებულია „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“-თ, რომელიც ქმნის სამართლებრივ და ორგანიზაციულ საფუძველს კადრების მოზიდვისა და შერჩევის პროცესის წარმართვისთვის და უზრუნველყოფს პროცედურების შესაბამისობას როგორც შიდა რეგულაციებთან, ისე მოქმედ კანონმდებლობასთან. ახალი კადრის საჭიროების შემთხვევაში ადამიანური რესურსების მართვისა და კარიერული განვითარების მენეჯერი ხელმძღვანელობს არსებული სამუშაო აღწერილობითა და შესაბამისი თანამდებობისთვის დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნებით. პერსონალის მოზიდვა ხორციელდება როგორც შიდა, ისე გარე წყაროებიდან. შიდა წყაროს წარმოადგენს შიდა ვაკანსიის გამოცხადება ან/და როტაცია, ხოლო გარე წყაროებს – პარტნიორი ორგანიზაციების რეკომენდაციები, ვაკანსიების განთავსება დასაქმების პორტალებზე, აკადემიის ვებ-გვერდზე და სოციალურ ქსელებში, აკადემიაში დასაქმებული პერსონალის პირადი კონტაქტების გამოყენება, დასაქმების ფორუმებში მონაწილეობა, სტაჟირება, კვალიფიციური კანდიდატებისთვის კონკურენტუნარიანი ანაზღაურების შეთავაზება და საკონკურსო რეზერვი. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს პოზიციებზე ინფორმაციის გავრცელებას და კანდიდატთა ფართო წრის მოზიდვას.

პერსონალის შერჩევის პროცესი მიმდინარეობს კონკურსით ან კონკურსის გარეშე, გაწეული რეკომენდაციის საფუძველზე. კონკურსის წესით პირის შერჩევის პროცესი მოიცავს ვაკანსიის გამოცხადების, საკონკურსო მოთხოვნებთან ფორმალური შესაბამისობის დადგენის მიზნით შემოსული რეზიუმეების გადარჩევის, გასაუბრების/ტესტირების და კანდიდატის შეფასების (ზეპირი ან/და წერილობითი ფორმით)ეტაპებს, შერჩევის შემდეგ თანამშრომელთან ფორმდება ხელშეკრულება. არსებული პრაქტიკის შესწავლისა და პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პერსონალის შერჩევის პროცესი კონკურსის გზით სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს.

პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებების გაცნობით გამოიკვეთა, რომ აღნიშნულ დოკუმენტში ასახულია საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი არსებითი პირობები როგორიცაა: მხარეთა შესახებ ინფორმაცია, ხელშეკრულების საგანი, სამუშაოს შესრულება და დრო, მხარეთა უფლება-მოვალეობები, მუშაობის დაწყების თარიღი და შრომითი ურთიერთობის ხანგრძლივობა, შრომის ანაზღაურება, ზეგანაკვეთური სამუშაო და მისი ანაზღაურება, შვებულება, შრომითი ურთიერთობის შეჩერება და შეწყვეტა, კონფიდენციალობა და შრომითი დავების გადაწყვეტა. ხელშეკრულებაზე მხარეთა ხელმოწერა ადასტურებს, რომ ხელშეკრულება არ მოიცავს ბუნდოვან დებულებებს და რომ ისნი სრულად გაეცნენ და მიიღეს აღნიშნული პირობები.

შრომითი ხელშეკრულების გაფორმებისთანავე ხორციელდება თანამშრომლის პირადი საქმის წარმოება ელექტრონულად, რომელიც წარმოადგენს კონფიდენციალურ ინფორმაციას. პირადი საქმე მოიცავს ავტობიოგრაფიას ან CV-ს, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს, პირადობის მოწმობის ასლს, განაცხადს თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, ნასამართლეობის ცნობას, შრომით ხელშეკრულებას, სამუშაო აღწერილობასა და სერტიფიკატებს. პერსონალის პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ პირად საქმეში ინახება განსაზღვრულ თანამდებობაზე პერსონალის აყვანისთვის საჭირო დოკუმენტაცია. აღნიშნული პრაქტიკა უზრუნველყოფს თანამშრომელთა დოკუმენტაციის სრულობას და შესაბამისობას კვალიფიკაციის მოთხოვნებთან.

შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია და პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;

3.აკადემიას სამუშაო აღწერილობებით განსაზღვრული აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსხვავებული თანამდებობისთვის ინდივიდუალურად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა კოლეჯში დასაქმებული პერსონალის პირადი საქმეები და დადგინდა, რომ თითოეულ პირად საქმეში განთავსებულია ავტობიოგრაფია ან CV, განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები,სერტიფიკატები, პირადობის მოწმობის ასლი, განაცხადი თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე, სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობა, შრომითი ხელშეკრულება, სამუშაო აღწერილობები, რომელიც მოიცავს როგორც პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებს ასევე საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. პირადი საქმეების შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ თანამშრომლების კვალიფიკაცია სრულ შესაბამისობაშია პოზიციით გათვალისწინებულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან.
შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია და პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

4. აკადემიის მართვის პროცესები ეფუძნება მონაწილეობით და გუნდურ მუშაობას, რაც დასტურდება შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და დამკვიდრებული პრაქტიკით. სტრუქტურის, რეგულაციების და პრაქტიკის ანალიზი აჩვენებს, რომ სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში უზრუნველყოფილია პერსონალის ერთობლივი ჩართულობა სენატის, სამუშაო ჯგუფებისა და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის მეშვეობით. ასევე, პერსონალთან გასაუბრებები, სამუშაო ჯგუფებისა და კომისიების შექმნის ბრძანებები, მათი მუშაობის ამსახველი ოქმები ადასტურებს, აკადემიაში გუნდური მუშაობის ეფექტიანობას.
შესაბამისად, ინდიკატორის 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია და პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- შინაგანაწესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი;
- პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- პერსონალის სამსახურში მიღების პროცესის ამსახველი მტკიცებულებები;
- ერთიანი საქმისწარმოების წესი;
- სამუშაო ჯგუფების ოქმები;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2 პერსონალის განვითარება

4.2.1 პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“ განსაზღვრავს პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმებსა და პროცედურებს. დოკუმენტის მიხედვით, შეფასების მიზანია თანამშრომელთა შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება, თანამშრომელთა ჩართულობის გაზრდა აკადემიის მიზნების მიღწევასა და საქმიანობაში, შედეგზე ორიენტირებული მმართველობის/კომუნიკაციის განხორციელება, აკადემიის ორგანიზაციული მიზნების მიღწევის ხელშეწყობა თითოეული თანამშრომლის საქმიანობის ეფექტურობის გაზრდის გზით, თანამშრომელთა დელეგირების ხარისხის ამაღლება, ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის ხარისხის ზრდა, მოვალეობათა შესრულებისთვის საჭირო კომპეტენციების განვითარება, თანამშრომელსა და მის ხელმძღვანელს შორის კომუნიკაციის, თანამშრომლობის გაუმჯობესება სამუშაოს დაგეგმვისა და შეფასების პროცესში, თანამშრომელთა ინფორმირება მათ მიმართ მოლოდინების შესახებ და შესრულებული საქმიანობის ხარისხის თაობაზე, თანამშრომლის მიერ სამუშაო აღწერილობით განსაზღვრული ფუნქციების და მოვალეობების შესრულების ეფექტურობის გაუმჯობესება, თანამშრომელთა კარიერული განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომელთა წახალისება და მოტივაციის გაზრდა, თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა და შესაბამისად, აკადემიის შესაძლებლობების გაზრდა.
შეფასება ეფუძნება ობიექტურობის, გამჭირვალობის, ვალიდურობის, სამართლიანობის, სანდოობის, კონფიდენციალურობის ძირითად პრინციპებს და მოიცავს ფუნქცია-მოვალეობებისა და კომპეტენციების შეფასებას 2 წელიწადში ერთხელ, რომელშიც მონაწილეობს აკადემიის ყველა ადმინისტრაციული რგოლი გარდა რექტორი და დირექტორისა. შეფასების პროცესი მოიცავს როგორც ხელმძღვანელი პირის მიერ დაქვემდებარებულის შეფასებას, ასევე თვითშეფასებას შესაბამისი შეფასების ფორმის მიხედვით, აღნიშნული ინსტრუმენტი ითვალისწინებს 4 ბალიან ქულათა სისტემას, რომლის საბოლოო შედეგი გამოითვლება შეწონილი %-ით, რომელთა ჯამი=100%-ს. შეფასების შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია განხორციელდეს თანამშრომლის წახალისება, თანამშრომლის კარიერული განვითარების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თანამშრომლის ჰორიზონტალური გადაადგილების თაობაზე გადაწყვეტილების მიღება, თანამშრომლის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის გამოყენება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ან თანამშრომლის სამსახურიდან გათავისუფლება ზედიზედ ორჯერ უარყოფითი შეფასების შემთხვევაში. შეფასების შედეგების ერთიანი ანგარიში, პერსონალის პროფესიული განვითარების გეგმასთან ერთად წარედგინება კოლეჯის დირექტორს.
შეფასებას ექვემდებარება ასევე ყველა აკადემიის მასწავლებელი, რომელთა შეფასება მოიცავს თვითშეფასებას, თვითშეფასების ვალიდაციას და განვითარების გეგმის შედგენას.
2025 წელს განხორციელდა ადმინისტრაციული პერსონალის საპილოტე შეფასება ახალი შეფასების სისტემის შესაბამისად, რომელშიც 39 ადმინისტრაციული პერსონალიდან მონაწილეობა მიიღო 5-მა თანამშრომელმა. შეფასების შედეგების მიხედვით 4 ადმინისტრაციული პერსონალი (80%) შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, ხოლო 1 ადმინისტრაციული პერსონალი (20%) საჭიროებს გაუმჯობესებას. შეფასების შედეგებმა აჩვენა, რომ საერთო ჯამში ადმინისტრაციული

პერსონალის საქმიანობა შეესაბამება მოსალოდნელ სტანდარტებს. შეფასების შედეგები დაფუძნებულია სამუშაოს აღწერილობის შესაბამის ფუნქციებზე, ამოცანებზე და ორგანიზაციული კომპეტენციების შეფასებაზე. შეფასების საფუძველზე გამოიკვეთა ხელოვნური ინტელექტის და ციფრული ინსტრუმენტების გამოყენებით მონაცემთა ანალიზისა და ანგარიშგების უნარების გაძლიერების, კონფლიქტების მართვისა და ემოციური ინტელექტის განვითარების აუცილებლობა. გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირების საფუძველზე აკადემიამ შეიმუშავა ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების გეგმა.

ამავე წელს განხორციელდა მასწავლებლების შეფასება საპილოტე რეჟიმში საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის პროექტის ფარგლებში, მათი პროფესიული განვითარების ხელშეწყობის, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისა და შეფასების ინსტრუმენტის ეფექტიანობის განსაზღვრის მიზნით. პროცესი განხორციელდა განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული განათლების მასწავლებლის ექვსივე პროფესიული სტანდარტის მიხედვით. საპილოტე პროცესში მონაწილეობა მიიღო 15 მასწავლებელმა, მათ შორის 3 ძირითადი მასწავლებელი იყო, რაც ძირითადი მასწავლებლების რაოდენობის 33% -ს შედგენდა, ხოლო 12- მოწვეული მასწავლებელი - 8%. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა შემდეგი გასაუმჯობესებელი მიმართულებები: სასწავლო გარემოს მოწყობა – კომპლექსური კომპეტენციების გაძლიერება, შეფასების მეთოდები და დოკუმენტირება პროფესიული განვითარების დაგეგმვის უნარები, თანამშრომლობითი პროცესების განხორციელების უნარის განმტკიცება.

პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ აკადემია პერიოდულად ახორციელებს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას. მიღებული შედეგების საფუძველზე იგეგმება შესაბამისი განმავითარებელი ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგები, გადამზადება და წახალისების მექანიზმები, რაც ხელს უწყობს თანამშრომელთა უნარების გაუმჯობესებას და სასწავლო პროცესის სრულყოფას.

შესაბამისად, ინდიკატორის 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;

2.„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“-ს მიხედვით აკადემიაში პერსონალის პროფესიული განვითარების მიზანია პროფესიული ცოდნის, კომპეტენციებისა და შესაძლებლობების გაზრდა, შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება. განვითარება მოიცავს როგორც ახალი თანამშრომლების სწავლებისა და ადაპტაციის პროცესს, ასევე მოქმედი პერსონალის უწყვეტ სწავლებასა და გადამზადებას. არსებული თანამშრომლების პროფესიული განვითარება იგეგმება წლიური საოქმედო გეგმის ფარგლებში, რაც უზრუნველყოფს პროცესის სისტემურობასა და ორგანიზაციულ საჭიროებებთან შესაბამისობას, ხოლო თანამშრომელთა ინიციატივების გათვალისწინება ზრდის პროცესის მოქნილობასა და მოტივაციურ ეფექტს. აკადემია იყენებს პროფესიული განვითარების მრავალფეროვან ფორმებს, მათ შორის როგორც შიდა, ისე გარე რესურსებს, რაც ხელს უწყობს ცოდნის გაზიარებას, გამოცდილების გაცვლასა და თანამედროვე პრაქტიკების დანერგვას. აღნიშნული მიდგომა ქმნის საფუძველს პერსონალის პროფესიული პოტენციალის გაძლიერებისა და ინსტიტუციური განვითარების მხარდაჭერისთვის.

აკადემია უზრუნველყოფს პერსონალის პროფესიული განვითარებას გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად, რასაც ცხადყოფს პერსონალის განვითარების მიზნით აკადემიის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები, მათ შორის, თანამშრომლებს შორის უცხო ენის (ინგლისური ენა) კომპეტენციის გაუმჯობესების მიზნით დაწესებულებამ შეიმუშავა 3 ეტაპისგან შემდგარი კონცეფცია, რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის უცხო ენის კომპეტენციის გაუმჯობესებას, საერთაშორისო კომუნიკაციის ხარისხის ზრდას, როგორც შიდა პროექტებში, ასევე საგარეო პარტნიორებთან, ინტერნაციონალიზაციის პროცესების მხარდაჭერას, პერსონალის პროფესიული შესაძლებლობების ზრდას და აკადემიის საერთაშორისო პოზიციონირების გაძლიერებას. ასევე, დაწესებულებამ უზრუნველყო პერსონალის ჩართვა ტრენინგში, სადაც განხილულ იქნა ტექნიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, მათი სრულფასოვანი ათვისების გზები და ციფრული გარემოს უსაფრთხო გამოყენების საკითხები. ტრენინგის ფარგლებშო განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ხელოვნური ინტელექტის (AI) ინტეგრაციის შესაძლებლობებს პროფესიულ განათლებაში, სადაც მასწავლებლებმა საკუთარი ხედვები და გამოცდილება გააზიარეს. დამატებით, აკადემიაში დასაქმებული პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისათვის მათი პროფესიული ზრდისა და სტიმულირებისთვის, დაწესდა დამატებითი ანაზღაურებადი შვებულება.

ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარებული გამოკითხვა რომლის ძირითად მიზანს პერსონალის კმაყოფილების დადგენა წარმოადგენდა, ცხადყოფს, რომ ადმინისტრაციული პერსონალის წარმომადგენელთა უმრავლესობის (77%) შეფასებით საჭიროების შემთხვევაში აკადემია ხელს უწყობს მათ პროფესიულ განვითარებას. შეფასების შედეგები პერსონალის პროფესიული განვითარების გაერთიანებული გეგმის (აქტივობების) სახით ინტეგრირდა აკადემიის 2025-2026 წლების სამოქმედო გეგმის პროექტში.

პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათი განვითარება ხორციელდება აკადემიის მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით. ეს ნიშნავს, რომ პროფესიული განვითარების ღონისძიებები არ არის ერთჯერადი ან ფორმალური ხასიათის, არამედ ემყარება რეალურ მოთხოვნებსა და პრიორიტეტებს, რომლებიც იკვეთება პერსონალის საქმიანობის შეფასებისა და ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიიდან.

შესაბამისად, ინდიკატორის 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია დაპერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

3. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“ განსაზღვრავს პროფესიული მასწავლებლების შეფასების მექანიზმებს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის საჭიროებები დგინდება შეფასების და სამუშაო პროცესზე დაკვირვების გზით, რომელიც მოიცავს 3 ეტაპს: თვითშეფასება, თვითშეფასების ვალიდაცია და განვითარების გეგმის შედგენა. დაწესებულება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების გეგმის ინტერგაციას ახორციელებს ინსტიტუციურ წლიურ სამოქმედო გეგმაში.

შესაბამისი კანონმდებლობის მიღებამდეც, აკადემია ითვალისწინებდა პროფესიული განათლების მასწავლებლების ინდივიდუალურ საჭიროებებს და ზრუნავდა მათ პროფესიული განვითარებაზე. რაც დასტურდება აკადემიის მიერ შეთავაზებული ტრენინგებით, კონფერენციებითა და მასტერკლასებით. მათ შორის, „გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება“ კონფერენციები თემებზე: „ინტეგრირებული მოდულების სწავლებისა და შეფასების პრაქტიკული ასპექტები“(2023წ), „ ინოვაციური სწავლების მეთოდები ინტეგრირებულ მოდულებში“ (2024წ) , „პროფესიული განათლების მასწავლებლის როლი სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და განხორციელებაში“ (2024წ), „Gen Z და პროფესიული განათლება“ (2025 წ). ასევე, აკადემია დარგობრივი კომპეტენციების განვითარების მიზნით უზრუნველყოფს პროფესიული მასწავლებლების ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და სტაჟირებებში ჩართვას, მაგ: CISCO -ს კურსი, სტაჟირება „პინეოს სამედიცინო ეკოსისტემაში“, ტრენინგი პროფესიული სტუდენტის შეფასების შესახებ, სამუშაო შეხვედრა თემაზე „ტრენერი, როგორც ინტრაპრენერი“.

აკადემიაში პერსონალის კარიერული განვითარების მხარდაჭერა წარმოადგენს სისტემურად ჩამოყალიბებულ და პრაქტიკაში დამკვიდრებულ მიდგომას. მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ მასწავლებლის პოზიციაზე დასაქმებული რამდენიმე პირი აკადემიის კურსდამთავრებულია, რომლებიც სწავლის დასრულების შემდეგ აკადემიაში დასაქმდნენ განმახორციელებელი პერსონალის რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნული ფაქტი ადასტურებს, რომ აკადემია მიზანმიმართულად იყენებს საკუთარ კურსდამთავრებულთა პოტენციალს და უზრუნველყოფს მათ კარიერულ განვითარებას.

ამასთან, აკადემიის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტური მტკიცებულებები ადმინისტრაციული პერსონალის კარიერული განვითარების შესახებ ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში არსებობს შიდა კარიერული წინსვლის რეალური შესაძლებლობები, მათ შორის სტაჟირებიდან შუა რგოლის მენეჯერის პოზიციამდე დაწინაურების პრაქტიკა. აკადემიაში პერსონალის კარიერული წინსვლის ხელშეწყობა ეფუძნება როგორც ინდივიდუალური პოტენციალის იდენტიფიცირებას, ისე შიდა განვითარების სტრატეგიას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას, მოტივაციის ზრდას და ინსტიტუციური განვითარების მდგრადობას, რაც დადებითად აისახება აკადემიის საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ხარისხზე.

შესაბამისად, ინდიკატორის 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;

4.„ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“ არეგულირებს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის საკითხებს სამუშაო გარემოსთან, დოკუმენტის მიხედვით, ადაპტაციის მიზანია ახალმა თანამშრომელმა სრულფასოვნად მოახდინოს გუნდთან, უშუალო ხელმძღვანელთან და სხვა თანამშრომლებთან სოციალიზაცია, საკუთარ ფასეულობათა შესაბამისობა აკადემიის კორპორატიულ ღირებულებებსა და ნორმებთან. აკადემიაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მხარდამჭერი ღონისძიებები მოიცავს, ახალი თანამშრომლისათვის სამუშაო სივრცისა და პერსონალის გაცნობას, საჭიროების შემთხვევაში ახალი თანამშრომლის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ პროგრამა - E-Flow-სა ან/და აკადემიის თანამშრომელთა საინფორმაციო ბაზაში დამატებას, სამუშაო ელექტრონული ფოსტის გახსნას, აკადემიაში შემოსასვლელი ელექტრონული ბარათის გადაცემას, შინაგანაწესის და სხვა ორგანიზაციული მარეგულირებელი დოკუმენტაციის გაცნობას, გაცნობითი ხასიათის შეხვედრის/ინსტრუქტაჟის ჩატარებას, საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფას, კორპორატიული დაზღევის პაკეტის შეთავაზებას, საჭიროების შემთხვევაში მენტორის განსაზღვრას.
ადაპტაციის პერიოდში ტარდება თანამშრომლის გამოკითხვა, რომელიც ფარავს ისეთ საკითხებს, როგორებიცაა: ადაპტაცია, მენტორობის და მხარდაჭერის ხარისხი, სამუშაო პროცესი და ამოცანები, მოტივაცია და მოლოდინები, კომუნიკაცია და ორგანიზაციული კულტურა, რის საფუძველზეც განისაზღვრება შემდგომი ნაბიჯები. აღნიშნული პრაქტიკა დადასტურდა აკადემიის პერსონალთან გასაუბრებითაც.
შესაბამისად, ინდიკატორის 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია და პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

5. „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი“-თ რეგულირდება პერსონალის წახალისების მექანიზმები, რომლის საფუძველზე პერსონალის წახალისება ფულადი ჯილდოების, სამუშაო-წამახალისებელი ღონისძიებების, პერსონალის ტრენინგებში/სემინარებში/მასტერკლასებში ჩართულობის დაფინანსების, კორპორატიული ღონისძიებების სახით აკადემიაში კარგად დამკვიდრებულ პრაქტიკას წარმოადგენს. ასევე, აკადემია აქტიურად უჭერს მხარს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებულ ისეთ მრავალფეროვან ინიციატივებს როგორიცაა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ინიციატივით, ყოველწლიური პრაქტიკული კონფერენციები; პერსონალის ინიციატივით, 2024 წელს კურსის „ხელოვნური ინტელექტი განათლებისთვის - გენერაციული AI პლატფორმები“ სრულად დაფინანსება მენეჯმენტის მიერ; სასწავლო პორცესის მართვის სამსახურის ინიციატივით პროფესიული მასწავლებლების უცხოური ენის ცოდნის დამადასტურებელი გამოცდების დაფინანსება; აკადემიის რექტორის ინიციატივით, სასწავლო პროცესის თანამშრომლის ჩართულობის უზრუნველყოფა უცხოეროვან ვორქშოპზე.
დაწესებულების პერსონალთან გასაუბრებებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის (მათ შორის, 2025 წლის პერსონალის განვითარების გეგმით) საფუძველზე ირკვევა, რომ თანამშრომლების ინიციატივები პროფესიული განვითარების მიმართულებით — მათ შორის სემინარებსა და მასტერკლასებში მონაწილეობის სურვილი — ყოველთვის სრულად მხარდაჭერილია აკადემიის მიერ. აღნიშნულის გათვალისწინებით, აკადემია ფოკუსირებულია პერსონალის პროფესიული უნარების გაძლიერებასა და მოტივაციის შემდგომ მხარდაჭერაზე, რაც ხელს უწყობს როგორც ინდივიდუალურ, ისე ორგანიზაციულ განვითარებას
შესაბამისად, ინდიკატორის 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია და პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და წესი;
- შინაგანაწესი;
- რექტორის ინიცირების წერილი;
- ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევის ანგარიში;
- პერსონალის ინგლისური ენის კომპეტენციის განვითარების კონცეფციის ანგარიში;
- IT ინსტრუქციები;

- ადმინისტრაციასა და პროფესიული განათლების მასწავლებლებს შორის შეხვედრის დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- აკადემიის პერსონალის პროფესიული განვითარების დამადასტურებელი მტკიცებულებები;
- ვორქშოპზე მონაწილეობის მოწვევის წერილი და რექტორის რეზოლუცია
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ფორმები;
- პროფესიული მასწავლებლების შეფასების ფორმები;
- პროფესიული მასწავლებლების შეფასების ანგარიში;
- ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების ანგარიში;
- პროფესიული მასწავლებლის განვითარების გეგმა;
- ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების გეგმა;
- ინტერვიუს შედეგები;

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;

9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;
11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულება - შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA პროფესიულ პროგრამებს ახორციელებს მხოლოდ ერთ მისამართზე - რუსთავის გზატკეცილი N18-22. აღნიშნულ მისამართზე საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე სარგებლობაში აქვს სამი: A, B, C კორპუსი. A კორპუსის (საკადასტრო კოდებით: N 01.18.12.007.059 და N 01.18.12.007.070) საერთო ფართია - 1990.54 კვ.მ., ხოლო B და C კორპუსების (საკადასტრო კოდებით: N 01.18.12.007.074) საერთო ფართი კი, - 832.88 კვ.მ. საიჯარო ვადა შესაბამისი ხელშეკრულებით განსაზღვრულია 2032 წლის 1 მაისამდე.

ექსპერტთა მიერ მოხდა სასწავლო ფართის დათვალიერება, კერძოდ:

A კორპუსის შენობის პირველი და მეორე სართულზე ფოიეები/სასწავლო/ადმინისტრაციული ფართი კეთილმოწყობილია და აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, სადაც განთავსებულია სამედიცინო სივრცე, ბიბლიოთეკა, შეხვედრების ოთახები, სააქტო დარბაზი, A, B, C სასწავლო გარემოები, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე, პროფესიულ სტუდენტთა შემოქმედებითი სივრცე, მესამე სართულზე კი განთავსებულია კაფეტერია. სანიტარიული კვანძები მოწყობილია დაწესებულების პირველ და მესამე სართულზე, სანიტარიული კვანძები ადაპტირებული შშმ პირთათვის მოწყობილია პირველ სართულზე. საჭიროების შემთხვევაში, დაწესებულებაში არსებობს პანდუსი.

B კორპუსი წარმოადგენს 2 სართულიან შენობა-ნაგებობას, მასში განთავსებულია A, B, C გარემოს კეთილმოწყობილი და თანამედროვე ტექნიკით აღჭურვილი აუდიტორიები, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო სივრცე, სანიტარიული კვანძები (მათ შორის ადაპტირებული) - პირველ სართულზე მოწყობილია მამაკაცებისათვის ხოლო მეორე სართულზე ქალებისათვის. შენობის პირველ სართულზეა განთავსებული ფარმაცევტული ლაბორატორიის (იმიტირებული აფთიაქი) C გარემო. შენობის მეორე სართულზე მოწყობილია სტუდენტური სივრცე, შენობას აქვს საევაკუაციო კიბე.

C კორპუსი არის ერთსართულიანი ნაგებობა, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე (ქიმიური/ბიოლოგიური/ ტექნოლოგიური) ლაბორატორიებით, მოწყობილია პროფესიული პროგრამის „საქმიანო საქმის“ სიმულაციური პალატა. ერთი აუდიტორია განკუთვნილია დამატებითი პრაქტიკული აქტივობებისთვის. მოწყობილია ერთმანეთისაგან გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისა და მამაკაცებისათვის. სანიტარიული კვანძები ადაპტირებულია შშმ პირთათვის. შენობას აქვს საევაკუაციო გაგასვლელი.

სამივე კორპუსის შენობაში დამონტაჟებულია ვიდეოსათვალთვალო კამერები და სახანძრო უსაფრთხოების გამართული სისტემა.

ექსპერტთა შეფასებით ადმინისტრაციული სივრცის, სამუშაო ოთახების და სასწავლო აუდიტორიების ფართობი, განლაგება და მოწყობა შეესაბამება დანიშნულებას, მომუშავე პირების და ჯგუფში ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობას. დაწესებულებას სარგებლობაში გააჩნია თავისი საქმიანობის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი - შენობა-ნაგებობები, აღჭურვილობა (ავეჯი, კომპიუტერული ტექნიკა და სხვა), აპარატურა, სასწავლო გარემო (A, B, C გარემო), ინვენტარი და ინფრასტრუქტურა, პროგრამების მიხედვით, მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით.

2.დაწესებულების რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით დამტკიცებული (ბოლო ცვლილება - 27.06.2025 ბრძანება №9988) „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ მე-5 თავი არეგულირებს მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა და საინფორმაციო საშუალებებით სარგებლობის მექანიზმებს, რომლის მიხედვითაც სტუდენტს/პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს დაწესებულების კუთვნილი ფართით, აუდიტორიებით და ტექნიკური საშუალებებით. დაწესებულების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას განკარგავს დირექტორი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობისათვის სტუდენტმა/ პერსონალმა ან საინიციატივო ჯგუფმა წერილობითი ფორმით უნდა მიმართოს დირექტორს. სტუდენტს/პერსონალს მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ დირექტორის თანხმობის შემთხვევაში, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში სტუდენტის/პერსონალის დაშვებას უზრუნველყოფს აკადემიის სამსახური. სტუდენტის/პერსონალისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო ან/და მუშაობის პროცესს და გამოყენების მიზნობრიობიდან გამომდინარე, არ გამოიწვევს მათ შესაძლო დაზიანებას ან არამინიზნობრივ გამოყენებას. სტუდენტს/პერსონალს უფლება აქვს ისარგებლოს დაწესებულების კუთვნილი კომპიუტერული ტექნიკით, გარდა ადმინისტრაციის სარგებლობისათვის გამოყოფილი ტექნიკისა. გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სტუდენტს/პერსონალს კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობის უფლება აქვს მხოლოდ ადმინისტრაციის თანხმობის შემთხვევაში. გარდა სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სტუდენტის/პერსონალისათვის კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობაზე თანხმობა გაიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხელს არ შეუშლის სასწავლო ან/და მუშაობის პროცესს და გამოყენების მიზნობრიობიდან გამომდინარე, არ გამოიწვევს მათ შესაძლო დაზიანებას ან არამიზნობრივ გამოყენებას. სტუდენტი/პერსონალი უფლებამოსილია გამოიყენოს კომპიუტერული ტექნიკა მხოლოდ სასწავლო მიზნებისათვის, ასევე დაწესებულების მიერ ორგანიზებული ღონისძიებების ფარგლებში. სასწავლო რესურსებით, მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის, პროფესიული სტუდენტები სარგებლობენ საბიბლიოთეკო რესურსებით „ბიბლიოთეკაში ქცევის წესების“ შესაბამისად. პროფესიული სტუდენტები ასევე უფლებამოსილნი არიან ლექციებს შორის შესვენების პერიოდში დასვენებისთვის ისარგებლონ შენობაში არსებული ფოიეთი, კეთილმოწყობილი საბიბლიოთეკო სივრცითა და სტადიონით. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშდან“ დასტურდება, რომ მატერიალურ, ადამიანურ და სასწავლო რესურსებს დადებითად აფასებს გამოკითხულთა უმრავლესობა. პროფესიული სტუდენტები მიიჩნევენ, რომ პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, მასალა ნედლეული აკადემიის ბაზაზე ხელმისაწვდომია და საკმარისია ჯგუფში არსებული ყველა სტუდენტისთვის. მათ აქვთ შესაძლებლობა საჭიროებისამებრ გამოიყენონ ინტერნეტი და კომპიუტერული ინფრასტრუქტურა. აღნიშნულს ადასტურებენ პროფესიული სტუდენტები ექსპერტებთან გასუბრების დროსაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის.

3.დაწესებულებაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება 2022 წლის 26 ივლისს, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის N00000131 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 23.01.2025, დირექტორის N911 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკითა და წესის” დანართი 2-ით - „უსაფრთხოებისა და სანიტარული ნორმების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების აღსრულების წესით“, რომლის მიხედვითაც, სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფას და დასუფთავებას ახორციელებენ დაწესებულების დიასახლისები. დოკუმენტის თანახმად, სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფას, დასუფთავებასა და სველი წერტილების დამუშავებას სათანადო განრიგის და შესაბამისი პერიოდულიბის მიხედვით ახორციელებენ დაწესებულების 1 უფროსი დიასახლისი და 3 დიასახლისი. დაწესებულების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური კი, კვირაში ერთხელ ატარებს სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფისა და დასუფთავების მონიტორინგს.

დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა სივრცეში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცულობა დასტურდება როგორც ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებით, ასაევე ექსპერთა მიერ ვიზუალური დათვალიერებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4.დაწესებულების სამივე კორპუსი სრულად აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით, რომლის გამართულობა და ფუნქციონირება დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის ვიზუალური დათვალიერებით, ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალთან და პროფესიულ სტუდენტებთან ინტერვიურებისას და ასევე, ხარისხის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევის ანგარიშით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.4 დაკმაყოფილებულია, შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

5.დაწესებულება ხელმძღვანელობს დირექტორის მიერ დამტკიცებული „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესით“, რომლის ძირითადი მიზანია დაწესებულების სასწავლო სივრცეში უზრუნველყოს ადამიანისთვის უსაფრთხო გარემო და უსაფრთხო სამუშაო პროცედურები. ცალკე სტრუქტურულ ერთეულად წარმოდგენილია შრომის უსაფრთხოების სამსახური, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში განსაზღვრავს: დაწესებულების სამუშაო სივრცეში შრომის უსაფრთხოების საკითხების ძირითადი მოთხოვნებისა და პრევენციული ღონისძიებების პრინციპებს; არსებული და მოსალოდნელი საფრთხეების იდენტიფიცირებას და მათგან მომდინარე რისკების მართვის მიზნით, საკონტროლო ღონისძიებების დაგეგმვას; დაწესებულების თანამშრომლებისთვის პერიოდულად სწავლებისა და ინსტრუქტაჟის ჩატარებას; შესაბამისი რისკების შეფასების დოკუმენტების შემუშავებას და დირექტორისათვის წარდგენას, რაც ერთობლიობაში უზრუნველყოფს დაწესებულებაში შრომის უსაფრთხოების ნორმების დაცვას.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ შედგა გასაუბრება შრომითი ხელშეკრულებით აყვანილ შრომის უსაფრთხოების სერტიფიცირებულ სპეციალისტთან, რომელიც შრომის უსაფრთხოების პროცედურებს ახორციელებს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად, მის მიერ წარმოდგენილ იქნა რისკების მართვის სქემები, ინსტრუქტაჟის შევსებული ჟურნალები და სხვ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები.

6.სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფა გაწერილია დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესში“, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო რესურსებით სწავლა-სწავლების პროცესის უზრუნველყოფის და დაწესებულების პროფესიული სტუდენტების, მსმენელების და პერსონალის მიერ საგანმანათლებლო მიზნებისათვის მატერიალური რესურსებით სარგებლობის პირობებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სასწავლო რესურსის შერჩევაზე პასუხისმგებელია მასწავლებელი. არსებობის შემთხვევაში, სასწავლო რესურსის შერჩევის/ცვლილების პროცესს კოორდინაციას უწევს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, პროგრამის ხელმძღვანელის ჩართულობით. სასწავლო პროცესის მიზნებისათვის, მასალებისა და ნედლეულის შეძენას უზრუნველყოფს ფინანსური მენეჯერი, ხოლო მასალებისა და ნედლეულის უწყვეტ და შეუფერხებელ მიწოდებას ახორციელებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება საამისოდ გამოყოფილ ადგილას, შენახვის წესების დაცვით. სასწავლო ციკლის დასრულებისას, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება, რომლის შესახებ ინფორმაცია აისახება მასალა-ნედლეულის გახარჯვის აქტში. სასწავლო პროცესისათვის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელად უზრუნველყოფა დასტურდება ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტთა და მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგებით. აღნიშნული წესის გამოყენებისა და გამოკითხვის შედეგების დადასტურების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელდა პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება და მასალა-ნედლეულის შესყიდვების, აღრიცხვისა და მათი ჩამოწერის/უტილიზაციის დოკუმენტების შესწავლა. ასევე, პროგრამების

განმახორციელებლებისა და პროფესიული სტუდენტების მიერ ინტერვიუებისას დადასტურდა, რომ სასწავლო პროცესისთვის მუდმივად უზრუნველყოფილია მასალა-ნედლეულის შეუფერხებელი მიწოდება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.6 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები.

7.დაწესებულებაში რესურსების რეგულარული შეფასება ხდება არაერთი გზით:

- ინვენტარიზაციით;
- ინფორმაციის ტექნოლოგიების ბაზის შეფასებით;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასებით;
- დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვით;
- „ანონიმური ყუთის“ საშუალებით.

დაწესებულების „ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“ არეგულირებს დაწესებულების აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის პროცედურებს, ამ სახით ინვენტარიზაცია სავალდებულოდ ტარდება წელიწადში ერთხელ. ინვენტარიზაციას ახორციელებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისია. ინვენტარიზაციის შედეგები, ინვენტარიზაციის აქტის სახით, წარედგინება დირექტორს. ინვენტარიზაციის შედეგების მიხედვით, საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა განხორციელდეს ინვენტარის ჩამოწერა და ახლით ჩანაცვლება.

დაწესებულებაში არსებობს „ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის წესი“, რომელიც განსაზღვრავს, დაწესებულების ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვას, პროცედურებს, ბაზის შეფასებას და განახლებას, ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის განვითარების მექანიზმებს, ვიდეომონიტორინგის განხორციელების, ელექტრონული ფოსტის შექმნის, მომხმარებლის მიერ მისი სათანადო გამოყენებისა და მათი ქმედებების განსაზღვრის წესს, ადმინისტრაციულ საქმიანობასა და საგანმანათლებლო პროცესში. დოკუმენტის მიხედვით სამუშაო ჯგუფი წელიწადში ერთხელ ახორციელებს IT ინფრასტრუქტურის გენერალურ მონიტორინგს, ხოლო მიმდინარე საჭიროებებზე ოპერატიულ რეაგირებას ახორციელებს IT მენეჯერი. ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზის შეფასების შედეგები წარედგინება დირექტორს, რომელიც წარდგენილი წინადადებების საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას ინვენტარის განახლების, ჩამოწერის, ახლის შეძენის თუ სხვა ღონისძიებების თაობაზე.

დაწესებულების „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკითა და წესით“ განსაზღვრულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და შეფასება. შეფასებისას მოწმდება პროგრამის განხორციელების ხარისხი, მათ შორის პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები. პროგრამების შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე ხარისხის მართვის სამსახურის მიერ გაიცემა რეკომენდაციები, რომელთა შესრულებისათვის განისაზღვრება პასუხისმგებელი პირები და შესრულების ვადები.

დაწესებულებაში დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა ხორციელდება „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით“, რომელიც განსაზღვრავს გაწეული მომსახურებისა და არსებული რესურსების ადეკვატურობისა და ხელმისაწვდომობის თაობაზე ყველა დაინტერესებული მხარისაგან უკუკავშირის მიღების მექანიზმებს. აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარდა „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა - სერვისების შეფასება“ და „პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა“. კვლევის შედეგები ძირითადად არის პოზიტიური. გამოკითხულ სტუდენტთა და მასწავლებელთა უმრავლესობა კმაყოფილებას გამოხატავს აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისებისა და არსებული რესურსების მიმართ. კვლევის ფარგლებში მომზადებული ანგარიშები განიხილება მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრებზე და საჭიროების შემთხვევაში იგეგმება სერვისების გაუმჯობესების მიზნით განსახორციელებელი აქტივობები.

დაწესებულებაში არსებობს ე.წ „ანონიმური ყუთი“, სადაც პროფესიულ სტუდენტებს, მასწავლებლებს და ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა დააფიქსიროს საკუთარი აზრი ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით. დარეგულირებულია ზემოაღნიშნული ყუთის გახსნისა და რეაგირების პროცედურები, რაც ასევე

თანამონაწილეობითი პროცესია. „ანონიმური ყუთიდან“ შემოსული წინადადებების განხილვა ხდება ადმინისტრაციული პერსონალის სამუშაო შეხვედრაზე, სადაც, საჭიროების შემთხვევაში, მიიღება გადაწყვეტილებები შემდგომში დასაგეგმი აქტივობების შესახებ. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაწესებულება რეგულარულად ახორციელებს არსებული მატერიალური რესურსების გაუმჯობესებას და ახლის შეძენას, რაც დასტურდება დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვის შედეგებით, სადაც უმეტესობა - კმაყოფილია არსებული რესურსებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას.

8.დაწესებულების ინფრასტრუქტურის ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დგინდება, რომ დაწესებულების სამივე კორპუსში მოწყობილია სანიტარული კვანძები, გამოჯნული - ქალებისა და მამაკაცებისთვის. სანიტარიული კვანძები ადაპტირებულია შშმ პირებისთვის. სანიტარული კვანძები მუდმივად მარაგდება ცხელი და ცივი წყლით, სათანადოდ მოწესრიგებულია და აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით (ერთჯერადი ხელსახოცები, ხელის საშრობით, თხევადი საპონი და ა.შ). სანიტარიული კვანძები უზრუნველყოფილია უწყვეტი განათებით და ვენტილაციით. ექსპერტთა შეფასებით მათი რაოდენობა, სან.ტექნიკური და სან.ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. დაწესებულებაში არსებული სანიტარული კვანძებით და პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლოებებით, კმაყოფილება დასტურდება როგორც ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგებით ასევე მათთან გასაუბრების დროსაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამოჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის.

9.დაწესებულების სამივე კორპუსში განთავსებულ სასწავლო და ადმინისტრაციულ ფართს, ბიბლიოთეკას და საერთო სივრცეებს აქვთ როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, რაც დადასტურდა ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.9 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს, როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა.

10.დაწესებულების სივრცეები გამოჯნულია და იმგვარადაა განლაგებული, რომ ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურ წარმართვას. ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისთვის გამოყოფილია შესაბამისი სივრცეები. დაწესებულებაში არ არის ერთმანეთში გამავალი სასწავლო ან სამუშაო სივრცეები. დაწესებულების ტერიტორიაზე გამოყოფილია სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის. პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ კეთილმოწყობილი და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სივრცე, სადაც მათ აქვთ შეუფერხებლად მუშაობის შესაძლებლობა. საარქივო დოკუმენტებისთვის გამოყოფილია ცალკე სივრცე. ექსპერტებთან გასაუბრებისას ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, განმახორციელებლებმა და პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ დაწესებულებაში სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის შეუფერხებლად წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.10 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას.

11.დაწესებულების რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის N 00000496 ბრძანებით დამტკიცებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“, რომლის მესამე თავით რეგულირდება „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების მართვა“, ხოლო მეოთხე თავით რეგულირდება „საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობა“. საბიბლიოთეკო რესურსებით პროფესიული სტუდენტების/პროფესიული განათლების მასწავლებლების შეუფერხებელ უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი. ბიბლიოთეკაში ხელმისაწვდომია, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი. ბიბლიოთეკაში ძირითადი საგანმანათლებლო რესურსი დაცულია ელექტრონული (CD დისკზე) სახით და ატვირთულია Ms Teams-ის ელექტორნულ პლატფორმაზე თითოეული პროგრამის ჯგუფისათვის. ყველა საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და მათი აღრიცხვა ხდება როგორც Open Biblio -ში (ელექტრონული კატალოგი) ასევე, საინვენტარო წიგნების სახით. დაწესებულება თანამშრომლობს საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს საკანონმდებლო აქტების კონსოლიდირებულ ვერსიებზე მუდმივ ხელმისაწვდომობას. პროფესიული სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის საგანამანთლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას ადასტურებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული სტუდენტებისა და მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები. დაწესებულებაში კონცეპტუალურად გადაიხედა საგანმანათლებლო რესურსებისა და შესაბამისი ინფტრაქტრუქტურით უზრუნველყოფის საკითხი და მოხდა მიდგომების ახლებული გადააზრება თანამედროვე მოთხოვნებისა და ტენდენციების შესაბამისად. აღნიშნულის საფუძველზე 2024 წელს, საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტის ინიციატივით, დაწესებულებაში კონცეპტუალურად განახლდა სამკითხველო დარბაზი, სადაც პროფესიულ სტუდენტებს შეუძლიათ შეკრება, ჯგუფურად პრეზენტაციების მომზადება, ახალ პროექტებზე მუშაობა მრავალფეროვანი საერთაშორისო თუ ეროვნულ ლიტერატურაზე ხელმისაწვდომობით. სივრცე, ასევე შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სხვადასხვა სტუდენტური კლუბების შეხვედრებისთვის.

„ბიბლიოთეკაში ქცევის წესები“ გამოკრულია საბიბლიოთეკო სივრცეში, სადაც განთავსებულია პერსონალური კომპიუტერები მოსარგებლეთათვის, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, ნებადართულია სასწავლო მასალების ამობეჭდვა ან/და ასლის გადაღება. დაწესებულებას ჰყავს საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი პირი - საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც ახორციელებს პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალის უზრუნველყოფას საბიბლიოთეკო სერვისებით. გასაუბრებისას დგინდება, რომ საბიბლიოთეკო საქმეზე პასუხისმგებელი პირი საკუთარ სამუშაო პროცესს ახორციელებს „საბიბლიოთეკო რესურსებისა და სერვისების მართვის“ შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.1.11 დაკმაყოფილებულია. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ამონაწერები საჯარო რეესტრიდან;
- შენობა-ნაგებობის შიდა აზომვითი ნახაზი;
- იჯარის ხელშეკრულება;
- სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი;
- პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესი;
- ჯანდაცვისა და უფართხოების სამსახურის უფროსთან (შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი) გაფორმებული ხელშეკრულება და სერტიფიკატი;
- ინვენტარიზაციის ჩატარების წესი;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია;
- ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის წესი;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესი“, რომლის ძირითადი მიზანია დაწესებულების სასწავლო სივრცეში უზრუნველყოს ადამიანისთვის უსაფრთხო გარემო და უსაფრთხო სამუშაო პროცედურები. დოკუმენტის თანახმად, დაწესებულებაში უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობს შრომის უსაფრთხოების აკრედიტებული სპეციალისტი.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა, 2020 წლის 11 ოტომბერს (A კორპუსის) და 2025 წლის 01 აპრილს (B და C კორპუსების) გაცემული სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების გამოკვლევის აქტი/ანგარიში, რომლის მიხედვითაც დაწესებულების ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების მარეგულირებელ ნორმებს. ექსპერტთა მიერ ვიზუალური დათვალიერებით, დერეფნებში განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმები და ცხელი ხაზის ნომერი. სამივე კორპუსი სრულად უზრუნველყოფილია საევაკუაციო გასასვლელით.

დაწესებულების მიერ ასევე წარმოდგენილ იქნა 2019 წლის 09 სექტემბრის, სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო, სამეცნიერო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნა (A კორპუსის) და 2024 წლის 12 ნოემბერს გაცემულია შპს „მშენ-ექსპერტი+“-ის მიერ გაცემული ინსპექტირების ანგარიში. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად შენობის ტექნიკური მდგომარეობა შეფასებულია როგორც დამაკმაყოფილებელი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები.

2.დაწესებულებაში პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმებს არეგულირებს „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესის“ მე-12-ე მუხლი. დოკუმენტის თანახმად ხორციელდება დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის გადამზადება პირველად გადაუდებელ დახმარებაში, ბოლო ამგვარი ტრენინგი 2025 წლის 27 აგვისტოს ჩატარდა, რომელშიც დაწესებულების 16 თანამშრომელი მონაწილეობდა. დაწესებულებას ჰყავს ექიმი და ექთანი, რომლებსაც აქვს პირველადი ექიმამდელი დახმარების ტრენინგის სერთიფიკატი, საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფენ სამედიცინო დახმარების აღმოჩენას დაწესებულების ტერიტორიაზე და აწარმოებენ უბედური და საშიში შემთხვევების აღრიცხვას, რისთვისაც იყენებენ „უბედური და საშიში შემთხვევების აღრიცხვისა და რეგისტრაციის ჟურნალს“. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაწესებულების A კორპუსის პირველ სართულზე არსებობს სამედიცინო კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენისათვის საჭირო სამედიცინო საშუალებებით, ხოლო B და C კორპუსებში განთავსებულია პირველადი დახმარების ყუთები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები.

3.დაწესებულების „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესი“ მოიცავს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმას, რომელიც 2022 წლის 27 ივლისს შეთანხმებულია შსს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის

სამსახურთან, რომელიც განსაზღვრავს შესაძლო საგანგებო სიტუაციების შედეგების თავიდან აცილების ან შემცირების ღონისძიებების მოცულობას, ვადებს, ორგანიზებისა და განხორციელების პროცედურებს. ასევე, პერსონალის, სტუდენტების, მსმენელების, მატერიალური ფასეულობათა დამაზიანებელი ფაქტორებისაგან დაცვის მიზნით გადაუდებელი ღონისძიებების შესრულებას. გეგმამ უნდა უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებაში ჩართული ძალების კოორდინირებული ქმედებები და მთლიანობაში რეაგირების ოპერატიულობა.

დაწესებულების დირექტორის ბრძანებით შექმნილია საგანგებო რეაგირების შტაბი, განაწილებულია ფუნქციები. დაწესებულების ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური წელიწადში ორჯერ ყველა პროცედურის დაცვით ატარებს იმიტირებულ ევაკუაციას. სამუშაო სივრცეში საგანგებო სიტუაციების მართვის მიზნით, მათ შორის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნის შესრულებაზე პასუხისმგებელ პირად შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის უფროსი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.3 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი.

4.დაწესებულებაში წესრიგის დაცვის პროცედურებს არეგულირებს „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესი“ და 2024 წლის 11 დეკემბერს დირექტორის N 00000473 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 N 16685 ბრძანება) დამტკიცებული „შინაგანაწესი“. დაწესებულებას ჰყავს დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტები, რომლებიც 24-საათიანი რეჟიმით ახორციელებენ შენობების დაცვას. მათ ფუნქციაში ასევე შედის დაწესებულების შიდა და გარე ტერიტორიის ყოველდღიური ვიზუალური დათვალიერება და კონტროლი; წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულების პერსონალის, პროფესიული სტუდენტების, პროფესიული მასწავლებლებისა და დაწესებულების ტერიტორიაზე მყოფი სხვა პირების შემოსვლისა და გასვლის მონიტორინგის განხორციელება. დაცვისა და უსაფრთხოების სპეციალისტებმა ავტორიზაციის ექსპერტებთან წარმოადგინეს ინციდენტების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულების სამივე კორპუსის გარე და შიდა (ფოიეებში) პერიმეტრებზე, 37 ერთეულზე განთავსებულია ვიდეო ჩანაწერის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერების სისტემა. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის“ მიხედვით, ვიდეოკამერების ჩანაწერების მოცულობის შენახვის ვადა არის 30 კალენდარული დღე. ვიდეო კამერების ჩანაწერის ვადის ამოწურვის შემდგომ ახალი ჩანაწერის გაკეთება ხდება ძველზე გადაწერის გზით - რაც იწვევს ძველი ჩანაწერის ავტომატურ წაშლას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საზოგადოებრივი უსაფრთხოების მართვის ცენტრის „112-ს“ მიერ გაცემული აქტის მიხედვით, ობიექტზე განთავსებული ვიდეოსამეთვალყურეო სისტემა აკმაყოფილებს კანონმდებლობით გათვალიწინებულ მოთხოვნებს. შენობების შესასვლელებსა და ყველა სართულის ფოიეში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ნიშნები ვიდეო მონიტორინგის შესახებ. წარმოდგენილი დოკუმენტებით, ვუზუალური დათვალიერებით და გასაუბრებით, ექსპერთა შეფასებით დგინდება, რომ დაწესებულების მთელ პერიმეტრზე და სამივე კორპუსში უზრუნველყოფილი წესრიგის დაცვით, შექმნილია უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.1.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული ჯანმრთელობისა და შრომის უსაფრთხოების თანმიმდევრული პრევენციული ღონისძიებების პოლიტიკა და წესი“;
- „შინაგანაწესი“;
- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;
- დასკვნები შენობების უსაფრთხოების შესახებ;
- დასკვნები შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ;

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის აღრიცხვის ჟურნალი;
- დაცვისა და უსაფრთხოების თანამშრომელის სამუშაო აღწერილობა და პირადი საქმე;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.2 საინფორმაციო რესურსები

5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა მოიცავს სხვადასხვა ტექნოლოგიურ საშუალებებს, რომლებიც განკუთვნილია როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციული საქმიანობისთვის. კომპიუტერული ტექნიკა, პროექტორები, ეკრანები, სენსორული დაფები, პრინტერები, სერვერები და სხვა მოწყობილობები უზრუნველყოფენ დაწესებულებაში სწავლებისა და ადმინისტრაციის შეუფერხებელ მუშაობას. კომპიუტერული ტექნიკის რაოდენობა და მახასიათებლები სრულად აკმაყოფილებს დაწესებულების საჭიროებებს, რაც დადასტურებულია მატერიალური რესურსის დოკუმენტით თითოეულ პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულებაში ფუნქციონირებს, საგანმანათლებლო პროგრამების მოთხოვნებსა და სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი, Windows 10 და Windows 11 ოპერაციული სისტემებით აღჭურვილი 7 კომპიუტერული ლაბორატორია, ხოლო ადმინისტრაციის სარგებლობაში გამოყენებული კომპიუტერები უზრუნველყოფილია Office 2019/ office 2021 საოფისე პროგრამებით. დამატებით, ადმინისტრაციის 12 თანამშრომელი იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას eflow-ს. ქსელური ინფრასტრუქტურა გამართულია თანამედროვე Microtik როუტერით (CCR2004-16G-2S+), რომელიც დაკავშირებულია (bridge) მთავარ ქსელურ მოწყობილობასთან – Fortigate Firewall, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და საიმედო კავშირებს. დაწესებულებას აქვს როგორც სადენიანი, ასევე უსადენო (Wi-Fi) ინტერნეტი, რაც დასტურდება როგორც ვიზუალური, ასევე 2020 წლის 03 აგვისტოს „სს სილქნეტთან“ გაფორმებული უვადო ხელშეკრულებით. ინფორმაციის უსაფრთხოებისთვის ადმინისტრაცია იყენებს ფიზიკურ და

ონლაინ სერვერებს, რომლებიც დაცულია უსაფრთხოების პოლიტიკით. სტუდენტები სარგებლობენ G-suite სერვისით და Office 365-ით, რაც მათ ეხმარება სასწავლო პროცესა და კომუნიკაციაში. IT მენეჯერის ინიციატივით 2025 წელს დაწესებულებაში განხორციელდა IT ინფრასტრუქტის მოდიფიკაცია, რამაც ხელი შეუწყო დაწესებულებაში ქსელის უსაფრთხოების ზრდას და მონაცემთა დაცვას, ოპტიმიზდა სერვერული ინფრასტრუქტურა და მეტი სტაბილურობა შეიძინა IT გარემომ. დაწესებულების მლობელობაშია 21 პრინტერი, 31 მონიტორი, 2 სენსორული დაფა, 10 პროექტორი, 165 კომპიუტერი და სხვა. ექსპერტთა შეფასებით წარმოდგენილი ტექნოლოგიური რესურსი (IT ინფრასტრუქტურა) სრულად უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის ეფექტიან წარმართვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს.

2.საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვის მიზნით დაწესებულებას გაწერილი აქვს „ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის წესი“, რომელიც დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის 2025 წლის 25 იანვრის N930 (ბოლო ცვლილება 22.09.2025, ბრძანება №17777) ბრძანებით. დოკუმენტის მიზანია უზრუნველყოს დაწესებულებაში საკომუნიკაციო ქსელის საიმედოობა, უსაფრთხოება, მთლიანობა და ხელმისაწვდომობა, ხელი შეუწყოს დაწესებულების საგანმანათლებლო, ადმინისტრაციული და ბიზნეს პროცესების შეუფერხებელ მიმდინარეობას. აღნიშნული წესის შესრულებაზე პასუხისმგებელია IT მენეჯერი, რომელიც საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკების მართვის მიზნით ატარებს უსაფრთხოების პოლიტიკას, რომლის დაცვის სფეროებს წარმოადგენს: დაწესებულების IT ინფრასტრუქტურა; დაწესებულებაში არსებული ძირითადი მონაცემები და ინფორმაცია; პირები, რომლებიც იყენებენ ინფორმაციულ სისტემებს ან ახორციელებენ მის ადმინისტრირებას; პირები, რომლებიც ახორციელებენ ძირითადი მონაცემებისა და ინფორმაციის მართვას. დოკუმენტის თანახმად დაწესებულება ახორციელებს კონტროლს ინფორმაციულ აქტივებზე არაავტორიზებული წვდომის, ჩარევის, დატაცების ან დაზიანების თავიდან ასაცილებლად. დოკუმენტის მერვე მუხლის თანახმად, საზიანო ან თაღლითური პროგრამების გამოყენების თავიდან აცილების მიზნით IT მენეჯერი ახორციელებს კრიტიკულ სისტემებზე კონტროლს და ასევე, შესაბამის კონტროლს, რათა თავიდან იქნეს აცილებული ვირუსების გავრცელება დაწესებულების შიგნით და დაწესებულების მიზეზით – მის გარეთ. დაწესებულებაში წარმოდგენილი კომპიუტერები უზრუნველყოფილია IT ვირუსისგან დამცავი სისტემით, რაც დასტურდება ანტივირუსული პროგრამის შესყიდვის მიღება-ჩაბარების აქტით, ინვოისით და ვიზუალური დათვალიერებით. IT მენეჯერთან გასაუბრებით და წარმოდგენილი ანგარიშებით დადასტურდა, რომ ყველა სახის ტექნიკური სამუშაო ან პროგრამული განახლება, რომელიც იწვევს ქსელის ფუნქციონირებაში შეფერხებას, ხორციელდება არასამუშაო საათებში, ხოლო ქსელის ფუნქციონირების შეფერხების შესახებ ინფორმაცია მომხმარებლებს მიეწოდებათ სულ მცირე ერთი დღით ადრე.

ექსპერტთა შეფასებით დადგინდა, რომ IT ინფრასტრუქტურის დაცვა, სერვერებისა და ქსელის მართვა, ასევე მომხმარებლის მონაცემების დაცვა უსაფრთხოების სტანდარტების შესაბამისად მიმდინარეობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას.

3.დაწესებულებაში, 2025 წლის 20 მაისს, დირექტორის N7484 ბრძანებით დამტკიცებულია „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა“, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს დაწესებულების მიერ მოწოდებული საგანმანათლებლო მომსახურების ფარგლებში პერსონალური მონაცემების დამუშავების გამჭვირვალობას. დაწესებულება პატივს სცემს და იცავს ადამიანის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, უზრუნველყოფს „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული პრინციპებისა და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვას. დაწესებულებას შემუშავებული აქვს „ინციდენტის მართვის პოლიტიკა და პროცედურა“, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 20 მაის, დირექტორის N7525 ბრძანებით. რეგულაციის თანახმად, „მონაცემთა დაცვის ოფიცერი ვალდებულია ინციდენტი შეაფასოს ადამიანის უფლებებთან და თავისუფლებებთან მიმართებით და განსაზღვროს სამსახურისთვის და მონაცემთა სუბიექტებისთვის შეტყობინების აუცილებლობა. ამ მიზნით, ინციდენტის მართვაზე პასუხისმგებელი სუბიექტ(ებ)ი, მონაცემთა დაცვის ოფიცერთან თანამშრომლობით, ახორციელებენ ინციდენტის პირველად შეფასებას, რაც მნიშვნელოვანია შემდეგში შეკავების ღონისძიებების განსაზღვრისთვის“. დაწესებულებას, 2024 წლის 02 ოქტომბერს, პერსონალურ მონაცემთა

დაცვით უზრუნველყოფის მიზნით გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს ,,მონაცემთა დაცვის გუნდთან", რომელმაც დაწესებულებას გამოუყო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი და კანონმდებლობით დადგენილი წესით შესაბამისი შეტყობინება გაკეთებული აქვს ოფიცრის განსაზღვრის თაობაზე საზედამხედველო ორგანოსთან (პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური). ექსპერტთა ჯგუფის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერთან, პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან გასაუბრებისას დადგინა, რომ დაწესებულებაში დაცულია პროფესიულ სტუდენტთა პერსონალური მონაცემები, მათ შორის შეფასების შედეგების გაცნობის ნაწილშიც.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში არსებობს პერსონალურ მონაცემთა დაცვის მექანიზმები და ჰყავს პასუხისმგებელი პირი.

4.დაწესებულების საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობა დასტურდება IT მენეჯერთან გასაუბრებისა და მისი ანგარიშის გაცნობის შედეგებით. დაწესებულების „ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის წესის“ მუხლი 21-ში გაწერილია ინფორმაციის ტექნოლოგიების ბაზის შეფასების პროცედურები. რომლის მიხედვითაც, ინფორმაციის ტექნოლოგიების ბაზის შეფასების მიზნით დირექტორის მიერ იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სავალდებულოდ შედის აკადემიის შემდეგი პერსონალი: IT მენეჯერი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი, სხვა პირები აკადემიის დირექტორის გადაწყვეტილებით. სამუშაო ჯგუფი ინფორმაციის ტექნოლოგიების ბაზის შეფასების შედეგებს წარუდგენს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადაში, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას პროცესების გაუმჯობესებისათვის, რესურსების გათვალისწინებით. IT მენეჯერი რეგულარულად ატარებს ინფორმაციული ტექნოლოგიების ბაზის შეფასებას „ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის წესის“ მიხედვით და ვალდებულია: ტექნოლოგიების, სტანდარტებისა და სერვისების სამომავლო განვითარებასა და ცვლილებასთან ერთად, შეიმუშავოს, დანერგოს და მართოს ახალი ინფორმაციული ტექნოლოგიების რესურსები. ახალი სერვისის, მოწყობილობის, ქსელის და ტექნოლოგიის დანერგვა ან/და არსებულის ცვლილება უნდა შეესაბამებოდეს დაწესებულების განვითარების მიზნებს და სფეროში დადგენილ პრინციპებს.
დაწესებულებაში დაინტერესებულ მხარეთა გამოკითხვა ხორციელდება „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით“, რომელიც განსაზღვრავს გაწეული მომსახურებისა და არსებული რესურსების ადეკვატურობისა და ხელმისაწვდომობის თაობაზე ყველა დაინტერესებული მხარისაგან უკუკავშირის მიღების მექანიზმებს. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარებული („პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა - სერვისების შეფასება“, „პროფესიული განათლების მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევა“ და „ადმინისტრაციული პერსონალის კმაყოფილების კვლევა“) კმაყოფილების კვლევების ანგარიშებით დგინდება, რომ დაინტერესებული მხარეები აფასებდნენ IT ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების ეფექტიანობას.
ირკვევა რომ საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების მხრივ, დაწესებულების პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის სწავლისა და შრომის შესაბამისი პირობებია შექმნილი. მასწავლებლების მხრიდან დაფიქსირებულ IT პროცესებთან დაკავშირებულ რეკომენდაციებზე დაყრდნობით, IT მენეჯერის მიერ შეიქმნა ინფრასტრუქტურის გამოყენებასთან დაკავშირებით გზამკვლევი და ჩატარდა ტრენინგი, თანამედროვე ციფრული ინსტრუმენტების და IT ტექნოლოგიების გამოყენების საკითხებში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.4 დაკმაყოფილებულია, პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას.

5.დაწესებულებაში IT ინფრასტრუქტურა და მომსახურება ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისა და პერსონალისთვის. საჭიროების შემთხვევაში, რესურსებით სარგებლობა შესაძლებელია არასამუშაო საათებშიც. არსებული IT ინფრასტრუქტურა საკმარისია იმისათვის, რომ პროფესიულმა სტუდენტებმა და პერსონალმა შეუფერხებლად გამოიყენონ იგი. IT რესურსების მიზნობრივი და თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად, დაწესებულებაში მოქმედებს „სწავლასწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“. პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის მუდმივ ხელმისაწვდომობას IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურაზე ადასტურებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული

კვლევის შედეგები, ასევე გასაუბრებისას პროფესიული სტუდენტები და პერსონალი აღნიშნავენ, რომ დაწესებულების ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია და კომპიუტერული ტექნიკით სარგებლობა დასაშვებია სასწავლო და სამუშაო მიზნებისთვის მოთხოვნის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.5 დაკმაყოფილებულია, პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია დაწესებულების IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება.

6.პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო სისტემით ინფორმირებას დაწესებულება ახორციელებს კორპორატიულ Google ელ.ფოსტას @sba.edu.ge დომენით, რომელიც წარმოადგენს სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის შიდა და გარე კომუნიკაციის საშუალებას, არის დაწესებულების საკუთრება და შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ სამსახურებრივი მიზნებით.

დაწესებულებაში ჩარიცხვისთანავე ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, პაროფესიული განათლების მასწავლებლებისა და სხვა პერსონალისათვის იქმნება შიდა ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მათი ინფორმირება დაწესებულების და სხვა მათთვის სასარგებლო სიახლეების შესახებ. გარდა ამისა, სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვის აკადემიის ყველა თანამშრომელი და სტუდენტი დარეგისტრირებულია Microsoft Teams-ის ელ. პლატფორმაზე, რაც ფორმალური და არაფორმალური კომუნიკაციის, ხმოვანი და ვიდეო ზარების, ფაილების გაზიარების საშუალებას იძლევა.

პლატფორმა „ჩემი SBA“ დაწესებულების ერთ-ერთი წარმატებული პროექტია, რომელიც 2025 სასწავლო წლისთვის ამოქმედდა და წარმოადგენს მრავალფუნქციურ საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემას. პლატფორმის მთავარი მიზანია სწავლა-სწავლების პროცესის მაქსიმალური გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფა. იგი არის ციფრული არხი სტუდენტებს, პროფესიულ მასწავლებლებსა და ადმინისტრაციას შორის. სტუდენტებს აქვთ მუდმივი და მარტივი წვდომა ყველა საჭირო ინფორმაციაზე: მეცადინეობის განრიგებზე, შეფასებებზე, საგანმანათლებლო რესურსებზე, დასწრების სტატისტიკაზე და სხვა. დაწესებულებაში არსებული საკომუნიკაციო მექანიზმი უზრუნველყოფს როგორც აკადემიის პერსონალის, ისე სტუდენტთა ეფექტურ კომუნიკაციას და მათ ჩართულობას სასწავლო პროცესში, რასაც ადასტურებს ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის შედეგები, ასევე გასაუბრებისას პერსონალი, განმახორციელებლები და პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ დაწესებულებაში საკომუნიკაციო სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და ჩართულობას სასწავლო პროცესში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.1.6 დაკმაყოფილებულია. დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის წესი“;
- შპს ,,მონაცემთა დაცვის გუნდთან" გაფორმებული ხელშეკრულება;
- „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პოლიტიკა“;
- „ინციდენტის მართვის პოლიტიკა და პროცედურა“;
- „ინფორმაციის ტექნოლოგიების მართვის წესი“;
- ხარისხის მართვის სამსახურის მიერ 2025 წელს ჩატარებული კმაყოფილების კვლევების ანგარიშები
- „IT ინსტრუქციები“;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“;
- ელექტრონული ბაზა („ჩემი SBA“);
- IT მენეჯერის სამუშაო აღწერილობა;

- შპს ,,მონაცემთა დაცვის გუნდთან" გაფორმებული ხელშეკრულება;
- გასაუბრების და დათვალიერების შედეგები.

5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.შპს საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 31 იანვრის N 1516 (ბოლო ცვლილება 21.08.2025 დირექტორის N15443 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებულ „ერთიანი საქმისწარმოების წესი“ განსაზღვრავს საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, აკადემიაში დოკუმენტების მოძრაობასა და მათზე მუშაობის წესებს, რომლის მიზანია აკადემიის დოკუმენტბრუნვის მოწესრიგება და თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით დოკუმენტური ინფორმაციის დასამუშავებლად საჭირო პირობების შექმნა. დაწესებულებაში საქმისწარმოების სისტემის ორგანიზებას, დოკუმენტებზე მუშაობის წესის დაცვის ზედამხედველობას, დოკუმენტების დამუშავებისა და შესრულების კონტროლს ახორციელებს დაწესებულების ადმინისტრაციული სამსახური და სტრუქტურული ერთეულები კომპეტენციის ფარგლებში. დაუშვებელია დოკუმენტების მიღება/გაცემა დაწესებულების ადმინისტრაციული სამსახურის რეგისტრაციის გვერდის ავლით. კორესპონდენცია დაწესებულებაში შემოდის მატერიალურად, ფოსტით, ელექტრონული ფოსტით და აკადემიის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა e-flow (რომელსაც დაწესებულება 2020 წლიდან იყენებს) მეშვეობით. e-flow სისტემის გარდა შემოსული დოკუმენტები კონვერტირდება/რეგისტრირდება e-flow სისტემაში. მატერიალური სახით შემოსული კორესპონდენცია ტარდება e-flow სისტემაში და მიეთითება „მატერიალურად“. ისეთი დოკუმენტებისათვის რომლებიც იწარმოება მატერიალური სახით, გახსნილია რეგისტრაციის ჟურნალები (მათ შორის ელექტრონული სახით). ჟურნალები დამუშავებულია „ერთიანი საქმისწარმოების წესისა” და „საქმეთა ნომენკლატურის“ შესაბამისად. „ერთიანი საქმისწარმოების წესის“ თანახმად, ადმინისტრაციული სამსახურში შემოსული დოკუმენტების დამუშავება და ადრესატებისათვის გადაცემა, როგორც ელექტრონულად, ასევე მატერიალურად (საჭიროების შემთხვევაში), უნდა განხორციელდეს მათი შემოსვლის დღეს, ან არაუგვიანეს მეორე სამუშაო დღისა. სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ვალდებულია ერთი სამუშაო დღის ვადაში განსაზღვროს და თავის უშუალო ხელმძღვანელს გადაუგზავნოს/დაუბრუნოს ის კორესპონდენცია, რომელიც არ განეკუთვნება მის კომპეტენციას, კომენტარის გრაფაში შესაბამისი განმარტების მითითებით. დოკუმენტების შესრულების ვადები კი განისაზღვრება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული ვადით. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ბრძანებების აღრიცხვის ჟურნალები, გასული და შემოსული კორესპინდეციების აღრიცხვა შესაბამის მონაცემთა ბაზაში, რითად დადასტურდა მარეგულირებელი დოკუმენტის შესაბამისობა პრაქტიკულ საქმიანობასთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი

2.დაწესებულება მმართველობისას მათ შორის საქმისწარმოებაში იყენებს თანამედროვე პროგრამული უზრუნველყოფის დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას e-flow-ს, რისთვისაც დაწესებულება ფლობს 12 მომხმარებელს ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისათვის, ასევე წლებია შიდა კომუნიკაციისთვის იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს და ლიცენზირებულ პლატფორმებს როგორიც არის - Office 365-სა და gmail.com, დაწესებულებამ აღნიშნულის დასადასტურებლად წარმოედგინა შპს „ჯეოსოფტთან“ 2024 წლის 8 აგვისტოს გაფორმებული მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ 2025 წელს,

ადმინისტრაციული სამსახურის მენეჯერის ინიციატივით, პროექტის - „მწვანე აკადემია მწვანე მომავალი“ ფარგლებში დაინერგა ელექტრონული ხელმოწერის პორგრამა signify, რომელიც ხელს უწყობს დაწესებულებაში მართვის პროცესების ეფექტიანობას. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ დაწესებულებაში დოკუმენტბრუნვის პროცესები უზრუნველყოფილია თანამედროვე ტექნოლოგიური საშუალებებით და სრულად შეესაბამება დაწესებულების შიდა რეგულაციებით განსაზღვრულ წესებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის.

3.პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (e-vet.emis.ge) ინფორმაციის დროული შეტანის ვალდებულება აკისრია დაწესებულების სასწავლო პროცესის მართვისა და ადმინისტრაციული სამსახურების უფლებამოსილ პირებს, რომლებიც ხელმძღვანელობენ 2024 წელოს 17 ივლისის დირექტორის №00000215 (ბოლო ცვლილება 29.01.2025 წ., რექტორის №1240 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებას ამ პოზიციაზე პასუხისმგებელ პირად განსაზღვრული ყავს ორი თანამშრომელი, მათგან პერსონალურ ნაწილში პასუხისმგებელია ადამიანური რესურსების და კარ. განვითარების მართვის მენეჯერი, ხოლო პროფესიული სტუდენტების ნაწილში - სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის უფროს. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელებული დათვალიერებისა და ემისის მართვის პასუხისმგებელ პირებთან გამართული გასაუბრების საფუძველზე დადასტურდა, რომ პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის ასახვა წარმოებს კანონმდებლობისა და დაწესებულების ზემოაღნიშნული წესის შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას.

4.დაწესებულების „ერთიანი საქმისწარმოების წესის“ თანახმად, დოკუმენტების ვადაში შესრულების კონტროლი ეკისრება სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს. სტატისტიკურ მონაცემებს ტექნიკურად დაფიქსირებული ვადაგადაცილებების შესახებ ადმინისტრაციული სამსახური არანაკლებ თვეში ერთხელ განიხილავს მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევით შემოწმდა დაწესებულების მიერ მიღებული და გაცემული კორესპოდენცია, რითაც დადასტურდა, რომ დოკუმენტებზე რეაგირებისა და შესრულების ვადები არ აღემატება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრულ ვადებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.2.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ერთიანი საქმისწარმოების წესი“;
- დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემის - e-flow-ს სარგებლობის ხელშეკრულება;
- შპს „ჯეოსოფტ“-თან გაფორმებული მემორანდუმი;
- „პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოების წესი“
- სარეგისტრაციო ჟურნალები;
- ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემისა და ელექტრონული ბაზის დათვალიერების შედეგები;
- დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პერსონალთან ინტერვიურების შედეგები.

5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.დაწესებულების ოფიციალური ვებ გვერდია www.sba.edu.ge, რომელზეც განთავსებულია: საკონტაქტო ინფორმაცია მისამართის მითითებით, მისია, ხედვა და ღირებულებები, ინფორმაცია მისი საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, დაწესებულების სამართლებრივი აქტების ამონარიდები, ინფორმაცია ადმინისტრაციულ პერსონალსა და პროფესიული განათლების მასწავლებლებზე და სიახლეები. დაწესებულება ასევე იყენებს სოციალური ქსელებს: - https://www.facebook.com/SBAcademyGeorgia, https://www.youtube.com/@AcademySBA, https://www.instagram.com/sba_academy, რომელიც წარმოადგენს მნიშვნელოვან საინფორმაციო პლატფორმებს სტუდენტებსა და სხვა დაინტერესებული პირებთან კომუნიკაციისათვის. დაწესებულების საზოგადოებასთან კომუნიკაციის სახეებსა და ურთიერთობის ფორმებს არეგულირებს დირექტორის 2020 წლის 27 აპრილს N047 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 08.08.2025 N14911 ბრძანება) დამტკიცებული „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“ (SBA-REG-017) რომლითაც განსაზღვრულია ვებგვერდისა და სოციალური ქსელების მართვის წესები, რაც გულისხმობს ვებგვერდის/სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ვებგვერდზე/სოციალური ქსელის გვერდებზე განსათავსებელი ინფორმაციის მიწოდებისა და ინფორმაციის განთავსების/განახლების/ამოღების წესებ. დოკუმენტის თანახმად ვებგვერდის/სოციალური ქსელების ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია დაწესებულების ადმინისტრაციული სამსახური. ექსპერტები გაეცნენ დაწესებულების სხვადსხვა პლატფორმაზე ბოლო პერიოდის აქტივობებს - სხვადასხვა სახის პოსტებს, ვიზუალურ და ტექსტურ კონტენტს, ინფორმაციას მნიშვნელოვანი სიახლეების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს.

2.დაწესებულება მხოლოდ ერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ინგლისურ ენაზე. დაწესებულების სტრატეგიის გათვალიწინებით, საერთაშორისო თანამშრომლობა და უცხოენოვანი პროგრამების ხელმისაწვდომობა აკადემიის პრიორიტეტია. შესაბამისად დაწესებულებას აქვს როგორც ინგლისურენოვანი, ასევე გერმანულენოვანი ვებგვერდი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.2 დაკმაყოფილებულია. დაწესებულებას აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას

3.დაწესებულების „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ მიხედვით ვებგვერდზე/სოციალური ქსელების გვერდზე ინფორმაციის გონივრულ ვადებში განთავსებაზე/განახლებაზე პასუხისმგებელია აკადემიის ადმინისტრაციული სამსახური, ხოლო ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაციის სისწორესა და სისრულეზე პასუხისმგებელია ინფორმაციის მიმწოდებელი სტრუქტურული ერთეული/პირი, რომელიც განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით. დაწესებულების

ოფიციალური ვებგვერდი, სოციალური ქსელები და სხვა საკომუნიკაციო არხები ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას, მათზე ქართულ, ინგლისურ და გერმანულ ენებზე განთავსებულია დაწესებულების საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ვებგვერდზე აისახება როგორც მიმდინარე პროცესები და აქტივობები, ასევე დაგეგმილი ღონისძიებები. დაწესებულების ადმინისტრაციული სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ირკვევა, რომ დაწესებულებამ 2025 წელს შექმნა თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი ახალი ვებგვერდი. ვებგვერდზე არ არის ასახული ინფორმაცია იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ, რომლის განხორციელების უფლება დაწესებულებას ჯერ არ მოუპოვებია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას.

4.დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, რომელიც ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი მოიცავს ინფორმაციას პროგრამების დასახელების, მისანიჭებელი კვალიფიკაციების, დაშვების წინაპირობების, პროგრამის საფასურის, მოცულობის, ხანგრძლივობისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. კატალოგს დაწესებულებისთვის სარეკლამო სახის დანიშნულება აქვს და დაინტერესებულ პირს აწვდის მნიშვნელოვან ინფორმაციას. ექსპერთა მიერ დადასტურდა, რომ კატალოგი განახლებულია და ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.4 დაკმაყოფილებულია. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

5.დაწესებულების „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესის“ შესაბამისად, აკადემიის სერვისების კატალოგი, მათ შორის პროგრამების კატალოგი არსებობს ელექტრონული სახით და ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე. მისი განახლება ხდება წელიწადში ერთხელ, ასევე, სერვისებში/პროგრამებში ცვლილებების განხორციელებიდან გონივრულ ვადებში, თუმცა არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა. ექსპერთთა მიერ გადამოწმდა დაწესებულების ვებგვერდი https://sba.edu.ge/servisebis-katalogi, სადაც განთავსებულია პროგრამების კატალოგი, რითაც დადასტურდა, რომ დაწესებულება ყოველწლიურად აახლებს საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.5 დაკმაყოფილებულია. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად.

6.დაწესებულება საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებული უკუკავშირის შეგროვებას და მენეჯმენტთან მის წარდგენას ახორციელებს ადმინისტარციული სამსახური. მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, საჭიროების შემთხვევაში, მენეჯმენტის სამუშაო შეხვედრაზე იგეგმება განსახორციელებელი აქტივობები დაწესებულების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ექსპერტთა შეფაებით, დაწესებულება აქტიურად ითვალისწინებს საზოგადოების გამოხმაურებას, რომელიც მიიღება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით, რათა გაუმჯობესოს თავისი საქმიანობის ხარისხი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.2.3.6 დაკმაყოფილებულია, საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი“;
- დაწესებულების ვებ გვერდი და სოციალური ქსელის გვერდები;
- დომენის და ჰოსტინგის ხელშეკრულება;

- ინტერნეტის მომსახურების შესახებ ხელშეკრულება;
- პროგრამების კატალოგები;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

5.3 ფინანსური რესურსები

5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორცილება უზრუნველყოფილია შესაბამისი ფინანსური რესურსით, რაც დასტურდება დაწესებულების საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტებით.

საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შედგენა-დამტკიცების პროცედურების რეგულირებისთვის დაწესებულების დირექტორის 2020 წლის 29 ივნისის N078 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 N16690 ბრძანება) დამტკიცებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი „სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი“, რომლის მიხედვითაც სტუდენტთა ჩარიცხვების დასრულების შემდგომ ფინანსური მენეჯერისა და დირექტორის მიერ ხდება სასწავლო წლის მოსალოდნელი შემოსავლების გაანალიზება და შესაბამისად, იმ ფინანსური რესურსის იდენტიფიცირება, რისი გამოყენებაც შესაძლებელი იქნება აღნიშნულ პერიოდში დაწესებულების დასახული მიზნების განსახორციელებლად. იდენტიფიცირებული ფინანსური რესურსისა და სამოქმედო გეგმის საფუძველზე, ფინანსური მენეჯერი შეიმუშავებს საპროგნოზო ბიუჯეტს და დასამტკიცებლად წარუდგენს აკადემიის დირექტორს. დაწესებულების 2024-2025 წლის სასწავლო წლის ბიუჯეტი შემუშავებულია დაწესებულების სტრატეგიითა და სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ამოცანების გათვალისწინებით და დამტკიცებულია დაწესებულების დირექტორის ბრძანებით. ექსპერტთა მიერ განხორციელდა ინტერვიუები დაწესებულების ადმინისტრაციასთან, რომლებმაც დაადასტურეს დაგეგმილი აქტივობების და სამუშაოების წარმართვისთვის ბიუჯეტის ფარგლებში გამოყოფილი თანხების საკმარისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება

2.დაწესებულება უზრუნველყოფილია მისი სრულფასოვანი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებით. აკადემიის საპროგნოზო ბიუჯეტით დაგეგმილი საოპერაციო ხარჯების ფაქტობრივად უზრუნველყოფის გაანალიზების მიზნით, დაწესებულება საპროგნოზო ბიუჯეტით განსაზღვრული პერიოდის ბოლოს ადგენს ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულების დოკუმენტს. „სააღრიცხვო პოლიტიკა და წესის“ შესაბამისად, ფინანსური მენეჯერის მიერ, მზადდება პერიოდის ბიუჯეტის

ფაქტობრივი შესრულების ანგარიში, სადაც წარმოდგენილია საპროგნოზო ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლებისა და ხარჯების რეალური შესრულება და გადახრების ანალიზი, აღნიშნული დოკუმენტი წარმოდგენილ იქნა ექსპერტებთან. იმისათვის, რომ დაწესებულების საპროგნოზო ბიუჯეტი მაქსიმალურად მიახლოებული იყოს ფაქტობრივთან, დაწესებულების ხელმძღვანელობის მხრიდან ხდება წინა პერიოდების შემოსავლების (როგორც ძირითადი საქმიანობიდან და ასევე, ალტრნატიული წყაროებიდან) და მიმდინარე საოპერაციო ხარჯების გაანალიზება.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილია 2023-2024 ბიუჯეტის ფაქტობრივი შესრულება, ანგარიშით ირკვევა, რომ დაწესებულება ახორციელებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო საოპერაციო ხარჯების დაფინანსებას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით.

3.ფინანსური შედეგებისა და მდგრადობის ობიექტურად შეფასების მიზნით, დაწესებულება ყოველწლიურად ამზადებს საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების პაკეტს (ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, შემოსავლების, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების (მოგებაზარალის) ანგარიშგება, ფულადი სახსრების მოძრაობა, კაპიტალის მოძრაობა) რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საანგარიშგებო პერიოდის მომდევნო წლის ოქტომბრამდე მზადდება და იტვირთება „სსიპ ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის" შესაბამის პორტალზე rms.reportal.ge. ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული მონაცემებისა და ინფორმაციის სრულყოფილად და ხარისხიანად აღრიცხვის მიზნით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შიდა მარეგულირებელი დოკუმენტი „სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი", რომელიც უზრუნველყოფს მართებული, საიმედო, შესადარისი და გასაგები ინფორმაციის წარდგენას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ფინანსური სისტემის გამართულ ფუნქციონირებას და ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4.ვიზიტის ფარგლებში დაწესებულებამ წარმოადგინა წინა წლების სრული ფინანსური ანგარიშები, რითაც დგინდება, რომ დაწესებულება ყოველწლიურად განიხილავს ფაქტობრივ დანახარჯებს და ითვალისწინებს მომდევნო წლის ბიუჯეტირების პროცესში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 5.3.1.4 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- შინაგანაწესი;
- სამოქმედო გეგმები;
- სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშები;
- დაწესებულების ბიუჯეტი და მისი შესრულების ანალიზის დოკუმენტები;
- ბრუნვითი უწყისები

შეფასება:
☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	**შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით ტექნოლოგიებში / Higher Vocational Qualification in Occupational Safety and Environmental Technology
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0712
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" დირექტორის 2023 წლის 03 მარტის №00000034 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	360
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 2023 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს არაერთი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია, რომ 2018 წლის შემდეგ „შრომის უსაფრთხოების შესახებ" კანონის მიღებამ და 2019 წლის ორგანული კანონის სტატუსის მინიჭებამ მნიშვნელოვნად გაზარდა მოთხოვნა შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებზე, როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. აღნიშნული პროფესიული პროგრამა ეფექტურად პასუხობს შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების მიმართულებით ბაზრის საჭიროებებს, პროგრამის კურსდამთავრებულები კი, მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირების, რისკების შეფასებისა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებასთან, ასევე გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვას და სხვ. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით", რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის" მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" პროგრამისთვის განსაზღვრული 360 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით" განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს" დირექტორის 2023 წლის 3 მარტის №00000034 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ (ბოლო ცვლილება განხორციელდა 12.09.2025 წლის №17002 ბრძანებით). ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს - ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“/Occupational Safety and Environmental Technology. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „შრომის უსაფრთხოების და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები" სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაში (კვოტაში) ცვლილება განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კერძოდ, პროგრამის თვითშეფასების შედეგების ანალიზით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის (კვოტის) 240-დან 360-მდე გაზრდის თაობაზე.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია სამი A გარემო - (№203 - 30 ადგილი; №202 - 34 ადგილი; №201 - 70 ადგილი); სამი B ტიპის სასწავლო გარემო - (№118 - 30 ადგილი; №117 - 30 ადგილი; №113 - 15 ადგილი) და ასევე, C სასწავლო გარემო, რომელიც განთავსებულია დაწესებულების A კორპუსის ეზოში მოწყობილ სივრცეში (უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი რაოდენობის ინვენტარით:

A გარემო-1 (№203) – 30 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 30*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *პროექტორი - 1*
- *კომპიუტერი- 1*

A გარემო- 1 (№202) – 34 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 34*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 34*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*
- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*

A გარემო- 1 (№201) – 70 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 70*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 70*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*
- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*

B გარემო-1 (№118) – 30 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 30*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 30*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *მონიტორი* - 1

B გარემო-1 (№117) – 30 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 30*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 30*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *მონიტორი* - 1

B გარემო-1 (№113) – 15 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 15*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 15*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 15*

- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *მონიტორი* - 1

C გარემო - აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.
დაწესებულებაში „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება ერთ ცვლაში შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ 10 კომპანიებთან:

- სს ,,გუდვილი'' – 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“ – 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „გრანდი“ – 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ვესტა“ -30 პროფესიული სუდენტი;
- სსიპ კოლეჯი „მერმისი“ – 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „ნი ესტეტიკ ჯორჯია“ – 30 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ კოლეჯი - „მოდუსი“ – 60 პროფესიული სტუდენტი;
- შპს საზოგადოებრივი ოლეჯი „პანაცეა“ – 30 პროფესიული სტუდენტი;
- შპს „პოლიმერი 1“ - 30 პროფესიული სტუდენტი;
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“ – 60 პროფესიული სტუდენტი.

ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 42 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან; დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 25 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს

განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988).
პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია

მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „შრომის უსაფრთხოება და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვაწი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 17 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საოჯახო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა

აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიები“;
- „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.
დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.
დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე. ამის ნათელი დასტურია 2025 წელს წარმატებით განხორციელებული პროექტი „გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება" – გახდი პროფესიული მასწავლებელი". პროექტის ფარგლებში გამოიკვეთა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: მონაწილეთა უმრავლესობა, რომლებიც პროფესიული პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვითი ტექნოლოგიების" სტუდენტები იყვნენ, აღნიშნავდნენ, რომ მათი მომავალი პროფესია სამუშაო პროცესში ინსტრუქტაჟის ჩატარებასა და შესაბამისი სასწავლო მასალის გადაცემას ითვალისწინებს. მათთვის ტრენინგის შინაარსი პრაქტიკულად ეხმიანებოდა მათ პროფესიულ საჭიროებებსა და რეალურ სამუშაო პასუხისმგებლობებს. მონაწილეთა აქტიური ჩართულობით გამოიკვეთა ინიციატივა, რომ შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის გადამუშავების დროს, გათვალისწინებული ყოფილიყო ტრენერობის სწავლების კომპონენტის დამატება. აღნიშნულის საფუძველზე, დაწესებულებამ წერილობით მიმართა პროფესიული უნარების სააგენტოს თანამშრომლობისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ისწრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასწავლო დაწესებულება, პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევისას ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 10 პარტნიორ ორგანიზაციასთან.

- სს ,,გუდვილი'';
- შპს „თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა“;
- შპს „გრანდი“;
- შპს „ვესტა“;
- სსიპ კოლეჯი „მერმისი“;
- შპს „ნი ესტეტიკ ჯორჯია“;
- სსიპ კოლეჯი - „მოდუსი“;
- შპს საზოგადოებრივი ოლეჯი „პანაცეა“;
- შპს „პოლიმერი 1“;
- სსიპ - კოლეჯ „გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრი“.

ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენს, „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლების წარმართვა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების ხელშეწყობა. ხელშეკრულებების ხანგძლივობა შეადგენს 6 წელს და თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს მოდულ(ებ)ის სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეები თანხმდებიან, რომ თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში მიღწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სწავლის შედეგები; თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგებიც, რომელთა ჩამონათვალი საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება წერილობით, თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში სწავლების დაწყების წინ, კონკრეტული ჯგუფისათვის. ასევე, ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იგზავნება წერილი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები და პროფესიულ სტუდენტთა სია.

ექსპერტთა ჯგუფი **იმყოფებოდა შპს „პოლიმერი 1“-ში,** პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობა არ გამოვლენილა. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ასევე, C სასწავლო გარემოში (უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია) თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული მუშაობის წესები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამის „შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების“ სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტქორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური,

მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიეტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„შრომის უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი ტექნოლოგიების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.
პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.
დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA"
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

III. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ტვირთების ექსპედირებაში; Secondary Vocational Qualification in Freight forwarding
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის N: 0021 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, No18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	180

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	148
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

IV. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო შემუშავების დადგენილი წესით წარმართვის უზრუნველსაყოფად, აკადემიას დამტკიცებული აქვს შიდა მარეგულირებელი აქტი — „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“ (SBA-REG-019). “ლოგისტიკის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (შემდგომში - ლოგისტიკა), განხორციელების საჭიროებას განაპირობებს არაერთი ფაქტორი. აკადემია მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება. ამასთან, აკადემიას გააჩნია აღნიშნულ პროგრამას ახორციელებს წლების განმავლობაში და დაგროვებული აქვს საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად.

ამ კონტექსტში, „ლოგისტიკის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია საქართველოს ბიზნეს აკადემიის მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან. ხოლო რეგიონში ლოგისტიკის და ასოცირებული მომსახურების სექტორების განვითარება განაპირობებს კვალიფიციური პერსონალის მზარდ მოთხოვნას, რაც პროგრამის აქტუალურობასა და საჭიროებას ამყარებს.

პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე ლოგისტიკის სექტორის მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან, ოპერაციული პროცესების ორგანიზებასა და ჰიგიენის სტანდარტების დაცვასთან. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან.

ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ „ლოგისტიკის“ პროგრამის განხორციელება გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკების, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი პროცედურების დაცვით. პროგრამა შეესაბამება აკადემიის მისია და სტრატეგიულ მიზნებს.

ინდიკატორი 2.1.1.1. შესაბამისობაშია და პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა დადგენილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით, აკადემიაში არ არის დადგენილი დამატებითი მოთხოვნები პროგრამაზე ჩარიცხვისთვის და არსებული პირობები უცვლელია. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამებზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით — „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით” (SBA-REG-064), რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. ლოგისტიკის პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურა, რომელიც შიდა შერჩევის გზით ხორციელდება, არ შეცვლილა. აკადემიაში აპლიკანტთა შერჩევის და ჩარიცხვის პროცედურები ხორციელდება აღნიშნული წესის დაცვით.

ექსპერტთა შეფასებით, “ლოგისტიკის” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.2. შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.

წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტიდან ჩანს, რომ აკადემიამ განახორციელა ცვლილებები სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიაში, რაც გამოწვეული იყო რამდენიმე შემდეგი ფაქტორებით: ახალი სასწავლო კორპუსის ამოქმედება: აკადემიაში ახალი სასწავლო კორპუსების მოწყობამ გააფართოვა სასწავლო სივრცეები, რამაც აუცილებელი გახადა პროფესიულს ტუდენტთა რაოდენობის ზღვრული განსაზღვრის მეთოდოლოგიის გადახედვა და გაზრდილი შესაძლებლობების გათვალისწინება. კანონმდებლობით დისტანციური სწავლების რეგულირება: საქართველოს კანონმდებლობამ დაარეგულირა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დისტანციურად განხორციელების საკითხები. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს რესურსების ოპტიმალურ გამოყენებასა და კანონმდებლობასთან სრულ

შესაბამისობას, ამასთან ნათელს ხდის, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრება მკაფიოდ დადგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით და პრაქტიკაში ხორციელდება იმგვარად, რომ გათვალისწინებულია როგორც სასწავლო გარემოს გამტარიანობა, ისე პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა.

ინდიკატორი 2.1.1.3. შესაბამისობაშია და პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ლოგისტიკა" არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით" განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს "საქართველოს ბიზნესის აკადემია დირექტორის 2024 წლის 12 თებერვლის N: 0021 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის დირექტორის მიერ
ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ ჯგუფის შექმნის ბრძნების და შემუშავების პროცესის ამსახველ დოკუმენტაციასტან გაცნობის შემდგომ ნათელია, რომ პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს. პროცესი არის ფორმალურად გამართული, გამჭვირვალე და უზრუნველყოფს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცდეს შესაბამისი ორგანოს მიერ, სათანადო დასაბუთებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების საფუძველზე.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს ლოგისტიკური საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს — ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.
პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

ზოგადი

- უცხოური ენა (ინგლისური ენა)
- ინფორმაციული წიგნიერება
- მეწარმეობა

პროფესიული

- ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები
- ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის დაგეგმვა
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო დოკუმენტაციის მომზადება
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელება
- ტვირთის გადაზიდვის კონტროლი
- სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხის კონტროლი

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- აღწეროს ექსპედირების საწარმოს ორგანიზაციული სტრუქტურა და ოპერაციები;
- აღწეროს ტვირთების ექსპედირებასთან დაკავშირებული კანონმდებლობა და რეგულაციები;
- დაგეგმოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- მოამზადოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დოკუმენტაცია;
- განახორციელოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობა;
- აკონტროლოს ტვირთის გადაზიდვა;
- აკონტროლოს სატრანსპორტო-საექსპედიტორო საქმიანობის ხარისხი.

ექსპერტთა შეფასებით, მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს ლოგისტიკურ სფეროში დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ინდიკატორი 2.1.1.7. შესაბამისობაშია და პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი

8.პროგრამა დამტკიცებულია აკადემიის დირექტორის შესაბამისი ბრძანებით (№0021/12 თებერვალი/2024წ.ბრძანებით), და სრულად შეესაბამება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურას, შინაარსს და განხორციელების პროცედურებთან დაკავშირებულ მოთხოვნებს. შესაბამისად, პროგრამა აკმაყოფილებს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ კანონმდებლობით დადგენილ ყველა მოთხოვნას. 2025 წელს აკადემიამ განაახლა ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ცვლილებები განხორციელდა ინტეგრირებული მოდულების, პროფესიის და საგანმანათლებლო სტანდარტის განახლებული მოთხოვნების გათვალისწინებით.

პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მიდგომები. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. შესაბამისად, ქართული ენის მოდულ(ებ)ის გავლა სავალდებულოა მხოლოდ იმ პროფესიული სტუდენტებისთვის, რომლებმაც პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს რუსულ, აზერბაიჯანულ ან სომხურ ენაზე გამოცდის ან/და ტესტირების ჩაბარების გზით კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. აღნიშნული პირებისათვის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლება იწყება ქართული ენის მოდულებით. („ქართული ენა A2”და „ქართული ენა“ B1 მოდულები).

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის შემუშავების ეტაპზე გათვალისწინებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები, დამსაქმებელთა საჭიროებები და დარგის განვითარების ტენდენციები, პროფესიული სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ხარისხიან განხორციელებასა და რესურსების ადეკვატურ განაწილებას.

ინდიკატორი 2.1.1.8. შესაბამისობაშია და .პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, „ლოგისტიკა: დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით №0021, 2024წ. 12 თებერვალი
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“ (SBA- REG-019).
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილი“
- „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესი” (SBA-REG-064).
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“ SBA-REG-018
- განაცხადები სასწავლო რესურსის შეძენაზე.
- პროგრამის დამტკიცების და ცვლილების დამტკიცების ბრძანებები
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა
- აკადემიის მისია, ხედვა, ღირებულებებით - განთავსებული ვებგვერდზე https://sba.edu.ge/mission-vision-values/

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.აკადემიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ ლოგისტიკა„ ხორციელდება აკადემიის შესაბამის სასწავლო სივრცეებში და პარტნიორ ორგანიზაციებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და საგანმანათლებლო გარემო. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას.
პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
პროფესიული პროგრამის განხორციელების მიზნით აკადემიაში გამოყოფილია კეთილმოწყობილი და ტექნიკურად გამართული **A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები**, რომლებიც გამოიყენება თეორიული მეცადინეობებისა და კომპიუტერზე დაფუძნებული სასწავლო აქტივობების ჩასატარებლად, რაც გათვალისწინებულია ზოგადი მოდულით ინფორმაციული წიგნიერება და ცალკეული დარგობრივი მოდულებით და მიცავს სხვადასხვა სახის დოკუმენტაციის წარმოების წესების შესწავლას, ტვირთის ტრანსპორტირების დაგეგმვის, ტრანსპორტირების კონტროლის განხორციელებას და სხვა. **C ტიპის სასწავლო გარემო:**

- ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები“ განხორციელებისათვის აუცილებელი ქიმიურ/ბიოლოგიურ/ ტექნოლოგიური ლაბორატორია, რომელიც სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით;
- ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტის“ განხორციელებისათვის მოწყობილი სპორტული მოედანი

A და B სივრცეები აღჭურვილია პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისი სამუშაო მაგიდებითა და სკამებით, პერსონალური კომპიუტერებით, უწყვეტი ინტერნეტითა და პროგრამის შინაარსთან დაკავშირებული შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფით. ასევე უზრუნველყოფილია პრეზენტაციისთვის საჭირო ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, ეკრანი, პრეზენტაციის დაფა), ასლგადამღები მოწყობილობები და სხვა დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც ხელს უწყობს სასწავლო მასალის ეფექტიან მიწოდებასა და ვიზუალურ აღქმას.

მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.

ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე -ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ლოგისტიკა“ ხორციელდება რეალურ სამუშაო გარემოში. აკადემიამ პირველადად წარმოადგინა 6 კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება ჯამურად 145 პროფესიულ სტუდენტზე, ხოლო ვიზიტის დროს წარმოადგინა კიდევ ერთი ერთი ხელშეკრულება დამატებით 80 პროფესიულ სტუდენტზე. 7 კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულება და პროგრამის განხორციელებისთვის დათმობილი კოლეჯის საუდიტორიო ფართი **უზრუნველყოფს დაწესებულების მიერ მოთხოვნილი პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის (180) გატარებას.**

ცალკეული მოდულებით დადგენილი სწავლის შედგების მიღწევა უზრუნველყოფილია ინტერაქციული ლექციების, სხვადასხვა ფოტო-ვიდეო მასალი ჩვენებით, სასწავლო მასალების დემონსტრირების და სტუდენტების მხრიდან პრაქტიკული დავალებების განხორციელების გზით. აკადემია ექსპლუატაციას უწევს მფლობელობაში არსებულ ტვირთების მომსახურებასთან დაკავშირებულ იმიტირებულ გარემოს. სწავლების ფორმის შესაბამისად პარტნიორ ორგანიზაციებში გატანილი აქვს სწავლის შედეგების ნაწილი, რაც ჯამურად უზრუნველყოფს კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას.

პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამისთვის „ლოგისტიკა“ მნიშვნელოვანი ფუნქციური დატვირთვა აქვს რეალურ სამუშაო გარემოში სწავლებას. აკადემიას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები შესაბამის ლოგისტიკურ და სატრანსპორტო პროფილის მქონე შვიდ ორგანიზაციასთან.

პარტნიორი ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა უზრუნველყოფს სტუდენტების ჩართვას რეალურ სამუშაო პროცესებში, სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვასა და განხორციელებაში, დოკუმენტბრუნვის პრაქტიკაში, ტვირთის გადაზიდვის მონიტორინგსა და მომსახურების ხარისხის კონტროლში.

პარტნიორი ორგანიზაციების საწარმოო გარემოს დათვალიერების და პრაქტიკულ სწავლებაზე პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებისა საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაციების რესურსები და მათი ხელმისაწვდომობა პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით სრულად უზრუნველყოფს გატანილი სწავლის შედეგების მიღწევადობას.

ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული მატერიალური და სასწავლო რესურსები არის რეალისტურად დაგეგმილი, ფაქტობრივად ხელმისაწვდომი და სრულ შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და შინაარსთან

ინდიკატორი 2.2.1.1. შესაბამისობაშია და პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. აკადემიაში „ლოგისიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია წინასწარ გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.
პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას ჰყავს **56 პროფესიული განათლების მასწავლებელი**, რომელთაგან:

- **14 პროფესიული მასწავლებელი ახორციელებს ზოგად მოდულებს**
- **14 პროფესიული მასწავლებელი ახორციელებს პროფესიულ მოდულებს**
- **28 პროფესიული მასწავლებელი ანხორციელებს ინტეგრირებულ მოდულებს**

ჩანაცვლებადობა და რესურსების მდგრადობა
თითოეულ მოდულზე აკადემიას ყყავს რამოდენიმე განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. რესურსების ასეთი განაწილება ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

მასწავლებელთა დატვირთვა
წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ:

- ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება **„საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს**,
- კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა **არ აღემატება 40 საათს**,
- განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს **განმახორციელებელი პერსონალის სია**, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.
პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით, კვალიფიკაციის დადასტურებითა და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ:

- წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს,
- პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან,
- რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და უწყვეტ განხორციელებას.

ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება **საკმარისია, რეალისტურია და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას**.
ინდიკატორი 2.2.1.2. შესაბამისობაშია და პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. ვიზიტის ფარგლებში პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებულმა გასაუბრებამ და მათი პირადი საქმეების შესწავლამ დაადასტურა, აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებლები სრულად აკმაყოფილებენ „ლოგისტიკის: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელ კვალიფიკაციასა და პროფესიულ მოთხოვნებს.
მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია პროგრამის პროფილის შესაბამისი დოკუმენტაცია, მათ შორის: შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დიპლომები, სერტიფიკატები და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი ცნობები; წარმოდგენილი მასალები ადასტურებს, რომ პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ფლობს როგორც თეორიული ცოდნის გადაცემის, ისე პრაქტიკული კომპონენტების განხორციელებისთვის აუცილებელ პროფესიულ კომპეტენციებს.

დადგინდა, რომ პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები, პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, აქტიურად არიან ჩართული: მოდულების შემუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათი ადაპტირების პროცესში; სწავლებისა და შეფასების ინსტრუმენტების მომზადებაში; მოდულების განხორციელების მიმდინარეობის მონიტორინგში. აღნიშნული პრაქტიკა მიუთითებს, რომ პროგრამის შინაარსი ეფუძნება კოლეგიურ თანამშრომლობასა და პრაქტიკულ პროფესიულ გამოცდილებას.

ყველა პროგრამის განმახორციელებელ მასწავლებელთან გაფორმებულია წინასწარი ხელშეკრულებები, რომლებშიც მკაფიოდ არის განსაზღვრული სამართლებრივად მოთხოვნილი ძირითადი პირობები, კონკრეტული მოდულები, სამუშაო ფუნქციები, პასუხისმგებლობები და სასწავლო დატვირთვა. დადგინდა, რომ მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, რაც შეესაბამება საქართველოს

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა, მათი კვალიფიკაცია, პრაქტიკული გამოცდილება, პროფესიული განვითარების ისტორია და სამუშაო დატვირთვის რაციონალური განაწილება სრულად უზრუნველყოფს „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხიან, უწყვეტ და მდგრად განხორციელებას. მასწავლებელთა კომპეტენციები პირდაპირ უწყობს ხელს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტიან მიღწევას.

ინდიკატორი 2.2.1.3. შესაბამისობაშია და პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. ლოგისტიკის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის და გამოცდილების მქონე ხელმძღვანელი, რომელიც ასრულებს ხელმძღვანელ ფუნქციებს, რაც დასტურდება მისი სამუშაო აღწერილობით და ხელმძღვანელის რეზიუმეთი. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მხარეებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ლოგისტიკის პროგრამის ხელმძღვანელი არ შეცვლილა.

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პირადი საქმის) შესწავლისა და პროგრამის ხელმძღვანელთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ „ლოგისტიკის“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს ხელმძღვანელი, რომელიც ფლობს პროგრამის პროფილის შესაბამის დარგობრივ კომპეტენციებს, წარმოდგენილი აქვს დადასტურებული კვალიფიკაცია და პრაქტიკული პროფესიული გამოცდილება ლოგისტიკის სფეროში. პროგრამის ხელმძღვანელი აქტიურად მონაწილეობს როგორც პროგრამის შემუშავებისა და განახლების პროცესში, ისე მისი განხორციელების ეტაპზე.

დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი, ადმინისტრაციული ფუნქციების შესრულებასთან ერთად, ახორციელებს დარგობრივ მოდულებს, რაც დამატებით აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ სისწორეს, სწავლების რეალურ სამუშაო გარემოსთან შესაბამისობასა და სასწავლო პროცესის ხარისხს. აღნიშნული პრაქტიკა არ ქმნის გადაფარვის ან ინტერესთა კონფლიქტის რისკს, არამედ უზრუნველყოფს პროგრამის მართვისა და სწავლების პროცესის ერთიან, კოორდინირებულ განხორციელებას.

პროგრამის ხელმძღვანელი სისტემურად იყენებს პოლიტიკით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმილ, სტრუქტურირებულ და დროულ განხორციელებას, ასევე სწავლების ხარისხის მუდმივ მონიტორინგსა და გაუმჯობესებაზე ორიენტირებულ მიდგომას.

ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია, პროფესიული გამოცდილება და მაღალი ჩართულობა სრულად შეესაბამება საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და უზრუნველყოფს „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ეფექტიან, მდგრად და ხარისხზე ორიენტირებულ მართვას.

ინდიკატორი 2.2.1.4. შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა აკადემიის ბიბლიოთეკისა და სასწავლო სივრცეების დათვალიერება, ასევე შერჩევითი პრინციპით შეამოწმა „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები. პერსონალთან ჩატარებული გასაუბრებების საფუძველზე არსებული მდგომარეობა შეფასდა როგორც სანდო და მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი.

აკადემიაში სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ- ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“ (SBA-REG-066).

დადგინდა, რომ პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით. კერძოდ, აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალა, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში. შესაძლებელია სასწავლო მასალების გადმოწერა და ბეჭდვა. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს „ლოგისტიკის“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით სფეროს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“. ის წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

ლოგისტიკის პროგრამის საგანმანათლებლო რესურსები სრულად შეესაბამება სტანდარტით გათვალისწინებულ რესურს, რაც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. საგანმანათლებლო რესურსები რეგულარულად ახლდება პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროფესიული მასწავლებლების ინიციატივითა და მჭიდრო კოორდინაციის გზით. ეს პროცესი უზრუნველყოფს სწავლების უწყვეტ სრულყოფასა და სფეროში მიმდინარე მოთხოვნებთან შესაბამისობას. გარდა ამისა, საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი პროაქტიულად მოქმედებს, აქტიურად ეძებს ახალ რესურსებს და საბიბლიოთეკო ფონდს. შედეგად 2025 წელს განახლდა ლოგისტიკის პროგრამის საგანმანათლებლო რესურსები. განახლებული რესურსი სრულად აკმაყოფილებს ყველა არსებულ საჭიროებას და სრულყოფილად პასუხობს როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის, ისე ამდიდრებს რესურსები დარგის მოთხოვნებს.

ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები არის რელევანტური, მრავალფეროვანი და სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.5. შესაბამისობაშია და საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. აკადემიაში სსსმ პირებისთვის სასწავლო რესურსებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის საკითხი რეგულირდება „სწავლა- სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ- ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“ (SBA-REG-066). აკადემია, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად აკადემიას ჰყავს სპეციალური მასწავლებელი ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი. ამასთან აკადემიას აქვს სსსმ/შშმ პირის სწავლების გამოცდილებაც.

„ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის გამოყოფილი სასწავლო სივრცეების დათვალიერებისა და პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელ ინფრასტრუქტურულ პირობებს, მათ შორის ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

აკადემიის იმ სასწავლო კორპუსში, სადაც განთავსებულია პროგრამის სასწავლო სივრცეები, უზრუნველყოფილია მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისი ხელმისაწვდომობა. კერძოდ, შენობა აღჭურვილია კიბეებზე ასასვლელი და ჩამოსასვლელი სპეციალური მოწყობილობებით, რაც უზრუნველყოფს შეზღუდული მობილობის მქონე პირების დამოუკიდებელ გადაადგილებას. ასევე, აკადემიაში ფუნქციონირებს ადაპტირებული სველი წერტილები, რომლებიც სრულად შეესაბამება უნივერსალური დიზაინის პრინციპებს.

A, B და C ტიპის სასწავლო სივრცეებში შესაძლებელია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს ორგანიზება, მათ შორის მოსარგები სამუშაო ადგილებისა და სივრცის მოქნილი განლაგების საშუალებით.

აკადემიის ბიბლიოთეკისა და საინფორმაციო რესურსების გამოყენება ხელმისაწვდომია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვისაც. ბიბლიოთეკის სივრცეებში უზრუნველყოფილია მობილობის შეზღუდვის მქონე პირების თავისუფალი გადაადგილება, ხოლო კომპიუტერული კლასები იძლევა სამუშაო ადგილის ადაპტირების ან საჭიროების შემთხვევაში მისი მოდიფიცირების შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის მიერ უზრუნველყოფილი ინფრასტრუქტურა და სასწავლო სივრცეების ადაპტირება სრულ თანხვედრაშია პროფესიული განათლების სტანდარტის მოთხოვნებთან. "ლოჯისტიკის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის A, B და C ტიპის სასწავლო გარემოები უზრუნველყოფს უსაფრთხო, ხელმისაწვდომ და ინკლუზიურ სასწავლო გარემოს, რაც ყველა პროფესიულ სტუდენტს, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებს, აძლევს პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.2.1.6. შესაბამისობაშია და სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7.ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა აკადემიის მიერ წარმოდგენილი „ლოგისტიკის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დოკუმენტის ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბიუჯეტი ჩამოყალიბებულია გამჭვირვალე, ეკონომიკურად გონივრული და სტანდარტებთან შესაბამისი პრინციპებით. აკადემიაში ფორმალიზებულია პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტის შემუშავების პროცესი, რაც გაწერილია აკადემიისაქტში "სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი" (SBA-REG-035) თავი 2, მუხლი 20.

ლოგისტიკის პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. ლოგისტიკის პროგრამაზე არსებობს საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შემოსავლებსა და ხარჯებს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით. საპროგნოზო ბიუჯეტი მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად იცვლება ბიუჯეტის რომელიმე პოზიცია (შემოსავლები ან ხარჯები). პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.

1. ბიუჯეტის სტრუქტურა და შემოსავლების ნაწილი

საპროგნოზო ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილი დაფუძნებულია სწავლის საფასურზე, რომლის მოცულობა განსაზღვრულია აკადემიის ფინანსური პოლიტიკის შესაბამისად. შემოსავლის პროგნოზი ეფუძნება ზღვრული რაოდენობისა და მინიმალური დასაშვები ჯგუფის ანალიზს, რაც უზრუნველყოფს პროგრამის ფინანსურ მდგრადობას.

2. ხარჯვითი ნაწილი – დეტალური და რეალისტური განაწილება

ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი მოიცავს პროგრამის სრულფასოვანი განხორციელებისთვის აუცილებელ ყველა პოზიციას, მათ შორის:

- პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება

- მასალა და ნედლეული
- საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება
- კომუნიკაციის ხარჯი
- დიპლომების/დანართების დამზადება
- სვადასხვა სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები
- ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება
- კომუნალური გადასახადები
- ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია
- საიჯარო ხარჯი
- საკანცელარიო და საოფისე ხარჯი
- გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში
- გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი

ხარჯების ასეთი სტრუქტურა ასახავს პროგრამის განხორციელების რეალურ საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.
ბიუჯეტი შედგენილია რენტაბელობის ზღვრის გათვალისწინებით. ხარჯების ნაწილში გათვალისწინებულია ამ პროგრამის მიზნებისთვის პირდაპირ გასაწევი და პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ზედნადები ხარჯები. საერთო და პროგრამისგან დამოუკიდებელი აქტივობების ხარჯები გაწეული იქნება აკადემიის საერთო ბიუჯეტიდან. “ლოჯისტიკის”პროგრამის **რენტაბელობის ზღვარი** არის ჯგუფში 18 პროფესიული სტუდენტი, რომლის პირობებშიც პროგრამა ოპერატიულ ხარჯებს სრულად ფარავს და შესაძლებელია მისი მიმდინარეობა ხარისხის ზიანის გარეშე.
განხილული მონაცემებით დგინდება, რომ:

- საპროგნოზო ბიუჯეტი რეალისტურად მოიაზრებს ყველა აუცილებელ ხარჯს,
- შემოსავალი შეესაბამება აკადემიის ფინანსური პოლიტიკის ფარგლებში გათვლილ მოდელს,
- პროგრამა ფინანსურად განხორციელებადია როგორც ზღვრულ, ისე ოპტიმალურ რაოდენობაზე.

დასკვნა
ექსპერტთა შეფასებით, აკადემიის მიერ წარმოდგენილი „ლოგისტიკის“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი:

- **სტანდარტებთან შესაბამისია**,
- **უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად განხორციელებას**,
- **გათვლილია საჭირო მინიმუმზე**,

რაც აძლიერებს ფინანსური დაგეგმვის პასუხისმგებლიან მიდგომას.
ექსპერტთა შეფასებით, ბიუჯეტი ასახავს აკადემიის სისტემურ მიდგომას ფინანსურ მართვაში და ქმნის საფუძველს პროგრამის ხარისხიანი და უწყვეტი რეალიზაციისთვის.
ინდიკატორი 2.2.1.7. შესაბამისობაშია და პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დოკუმენტაცია საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს შესყიდვის შესახებ;

- სტრუქტურული ერთეულები, სამუშაო აღწერილობა და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- განმახორციელებლების კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- წავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ- ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“ (SBA- REG-066).
- მიღება-ჩაბარების აქტი ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამის შესახებ.
- მომსახურების ხელშეკრულება ჟესტური ენის თარჯიმნის შესახებ.
- მომსახურების ხელშეკრულება სპეციალური მასწავლებლის შესახებ.
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“-ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links
- საპროგნოზო ბიუჯეტები
- "სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი" (SBA-REG-035).
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა აკადემიის მიერ დამტკიცებული „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ (SBA-REG-057) და „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“ (SBA-REG-075), რომლებიც განსაზღვრავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და განვითარების ძირითად პროცესებს. მკაფიოდ არის გამოკვეთილი ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის სრული ლოგიკა (Plan–Do–Check–Act), რაც უზრუნველყოფს პროგრამების უწყვეტ მონიტორინგს და დაგეგმილი შედეგების მიღწევის კონტროლს.

დოკუმენტები ქმნიან პროფესიული განათლების ხარისხის მართვის ერთიან, სისტემურ და პროცედურულად გაწერილ ჩარჩოს და უზრუნველყოფენ პროცესების თანმიმდევრულ და გამჭვირვალე განხორციელებას.

აკადემიაში არსებობს პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი:

- პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია;
- პროგრამის შუალედური შეფასება;
- დაინტერესებულ მხარეთა კვლევა;
- პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი

ამგვარი მიდგომა საშუალებას იძლევა, ჰოლისტურად შეფასდეს პროგრამის ეფექტურობა და გამოვლინდეს გაუმჯობესების მიმართულებები
ხარისხის სამსახურთან გასაუბრებების საფუძველზე დადგინდა, რომ სამსახური სისტემურად ახორციელებს ხარისხის მართვის ფუნქციებს. სამსახური ატარებს პერიოდულ კვლევებს, იყენებს წინასწარ შემუშავებულ და დამტკიცებულ კითხვარებს, აანალიზებს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლების შეფასებებს და ამზადებს რეკომენდაციებს პროგრამების გაუმჯობესების მიზნით. კვლევების შედეგები გამოიყენება როგორც მიმდინარე სასწავლო პროცესის დახვეწისა და ოპტიმიზაციისთვის, ისე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების დაგეგმვისას.
ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში არსებული ხარისხის უზრუნველყოფის რეგულაციები და პრაქტიკა ქმნის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და განვითარების ეფექტიან და მდგრად სისტემას, რაც ხელს უწყობს პროგრამების ხარისხის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 2.3.1.1. შესაბამისობაშია დ პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2.აკადემიაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება აკადემიის მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები.
ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა ლოგისტიკის პროგრამის მონიტორინგი. დადგინდა, რომ პროგრამაში ძირეული ცვლილებების აუცილებლობა არ არსებობს, თუმცა, სასწავლო პროცესის ეფექტიანობის შემდგომი გაუმჯობესებისთვის, გაიცა შესაბამისი განმავითარებელი რეკომენდაციები.
„ლოგისტიკის“ პროგრამაზე ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი:

- არის სისტემური და პროცესზე დაფუძნებული,
- მოიცავს ინფორმაციის სხვადასხვა წყაროზე დაფუძვნებულ შეფასებას,
- ეფუძნება ხარისხის ციკლის პრინციპს,
- უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და სტრუქტურულ განახლებას საჭიროების შემთხვევაში.

ამგვარი მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის მდგრად და თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამის განხორციელებას.
ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში მოქმედი შიდა რეგულაციები, მეთოდოლოგიები და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან.

ინდიკატორი 2.3.1.2. შესაბამისობაშია და პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი” (SBA-REG-057).

- აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“ (SBA-REG-075).
- ინტერვიუ დაწესებულების წარმომადგენლებთან
- პროგრამის შეფასების ფორმა
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.ლოგისტიკის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის შემუშავებულია ორი სასწავლო გეგმა:

- სასწავლოგეგმაზოგადიგანათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე;
- სასწავლო გეგმა ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირებით

შესწავლილი სასწავლო გეგმები წარმოდგენილია მკაფიო, თანმიმდევრულ და ლოგიკურად გააზრებულ სტრუქტურებად. დადგინდა, რომ გეგმები სრულად შეესაბამება სამუშაო სტანდარტის მოთხოვნებს და შეიცავს მის მიერ რეკომენდირებულ უმთავრეს ელემენტებს:

- ასახავს მოდულების თანმიმდევრობას
- განსაზღვრავს თითოეული მოდულის განხორციელების კვირობრივ განრიგს
- უზრუნველყოფს საკონტაქტო და დამოუკიდებელი სამუშაო საათების მკაფიო გაწერას.
- დაცულია პროფესიულ სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გონივრული ოდენობა

სასწავლო გეგმები ითვალისწინებს სპეციალურ მიდგომას იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე ჩაირიცხება არაქართულენოვანი სტუდენტები. მათთვის გათვალისწინებულია ქართული ენის შემავსებელი მოდული, რაც უზრუნველყოფს:

- სასწავლო პროცესში თანაბარ ჩართულობას,
- პროფესიული ლექსიკის დაუფლებას,
- სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

გეგმები უზრუნველყოფს სწავლების პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას — დაწყებული საბაზისო ცოდნის ფორმირებიდან, დასრულებული ლოგისტიკის სფეროს პრაქტიკული უნარ-ჩვევების დამუშავებამდე.

ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევის რეალურ შესაძლებლობას.

ინდიკატორი 2.4.1.1. შესაბამისობაშია და პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2.აკადემიაში პროფესიული სტუდენტების სტატუსის, უფლებებისა და ადმინისტრაციული პროცედურების მართვა ხორციელდება დირექტორის 27.04.2020 N: 047 ბრძანებით დამტკიცებული **„სასწავლო პროცესის მართვის წესის“** (SBA-REG-018) საფუძველზე. დოკუმენტი დეტალურად განსაზღვრავს:

- პროფესიული სტუდენტის **სტატუსის შეჩერების** და **შეწყვეტის** წესებს,
- **მობილობის** განხორციელების პირობებს,
- მიღებული განათლების **აღიარების** პრინციპებს
- ინფორმაციას **ინდივიდუალური სასწავლო გეგმის** შესახებ

სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათვის ცნობილია მობილობის შესაძლებლობის, სტატუსის შეჩერების და აღდგენის პროცედურების შესახებ.

სტუდენტზე ორიენტირებული ადმინისტრირება

აკადემია უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც დაცულია კანონმდებლობით დადგენილი ყველა ნორმა. აკადემიაში პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში.

აკადემია მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი:

- საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება;
- ინდივიდუალური მეცადინეობები;
- ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით

შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა

დაწესებულებაში მოქმედი პროფესიული სტუდენტების შეფასების სისტემა ადგენს:

- შეფასების **კრიტერიუმების წინასწარ გაცნობას**,
- შეფასების პროცესის **ორგანიზებულობას**,
- ობიექტურობისა და გამჭვირვალობის პრინციპების დაცვას.

აღნიშნული დადასტურდა სტუდენტების მიერ

ფუნქციონირებს როგორც მიმდინარე, ისე საბოლოო შეფასების მექანიზმები, ხოლო შეფასების ცვლილების ან გადავადების შემთხვევები ხდება განსაზღვრული წესის დაცვით. სტუდენტებთან და კურსდამტავრებულებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათთვის ცნობილი იყო შეფასების კრიტერიუმების შესახებ და რომ ცნობილია გასაჩივრების შესაძლებლობა

ექსპერტთა შეფასებით, აკადემია სრულად უზრუნველყოფს:

- პროფესიული სტუდენტის სტატუსთან დაკავშირებული ადმინისტრაციული პროცესების სწორ მართვას,
- რეალურ სტუდენტურ საჭიროებებზე მორგებულ მოქნილ მიდგომებს,
- ობიექტურ და გამჭვირვალე შეფასების პრაქტიკას.

აღნიშნული მექანიზმები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან და სტუდენტთა წარმატებაზე ორიენტირებულ მიდგომად შეიძლება ჩაითვალოს.

ინდიკატორი 2.4.1.2. შესაბამისობაშია და პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3.აკადემიაში უზრუნველყოფს თანამედროვე მეთოდებსა და ტექნოლოგიებზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს. ყველა სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, რაც პროფესიულ მასწავლებლებს სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების გამოყენების საშუალებას აძლევს. აკადემიის ბაზაზე ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია/ვორქშოპები, რომლებზეც ხდება საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, როგორც დარგის, ასევე, სწავლა-სწავლების მიმართულებით. ლოგისტიკის პროგრამის ფარგლებში აკადემია თანამშრომლობს ლოგისტიკურ ორგანიზაციებთან, სადაც სტუდენტები ეუფლებიან პროფესიის პრაქტიკულ ასპექტებს და ეცნობიან დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

აკადემია უზრუნველყოფს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ტრადიციულ სასწავლო მეთოდებთან. კერძოდ, ლოგისტიკის პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამა.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია, თანასწორებს შორის სწავლების (peer-learning) ელემენტები და ინტერაქტიური ჯგუფური მუშაობა. აღნიშნული მიდგომები სტუდენტებს აძლევს ლოგისტიკური პროცესების ანალიზისა და პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების უნარები განვიტარების საშუალებას.

პროგრამის განხორციელების პროცესში გამოიყენება იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოები, რომლებიც ასახავს ტვირთების ექსპედირების პროცესების ძირითად ეტაპებს, მათ შორის სატრანსპორტო ოპერაციების დაგეგმვას, დოკუმენტაციის დამუშავებას, ტვირთის გადაზიდვის კონტროლსა და ხარისხის მონიტორინგს. პრაქტიკული უნარების დასამუშავებლად გამოყენებულია შესაბამისი სასწავლო მასალები, ინვენტარი და ტექნიკური საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

„ლოგისტიკის“ პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე ბეჭდური ფორმით. ელექტრონული მასალები განთავსებულია აკადემიის ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებში, სასწავლო სივრცეების კომპიუტერებში და შესაბამის ციფრულ პლატფორმებზე, რაც ზრდის პროფესიული სტუდენტების დამოუკიდებელი მუშაობის შესაძლებლობას და ამარტივებს სასწავლო რესურსებზე ოპერატიულ წვდომას. საჭიროების შემთხვევაში, სტუდენტებს აქვთ ბეჭდური მასალების გამოყენების შესაძლებლობაც.

აკადემია სასწავლო პროცესში იყენებს შემოსავლების მართის სამსახურის სპეციალიზირებულ პროგრამას NCTS ტვირთების დიპეჩერიზაციის პროგრამას USU, რაც დამატებითი სარგებელი ატუდენტებისათვის და უზრუნველყოფს მათი კომპეტენციის ზრდას.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება

უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ექსპერტთა შეფასებით, აკადემიაში „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და ლოგისტიკის დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ინდიკატორი 2.4.1.3. შესაბამისობაშია და სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.აკადემია მუდმივად აუმჯობესებს სასწავლო პროცესებსა და შიდა რეგულაციებს, რათა უზრუნველყოს საუკეთესო პირობები სწავლის შედეგების ეფექტური მიღწევისთვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწყვლადი ჯგუფების ინტერესების დაცვასა და მხარდაჭერას, რადგან მათ ესაჭიროებათ ადაპტირებული მიდგომები სრულფასოვანი ჩართულობის და პოტენციალის რეალიზაციისთვის.

სტუდენტებთან/კურსდამთავრებულებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მათთვის ცნობილია ინდივიადუალური სასწავლო გეგმის შესახებ. ცალკეულ შემთხვევაში, დასაქმებულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ გაცდენილი მასალის ანაზღაურე ხორციელდება პედაგოგებთან კონსულტაციებით ამასთან ხშირ შემთხვევაში აკადემიის გარემოში.

ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების დროს აკადემია ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს

ინდიკატორი 2.4.1.4. შესაბამისობაშია და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5.პრაქტიკული კომპონენტების განხორციელების მიზნით აკადემიას ექვს პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად ორგანიზებული აქვს ორგანიზებულია C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც მორგებულია ლოგისტიკური საქმიანობის სპეციფიკაზე. პარტნიორ ორგანიზაციას 1 კვირით ადრე მიეწოდება სტუდენტების სია, რაც იძლევა სასწავლო პროცესის დაგეგმვის და შემდგომ უხარვეზო განხორციელების საშუალებას. ორგანიზაციას გამოყოფილი ყავს თანამშრომელი რომელიც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ დარგობრივი უნარების გამომუშავებას უსაფრთხოებისა და შრომის მოთხოვნების დაცვით. პროცესის მართვა უზრუნველყოფილია პრაქტიკის კოორდინატორის მიერ.

დასათვალიერებლად შერჩეული იყო სატვირთო ტერმინალი „გაკო“. რომელიც თბილისში წამოადგენს ერთ-ერთ მსხვილ სატვირთო ტერმინალს, რომელიც უზრუნველყოფს ტვირთების სხვადასხვა მომსახურებას. ორგანიზაციის მატერიალური ბაზა შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და უზრუნველყოფს სტუდენტებისათის შესაბამის კომპეტენციების გამოუშავებას.

ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა დასტურდება გაფორმებული მემორანდუმებით.

ინდიკატორი 2.4.1.5. შესაბამისობაშია და .პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.ლოგისტიკის პროგრამა არ მოითხოვს სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვას დარგობრივ კონტექსტში. თუმცა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების“ სწავლებისთვის განკუთვნილ დარგობრივ ლაბორატორიასა და ყველა სასწავლო გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები ასევე, თვალსაჩინო ადგილასააგანთავსებული ლაბორატორიასა და სასწავლო გარემოში მუშაობის წესები.

დაწესებულებაში ქიმიურ ლაბორატორიაში გამოკრულია უსაფრთხოების წესები. ამასთან, მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და

რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე -ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.
აკადემიამ, ქიმიური ლაბორატორიული მასალების ოპტიმალური ოდენობის შესყიდვის მიზნითა და ნარჩენების წარმოშობის თავიდან აცილებისთვის ხელშეკრულება გააფორმა და ახდენს თითოეული ცდისთვის დაფასოვებული მზა მასალების შესყიდვას, რაც მნიშვნელოვანი და მაღალი მოქალაქებრივი პასუხისმგებლობის ქმედებაა კოლეჯის მხრიდან.
რეალურ სამუშაო გარემოში უსაფრთხოება უზრუნველყოფილია პარტნიორი ორგანიზაციის მიერ, რაც დასტურდება მემორანდუმით.
ექსპერტთა შეფასებით, „ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უსაფრთხო სამუშაო გარემოში.

ინდიკატორი 2.4.1.6. შესაბამისობაშია და .სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო პროცესის მართვის წესი (SBA-REG-018).
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი „ტვირთების გადაზიდვების მართვის კომპიუტერული პროგრამის“ პროგრამული უზრუნველყოფა სასწავლო მიზნებისათვის.
- „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესი” (SBA-REG-064).
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“ (SBA- REG-019).
- გასაუბრების შედეგები
- ხელშეკრულებები პარტნიორ ორგანიზაციებთან

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის

უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„ლოგისტიკის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი”
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	**ინფორმაციის ტექნოლოგია**
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერაში Basic Vocational Qualification in Information Technology Support
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს” რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 02 მარტის №018 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	55
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	70

V. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **ინფორმაციის ტექნოლოგია**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს, მათ შორის საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „ინფორმაციის ტექნოლოგია". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის"პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 2018 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს შრომის ბაზარზე ინფორმაციის ტექნოლოგიების სპეციალისტებზე არსებული მაღალი მოთხოვნა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. აღნიშნული პროფესიული პროგრამა ეფექტურად პასუხობს ტექნოლოგიების მიმართულებით ბაზრის საჭიროებებს, პროგრამის კურსდამთავრებულები კი, მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაციით საქართველოში არსებული პოპულარული სამუშაოს საძიებო ვებგვერდების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით კადრებზე: ტექნოლოგიური განვითარება: მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც, ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და ინერგება ბიზნესის ყველა სფეროში. ეს ქმნის მუდმივ მოთხოვნას კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ამ ტექნოლოგიების გამართვა, განვითარება და დანერგვა. ციფრული

ტრანსფორმაცია: ბევრი კომპანია გადის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს, რაც გულისხმობს ბიზნეს პროცესების გაციფრულებას, ახალი ციფრული პროდუქტებისა და სერვისების შექმნას. ამ პროცესში IT სპეციალისტების როლი გადამწყვეტია.
აუთსორსინგი: საქართველო სულ უფრო მეტად ხდება მიმზიდველი ქვეყანა IT აუთსორსინგისთვის. დასავლური კომპანიები ეძებენ კვალიფიციურ და შედარებით ხელმისაწვდომ IT პროფესიონალებს, რაც ზრდის მოთხოვნას ადგილობრივ ბაზარზე.
სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება: საქართველოში აქტიურად ვითარდება სტარტაპ ეკოსისტემა, რომლის წარმატებისთვისაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური ტექნიკური გუნდების არსებობა.
სახელმწიფო ინიციატივები: სახელმწიფო ასევე ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს IT სექტორის ზრდას და შესაბამისად, მოთხოვნის გაზრდას სპეციალისტებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც მოთხოვნილია ამ სპეციალისტებისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ინფორმაციის ტექნოლოგია" პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით", რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს მოეთხოვება საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი. ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის" მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;

- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ინფორმაციის ტექნოლოგია" პროგრამისთვის განსაზღვრული 30 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია" არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით" განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 02 მარტის №018 ბრძანება.ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს ინფორმაციის ტექნოლოგიის სპეციალისტის საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტს - „ინფორმაციის ტექნოლოგიის მხარდაჭერა; Information Technology Support - 06.3.1. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „ინფორმაციული ტექნოლოგიის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ინფორმაციული ტექნოლოგიის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" მისაღები სტუდენტების რაოდენობას (კვოტის) არის 30.
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია ერთი A გარემო N115 – 30 ადგილით და B, C გარემო N106 (16 ადგილით) და N113 (15 ადგილით ლაბორატორია ინტეგრირებული მოდულებისათვის B გარემო პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 15;
პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.
სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 15 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 15 სამუშაო მაგიდით.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის, სასწავლო გარემოს დატვირთვის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და პროფესიული განათლების მასწავლებლების დატვირთვის გათვალისწინებით, დაწესებულება სრულ შესაბამისობაშია 2.2.1.1. ინდიკატორის მოთხოვნასთან.ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.
დაწესებულებაში ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის"პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება ერთ ცვლაში შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 15 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 9 პროფესიული განათლების მასწავლებელთან; დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 6 პროფესიული განათლების მასწავლებელთან. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ინფორმაციის ტექნოლოგია“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ინფორმაციის ტექნოლოგია”დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988).
პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის” პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის"პროფესიულ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 19 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საიჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის"პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ინფორმაციის ტექნოლოგია";
- ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA" -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში";
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.

დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის”სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ისწრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული პროგრამა ,,ინფორმაციის ტექნოლოგია" ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე იმიტირებულ სასწავლო გარემოში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი"
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი"
- საგანმანათლებლო პროგრამის ,,ინფორმაციის ტექნოლოგიის"სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული

სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიეტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„ინფორმაციის ტექნოლოგიის"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა

განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA"
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	**კომპიუტერული ქსელი და სისტემები**
პროფესიული განათლების დონე	მოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია კომპიუტერულ ქსელსა და სისტემებში; Secondary Vocational Qualification in Computer Network and Systems
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის No037 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	87
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	147
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	117

VI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **კომპიუტერული ქსელი და სისტემები**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს, მათ შორის საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „კომპიუტერული ქსელი და სისტემები". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების" პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 2021 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს შრომის ბაზარზე კომპიუტერული ტექნოლოგიების სპეციალისტებზე არსებული მაღალი მოთხოვნა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში. აღნიშნული პროფესიული პროგრამა ეფექტურად პასუხობს ტექნოლოგიების მიმართულებით ბაზრის საჭიროებებს, პროგრამის კურსდამთავრებულები კი, მაღალი დასაქმების უნარიანობით გამოირჩევიან. თვითშეფასებაში მოცემული ინფორმაციით საქართველოში არსებული პოპულარული სამუშაოს საძიებო ვებგვერდების ანალიზის შედეგად გამოიკვეთა რომ შრომის ბაზარზე არის მოთხოვნა ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით კადრებზე: ტექნოლოგიური განვითარება: მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც, ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და ინერგება ბიზნესის ყველა სფეროში. ეს ქმნის მუდმივ მოთხოვნას კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ამ ტექნოლოგიების გამართვა, განვითარება და დანერგვა. ციფრული

ტრანსფორმაცია: ბევრი კომპანია გადის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს, რაც გულისხმობს ბიზნეს პროცესების გაციფრულებას, ახალი ციფრული პროდუქტებისა და სერვისების შექმნას. ამ პროცესში IT სპეციალისტების როლი გადამწყვეტია.
აუთსორსინგი: საქართველო სულ უფრო მეტად ხდება მიმზიდველი ქვეყანა IT აუთსორსინგისთვის. დასავლური კომპანიები ეძებენ კვალიფიციურ და შედარებით ხელმისაწვდომ IT პროფესიონალებს, რაც ზრდის მოთხოვნას ადგილობრივ ბაზარზე.
სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება: საქართველოში აქტიურად ვითარდება სტარტაპ ეკოსისტემა, რომლის წარმატებისთვისაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური ტექნიკური გუნდების არსებობა.
სახელმწიფო ინიციატივები: სახელმწიფო ასევე ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს IT სექტორის ზრდას და შესაბამისად, მოთხოვნის გაზრდას სპეციალისტებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც მოთხოვნილია ამ სპეციალისტებისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „კომპიუტერული ქსელი და სისტემები” პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით”, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს მოეთხოვება სრული ზოგადი ან საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი იმის მიხედვით თუ ინტეგრირებულ ან არაინტეგრირებულ პროგრამაზე ირიცხება. ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;

- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" პროგრამისთვის განსაზღვრული 180 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით" განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" დირექტორის 2021 წლის 18 თებერვლის No037 ბრძანება.ბრძანება.ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს კომპიუტერული ქსელის და სისტემების სპეციალისტის საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები” განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „კომპიუტერული ქსელის და სისტემების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A,B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობაა (კვოტა) არის. 180
ამ პროგრამის მიზნებისთვის აკადემიის ბაზაზე მოწყობილია:
✓ AC1-2 სასწავლო გარემო - ქიმიურ/ბიოლოგიურ/ტექნოლოგიურილაბორატორია, რომელიც სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით და უზრუნველყოფს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები" სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიის ახალი კამპუსის ამოქმედების შემდეგ, ლაბორატორია გაფართოვდა, რამაც გააფართოვა მისი გამოყენების შესაძლებლობები და გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების ეფექტიანობა.
✓ C სასწავლო გარემო - სპორტული მოედანი, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტის" განხორციელებისათვის.
✓ B/C სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორიები) 30 ადგილით, აკადემიაში არსებობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების და თანაგანმახორციელებელი დაწესებულებისგან უკუკავშირის მიღებას რესურსების გამოყენების და კმაყოფილების თაობაზე.
B გარემო პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა 30;
პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.
სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია 30 პერსონალური კომპიუტერით, 1 პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინითა და მონიტორით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფით, ფლეშ მეხსიერებით, პროფესული განათლების მასწავლებლისა(1) და პროფესიულ სტუდენტთა 30 სამუშაო მაგიდით.

კომპიუტერული ქსელი და სისტემების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაში ცვლილება არგანხორციელებულა.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

დაწესებულებაში ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების"პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 52 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 13 პროფესიული განათლების მასწავლებელთან; დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 11 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო 28 პირი ჰყავთ ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის" მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „კომპიუტერული ქსელი და სისტემები" დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები"დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და

საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988).

პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვაწი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების"პროფესიულ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს ინტეგრირებული პროგრამისთვის 18, ხოლო არაინტეგრირებული პროგრამისთვის კი 17 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საოჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების"პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „კომპიუტერული ქსელი და სისტემები";
- ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების"პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA" -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში";
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.

დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების”სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული პროგრამა ,,კომპიუტერული ქსელი და სისტემები" ხორციელდება კოლეჯის ბაზაზე იმიტირებულ სასწავლო გარემოში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვას დარგობრივ კონტექსტში. თუმცა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების" სწავლებისთვის განკუთვნილ დარგობრივ ლაბორატორიასა და ყველა სასწავლო გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები ასევე, თვალსაჩინო ადგილასააგანთავსებული ლაბორატორიასა და სასწავლო გარემოში მუშაობის წესები.
დაწესებულებაში ქიმიურ ლაბორატორიაში გამოკრულია უსაფრთხოების წესები. ამასთან, მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე -ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.
აკადემიამ, ქიმიური ლაბორატორიული მასალების ოპტიმალური ოდენობის შესყიდვის მიზნითა და ნარჩენების წარმოშობის თავიდან აცილებისთვის ხელშეკრულება გააფორმა და ახდენს თითოეული ცდისთვის დაფასოვებული მზა მასალების შესყიდვას, რაც მნიშვნელოვანი და მაღალი მოქალაქებრივი პასუხისმგებლობის ქმედებაა კოლეჯის მხრიდან.**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი"
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი"
- საგანმანათლებლო პროგრამის ,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების"სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ვერიფიკაცია

ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

,,კომპიუტერული ქსელის და სისტემების"პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის" შესბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით". შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით". ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA".

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი”
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	**ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)**
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია Front-end დეველოპმენტში; Secondary Vocational Qualification in Front-end Development.
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0612
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" რექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის No17132 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	იმიტირებულ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	-
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	88

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	60
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	118
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

VII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს. წარმოდგენილი საბაზო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)" ახალია. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. აღსანიშნავია, რომ აკადემია

ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიმართულებით წლებია წარმატებით ახორციელებს ორ პროგრამას, ამიტომ Front-end მიმართულების დამატება სრულიად ახალ გამოწვევას არ წარმოადგენს და კოლეჯის განმარტებით ეს პროგრამა კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯია IT მიმართულების გასაძლიერებლად.
ციფრული ტრანსფორმაციის ეპოქაში, ვებ-დეველოპმენტი ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად მზარდი და მოთხოვნადი მიმართულებაა. ამ პროგრამის დანერგვა უშუალოდ ემსახურება აკადემიის სტრატეგიულ მიზანს — უზრუნველყოს სტუდენტებისთვის კონკურენტუნარიანი განათლება, რომელიც მათ შრომის ბაზარზე წარმატებით დამკვიდრებასა და უწყვეტ პროფესიულ განვითარებაში დაეხმარება. პროგრამა ხელს შეუწყობს ინოვაციური აზროვნებისა და პრაქტიკული უნარების განვითარებას, რაც კრიტიკულად მნიშვნელოვანია ციფრული ეკონომიკის ზრდისთვის, ასევე ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს მრავალპროფილური სწავლებისა და საქმიანობისთვის. ყოველივე ეს კი მათი განმარტებით ეფუძნება შემდეგს: ტექნოლოგიური განვითარება: მსოფლიოს მასშტაბით და მათ შორის საქართველოშიც, ტექნოლოგიები სწრაფად ვითარდება და ინერგება ბიზნესის ყველა სფეროში. ეს ქმნის მუდმივ მოთხოვნას კვალიფიციურ IT სპეციალისტებზე, რომლებსაც შეუძლიათ ამ ტექნოლოგიების გამართვა, განვითარება და დანერგვა. ციფრული ტრანსფორმაცია: ბევრი კომპანია გადის ციფრული ტრანსფორმაციის პროცესს, რაც გულისხმობს ბიზნეს პროცესების გაციფრულებას, ახალი ციფრული პროდუქტებისა და სერვისების შექმნას. ამ პროცესში IT სპეციალისტების როლი გადამწყვეტია. აუთსორსინგი: საქართველო სულ უფრო მეტად ხდება მიმზიდველი ქვეყანა IT აუთსორსინგისთვის. დასავლური კომპანიები ეძებენ კვალიფიციურ და შედარებით ხელმისაწვდომ IT პროფესიონალებს, რაც ზრდის მოთხოვნას ადგილობრივ ბაზარზე. სტარტაპ ეკოსისტემის განვითარება: საქართველოში აქტიურად ვითარდება სტარტაპ ეკოსისტემა, რომლის წარმატებისთვისაც აუცილებელია მაღალკვალიფიციური ტექნიკური გუნდების არსებობა. სახელმწიფო ინიციატივები: სახელმწიფო ასევე ახორციელებს სხვადასხვა ინიციატივას ციფრული ეკონომიკის განვითარების მიმართულებით, რაც ხელს უწყობს IT სექტორის ზრდას და შესაბამისად, მოთხოვნის გაზრდას სპეციალისტებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც მოთხოვნილია ამ სპეციალისტებისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)” პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით”, რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს მოეთხოვება სრული ზოგადი ან საბაზო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი იმის მიხედვით თუ ინტეგრირებულ ან არაინტეგრირებულ პროგრამაზე ირიცხება. ექსპერტთა შეფასებით, წარმოდგენილ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)” პროგრამისთვის განსაზღვრული 90 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)” არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით“ განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBAრექტორის 2025 წლის 15 სექტემბრის No17132 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი) სპეციალისტის საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის „Front-end დეველოპმენტი“ (სარეგისტრაციო ნომერი 06.1.1). პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)” განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;

3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;

7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A,B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ,,ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)"სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაში (კვოტაში) ცვლილება განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კერძოდ, პროგრამის თვითშეფასების შედეგების ანალიზით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის (კვოტის) 90-ით განსაზღვრის თაობაზე.

პროგრამა ხორციელდება იმიტირებულ სამუშაო გარემოში, აკადემიის ბაზაზე. პროგრამის განსახორციელებლად გამოყოფილია და შესაბამისი ტექნიკით (კომპიუტერები, პროექტორები, დაფები) აღჭურვილია:

• A გარემო (თეორიული): აუდიტორიები №101, №102, №103 (B კორპუსი).

• B გარემო (პრაქტიკული): კომპიუტერული ლაბორატორიები №118 (A კორპუსი) და №206 (B კორპუსი), სადაც განთავსებულია 45 სტუდენტის კომპიუტერი პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისი პარამეტრებით.

✓ AC1-2 სასწავლო გარემო - ქიმიურ/ბიოლოგიურ/ტექნოლოგიურილაბორატორია, რომელიც სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე ინვენტარით და უზრუნველყოფს ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „მეცნიერება და ტექნოლოგიები" სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიის ახალი კამპუსის ამოქმედების შემდეგ, ლაბორატორია გაფართოვდა, რამაც გააფართოვა მისი გამოყენების შესაძლებლობები და გაზარდა პროფესიულ სტუდენტთა მომსახურების ეფექტიანობა.

✓ C სასწავლო გარემო - სპორტული მოედანი, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის „სპორტის" განხორციელებისათვის.

✓ B/C სასწავლო გარემო (კომპიუტერული ლაბორატორიები) 30 ადგილით, აკადემიაში არსებობს ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების და თანაგანმახორციელებელი დაწესებულებისგან უკუკავშირის მიღებას რესურსების გამოყენების და კმაყოფილების თაობაზე.

პროგრამით გათვალისწინებული მოდულების განხორციელება სასწავლო გეგმის შესაბამისად ისეა დაგეგმილი, რომ კვირეული დატვირთვა როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით, არ სცდება 40 საათს.

სასწავლო გარემო პროფესიული სტუდენტებისთვის აღჭურვილია პერსონალური კომპიუტერებით სტუდენტებისთვის, პერსონალური კომპიუტერით პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, კომბაინებითა და მონიტორებით, სტანდარტული უწყვეტი კვების წყაროთი, სმარტ დაფებით, პროფესული განათლების მასწავლებლისა და პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო მაგიდებით.

პროგრამის განმახორციელებლებთან ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

დაწესებულებაში ,,ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)"პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)" დაწესებულებას განსაზღვრული ჰყავს 27 პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 6 პროფესიული განათლების მასწავლებელთან; დარგობრივი მოდულების განხორციელების მიზნით - 5 პროფესიული განათლების მასწავლებელთან, ხოლო ინტეგრირებული მოდულების განხორციელების მიზნით - 16. თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის" მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს.

პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი
დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ,,ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)”დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988).
პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.
აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.
ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტროწული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვაწი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული ,,ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)”პროფესიულ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 17 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საოჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. ,,ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)”პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)“;
- ,,ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)”პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;

2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.
დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.
დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი";

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)"სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი ინება და განთავსდება თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა განხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი განხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც გამოიკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს შეუწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე, დაწესებულებას აქვს მოქნილი რეაგირების მექანიზმები წარმოქმნილ საჭიროებებზე: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება განხორციელდება თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას მისცემს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების მზაობით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს სასწავლო მიზნებისათვის სენსორული დაფა, თანამედროვე მოწყობილობები, აპარატურა და ინვენტარი, რითაც დასტურდება რომ პროგრამის განხორციელება მოხდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რითიც დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას აქვს გამოცდილება ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავებისა და სასწავლო პროცესის განხორციელების.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. პროფესიული პროგრამა ,,ვებტექნოლოგიები (Front-end დეველოპმენტი)" განხორციელდება კოლეჯის ბაზაზე იმიტირებულ სასწავლო გარემოში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არ მოითხოვს სპეციფიკური შრომის უსაფრთხოების პირობების დაცვას დარგობრივ კონტექსტში. თუმცა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულის, „მეცნიერება და ტექნოლოგიების" სწავლებისთვის განკუთვნილ დარგობრივ ლაბორატორიასა და ყველა სასწავლო გარემოში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები ასევე, თვალსაჩინო ადგილასააგანთავსებული ლაბორატორიასა და სასწავლო გარემოში მუშაობის წესები.
დაწესებულებაში ქიმიურ ლაბორატორიაში გამოკრულია უსაფრთხოების წესები. ამასთან, მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება ხორციელდება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი -მიწოდებიდან უტილიზაციამდე -ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.
აკადემიამ, ქიმიური ლაბორატორიული მასალების ოპტიმალური ოდენობის შესყიდვის მიზნითა და ნარჩენების წარმოშობის თავიდან აცილებისთვის ხელშეკრულება გააფორმა და ახდენს თითოეული ცდისთვის დაფასოვებული მზა მასალების შესყიდვას, რაც მნიშვნელოვანი და მაღალი მოქალაქებრივი პასუხისმგებლობის ქმედებაა კოლეჯის მხრიდან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი"
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი"
- საგანმანათლებლო პროგრამის ,,ვებტექნოლოგიების (Front-end დეველოპმენტი)"სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწეებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლოანობა, ობიეტურობა. ვერიფიკაცია

ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA"
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	**საბაჟო საქმე**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში Higher Vocational Qualification in Customs Study
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 02 მარტის №018 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	90
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით *(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99.5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129.5

VIII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **საბაჟო საქმე**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „საბაჟო საქმე". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. „საბაჟო საქმეს" პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 20218 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს არაერთი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია, რომ შუა კორიდორის განვითარებასთან მიმართებაში და ქვეყნის ეკონომიკური, სავაჭრო, ტურისტული და სატრანზიტო პარამეტრებიდან გამომდინარე გაზრდილია მოთხოვნა კვალიფიციურ მებაჟეებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო საქმის ეფექტიანად წარმართვისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები

დასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, „საბაჟო საქმეს" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით", რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საბაჟო საქმე", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, „საბაჟო საქმე" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის" მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „საბაჟო საქმე" პროგრამისთვის განსაზღვრული 90 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. უმაღლესი კვალიფიკაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ მოიცავს ორ არჩევით მოდულს: „ სერვის პლუსი“ სარეგისტრაციო ნომერი 0411711 და უცხო ენა (რუსული ენა) სარეგისტრაციო ნომერი 0230102 . პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, არჩევითი მოდულები მჭიდროდ არის დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის სამომავლო საქმიანობასთან. მოდული“სერვის პლუსი" უნვითარებს სტუდენტს კორპორაციული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის უნარს , კლიენტის/მომხმარებლის ხარისხიანი მომსახურების მიზნით, რომელიც მნიშვნელოვანი საკითხია მომსახურების სფეროში და სტუდენტის პროფესიულ უნარებს მნიშვნელოვნად ზრდის. მოდული უცხო ენა (რუსული ენა) სტუდენტს უნვითარებს ზეპირი კომუნიკაციის უნარს რუსულ ენაზე ყოველდღიურ ყოფით საკითხებზე (A2/B1), მოდულის გავლის შემდეგ სტუდენტს შეეძლება რუსული ენის პრაქტიკული გამოყენება პროფესიასთან დაკავშირებულ საკითხებზე .
არჩევითი მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პასუხობს პროგრამის შინაარსს, თანამედროვე მომსახურევის სფეროს მოთხოვნებს მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან და ოპერაციული პროცესების ორგანიზებასთან.
წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ არჩევითი მოდულების „სერვის პლუსი“ დაუცხო ენა(რუსული ენა) განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი პროცედურების დაცვით. მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია და მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; მოდულების შინაარსი და მასან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით“ განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს” დირექტორის 02.03.2018 N018 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს საბაჟო სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- გაცნობითი პრაქტიკა-საბაჟო საქმე;
- ჰარმოიზებული სისტემა (ნომენკლატურა);
- ფიზიკური პირის კონტროლი;
- სატრანსპორტო საშუალების კონტროლი;
- საქონლის წარმოშობის ქვეყნის და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;
- საბაჟო პროცედურები/რეექსპორტი და იმპორტის გადასახდელი;
- საბაჟო დეკლარირება;
- საბაჟო გაფორმება;
- სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
- არასატარიფო ღონისძიებები;
- საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება;
- საწარმოო პრაქტიკა-საბაჟო საქმე
- Ms Exel;
- დარგობრივი უცხო ენა-საბაჟო საქმე.

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
- გააკონტროლოს ფიზიკური პირი და სატრანსპორტო საშუალება;
- განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს საბაჟო პროცედურა;
- განახორციელოს საბაჟო დეკლარირების და გაფორმების პროცედურები;
- განახორციელოს სასაზღვრო-საკარანტინო და არასატარიფო ღონისძიებები;განახორიელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს მომსახურების სახელმეიფო და კერძო სექტორში საბაჟო საკითხებთან დაკავშირებულ დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „საბაჟო საქმის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „საბაჟო საქმეს" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაში (კვოტაში) ცვლილება განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კერძოდ, პროგრამის თვითშეფასების შედეგების ანალიზით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის (კვოტის) 60-დან 90-მდე გაზრდის თაობაზე.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია (A სასწავლო გარემო): არსებული აუდიტორია (№208 - 30 ადგილი; №202 - 34 ადგილი) გამტარუნარიანობა საკმარისია დატვირთვის გაზრდისთვის.

B სასწავლო გარემო: აკადემიის B ტიპის სასწავლო გარემოების (№113 - 15 ადგილი; №106 - 16 ადგილი; №206 - 20 ადგილი) გამოყენება შესაძლებელია გაზრდილი კონტიგენტისთვის.

საბაჟო საქმის პროგრამის მიზნებისთვის გამოიყენება C სასწავლო გარემო (ღია სივრცე აკადემიის A კორპუსის ეზოში).

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო რაოდენობის ინვენტარითა და აღჭურვილობით, კერძოდ:

A გარემო-1 (№208) – 30 ადგილი
A გარემო- 1 (№202) – 34 ადგილი
B გარემო-1 (№113) – 15 ადგილი
B გარემო-1 (№106) – 16 ადგილი
B გარემო-1 (№206) – 12 ადგილი
C გარემო - აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ B გარემოს პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

დაწესებულებაში „საბაჟო საქმეს" პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია მოთხოვნილი კვოტის ოდენობით 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება ერთ ცვლაში შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან:

- *შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD", მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N17 15*
- *შპს ,,გაკო ტერმინალი", მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება 40*
- *შემოსავლების სამსახური“ მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16 40*
- *შპს “სან ლოჯიტიკ”, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40 20*
- *შპს ”სარ გრუპ”, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40*
- *შპს „ნიუ ტერმინალი“ მისამართი: თბილისი, ვაზიანი, გაფორმების ეკონომიკური ზონის (თბილისი გეზის) მიმდებარედ*

ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებული პროფ. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს:

- *შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD" - 15 სტუდენტი*
- *შპს ,,გაკო ტერმინალი" - 40 სტუდენტი*
- *შემოსავლების სამსახური“ - 30 სტუდენტი*
- *შპს “სან ლოჯიტიკ” - 20 სტუდენტი*
- *შპს ”სარ გრუპ” - 20 სტუდენტი*
- *შპს ნიუ ტერმინალი - 80 სტუდენტი*

ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. აკადემიაში „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას ჰყავს 23 პროფესიული განათლების მასწავლებელი : მათ შორის 13 ზოგადი მოდულების მასწავლებელი და 10 დარგობრივი მოდულების მასწავლებელი. თითოეულ მოდულზე აკადემიას ყავს რამოდენიმე განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. რესურსების ასეთი განაწილება ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და უწყვეტ განხორციელებას.

პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება საკმარისია, და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“ დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988).

პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია

მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტროწული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვაწი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (დანართი 20) რენტაბელობის ზღვარი შეადგენდა 16 სტუდენტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი, რის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 17 პროფესიული სტუდენტი (დანართი 31).

პროგრამის შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საიჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში;

გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. „საბაჟო საქმეს“ პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“;
- „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.

დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ მორგებაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმეს“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას

პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3.ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

პსდ ბიზნეს აკადემია- SBA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე" სწავლების პროცესში უზრუნველყოფს, რომ ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და საბაჟო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

ბიზნეს აკადემიაში ყველა სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, რაც პროფესიულ მასწავლებლებს სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების გამოყენების საშუალებას აძლევს. აკადემიის ბაზაზე ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია/ვორქშოპები, რომლებზეც ხდება საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, როგორც დარგის, ასევე, სწავლა-სწავლების მიმართულებით. „საბაჟო საქმის" პროგრამის ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს როგორც შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ასევე კერძო სექტორთან , ორგანიზაციებთან რომლებიც ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, სადაც სტუდენტები ეუფლებიან პროფესიის პრაქტიკულ უნარებს და ეცნობიან დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

პსდ უზრუნველყოფს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ტრადიციულ სასწავლო მეთოდებთან და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ პროგრამის"საბაჟო საქმე" „საბაჟო დეკლარირების" მოდულის შედეგების მისაღწევად გამოიყენება მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემა eCustoms, მოდულების: „ფიზიკური პირის კონტროლის" და ავტოსატრანსპორტო სასუალების კონტროლის" შედეგების მისაღწევად იმიტირებულ გარემოში გამოიყენება თანამედროვე საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი-ბოროსკოპი (ენდოსკოპი), ორმხრივი 180°-ით მბრუნავი ტექნიკური დათვალიერების კამერა; სარკე სატრანსპორტო საშუალებების ქვეშ დასათვალიერებლად (ტელესკოპური, LED განათებით), რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ინოვაციური მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია და სხვა. ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საბაჟო საქმის პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც საბაჟო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის დიგიტალიზებული სახელმძღვანელოს შექმნას ითვალისწინებს (დანართი 27). პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები პროგრამის განხორციელების პროცესში ახდენენ იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოს შექმნას , როგორიცაა ფიზიკური პირის კონტროლი, ავტოსატრანსპორტო სასუალების კონდტროლი, დოკუმენტაციის დამუშავება, საბაჟო დეკლარაციის შედგენა და სხვა. აღნიშნული მოდგომა ანვითარებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება

უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

აკადემიაში „საბაჟო საქმის " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სპეციალობის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასწავლო დაწესებულება, პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევისას ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის" შესაბამისად. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის „საბაჟო საქმეს" საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციასთან.

- *შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD", მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N17*
- *შპს ,,გაკო ტერმინალი", მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება*
- *შემოსავლების სამსახური" მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16*
- *შპს "სან ლოჯიტიკ", მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40*
- *შპს "სარ გრუპ", მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40*
- *შპს „ნიუ ტერმინალი" მისამართი: თბილისი, ვაზიანი, გაფორმების ეკონომიკური ზონის (თბილისი გეზის) მიმდებარედ*

ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენს, „საბაჟო საქმეს" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლების წარმართვა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების ხელშეწყობა. ხელშეკრულებების ხანგძლივობა შეადგენს 6 წელს და თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს მოდულ(ებ)ის სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეები თანხმდებიან, რომ თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში მიღწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სწავლის შედეგები;

თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგებიც, რომელთა ჩამონათვალი საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება წერილობით, თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში სწავლების დაწყების წინ, კონკრეტული ჯგუფისათვის. ასევე, ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იგზავნება წერილი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები და პროფესიულ სტუდენტთა სია.

ექსპერტთა ჯგუფი **იმყოფებოდა შპს „გაკო ტერმინალში",** პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობა არ გამოვლენილა. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი"
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი"
- საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმეს" სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

5. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
6. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
7. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

8. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწეებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიეტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„საბაჟო საქმეს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ

მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი”
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	**საბაჟო საქმე/Customs Study**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საბაჟო საქმეში Higher Vocational Qualification in Customs Study
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	1032
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს" რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 30 მარტის №030 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ინგლისური
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	პს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA" საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	80
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94,5
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	94.5

IX. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა საბაჟო საქმე/Customs Study	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA” წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ ინგლისურენოვან საგანმანათლებლო პროგრამას - „საბაჟო საქმე“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით“.

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. „საბაჟო საქმეს“ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 20218 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს არაერთი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია, რომ შუა კორიდორის განვითარებასთან მიმართებაში და ქვეყნის ეკონომიკური, სავაჭრო, ტურისტული და სატრანზიტო პარამეტრებიდან გამომდინარე გაზრდილია მოთხოვნა კვალიფიციურ მებაჟეებზე.
წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია საბაჟო საქმის (ინგლისურენოვანი) ეფექტიანად წარმართვისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და

დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, „საბაჟო საქმეს" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 18 მარტის N295391 წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA - მ განახორციელოს (წარადგინოს საავტორიზაციო განაცხადი) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა - „საბაჟო საქმე" - ინგლისურ ენაზე, კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. ბიზნეს აკადემიაში ინგლისურენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" დაშვების წინაპირობები და პროცედურები დარეგულირებულია აკადემიის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით და სრულ შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. ამასთან, პროგრამაზე ჩარიცხვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს პროგრამის განხორციელების ენის, ინგლისურის, შესაბამის დონეზე ფლობა. საბაჟო საქმის (ინგლისურენოვანი)პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები დადგენილია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით. პროფესიულ სტუდენტთა პროგრამაზე ჩარიცხვის წესი და პროცედურები რეგულირდება შიდა მარეგულირებელი აქტით — „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით" (SBA-REG-064) (დანართი 4), რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" ჩარიცხვის პროცესი ხორციელდება წინასწარ განსაზღვრული და გამჭვირვალე წესის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს პროგრამაზე იმ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე განათლება, ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება საკმარისია პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისთვის დადგენილ ვადაში. ჩარიცხვის პროცედურა, რომელიც პროფესიული ტესტირების გზით ხორციელდება,აღნიშნული პროცესი რეგულირდება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის წესით და ინტეგრირებულია დაწესებულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში. დაშვების წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით და ასახულია პროგრამის დოკუმენტში (დაშვების წინაპირობა-სრული ზოგადი განათლება) პროფესიული სტუდენტის ჩარიცხვის ეტაპზე მოწმდება კანდიდატის შესაბამისობა პროგრამის მოთხოვნებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში მისი ეფექტური ჩართულობისა და შედეგებზე გასვლის შესაძლებლობას.

სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „საბაჟო საქმე", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას.

საჭიროების შემთხვევაში, ბიზნეს აკადემია იყენებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მექანიზმს, რაც დამატებით უზრუნველყოფს სხვადასხვა საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტების სწავლის პროცესში ჩართულობას და შედეგების მიღწევას პროგრამის განხორციელების ვადაში. აღნიშნული მიდგომა ადასტურებს, რომ პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები არა მხოლოდ ფორმალურად არის დადგენილი, არამედ პრაქტიკაში რეალურად გამოიყენება იმგვარად, რომ პროგრამაზე დაშვებული პირები ფლობენ იმ აუცილებელ საფუძვლებს, რომლებიც მათ საშუალებას აძლევს წარმატებით დაეუფლონ „საბაჟო საქმის" პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს.

ინგლისურენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის“ მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „საბაჟო საქმე” პროგრამისთვის განსაზღვრული 80 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. უმაღლესი კვალიფიკაციის ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“ მოიცავს ერთ არჩევით მოდულს: „ სერვის პლუსი“ სარეგისტრაციო ნომერი 0411711 . პროგრამის მიზნებიდან გამომდინარე, არჩევითი მოდული მჭიდროდ არის დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის სამომავლო საქმიანობასთან. მოდული“სერვის პლუსი" უნვითარებს სტუდენტს კორპორაციული და კეთილგანწყობილი გარემოს შექმნის უნარს , კლიენტის/მომხმარებლის ხარისხიანი მომსახურების მიზნით, რომელიც მნიშვნელოვანი საკითხია მომსახურების სფეროში და სტუდენტის პროფესიულ უნარებს მნიშვნელოვნად ზრდის.
არჩევითი მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, პასუხობს პროგრამის შინაარსს, თანამედროვე მომსახურევის სფეროს მოთხოვნებს მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სერვისის ხარისხის მართვასთან, მომხმარებელთან ეფექტურ კომუნიკაციასთან და ოპერაციული პროცესების ორგანიზებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ ინგლისურენოვანი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ არჩევითი მოდულის „სერვის პლუსი“ განხორციელების გადაწყვეტილება მიღებულია აკადემიის შიდა პოლიტიკის, ხარისხის უზრუნველყოფის წესებისა და შესაბამისი პროცედურების დაცვით. მოდული ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; მოდულის შინაარსი და მასან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია და მოდულები ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან; მოდულების შინაარსი და მასან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით“ განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს” დირექტორის 02.03.2018 N018 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს საბაჟო სფეროში საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს – ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს.

პროგრამა მოიცავს შემდეგ მოდულებს:

- გაცნობითი პრაქტიკა-საბაჟო საქმე;
- ჰარმოიზებული სისტემა (ნომენკლატურა);
- ფიზიკური პირის კონტროლი;
- სატრანსპორტო საშუალების კონტროლი;
- საქონლის წარმოშობის ქვეყნის და საბაჟო ღირებულების განსაზღვრა;
- საბაჟო პროცედურები/რეექსპორტი და იმპორტის გადასახდელი;
- საბაჟო დეკლარირება;
- საბაჟო გაფორმება;
- სასაზღვრო-საკარანტინო კონტროლი;
- არასატარიფო ღონისძიებები;
- საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება;
- საწარმოო პრაქტიკა-საბაჟო საქმე

- Ms Exel;
- დარგობრივი უცხო ენა-საბაჟო საქმე.

აღნიშნული მოდულები უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული შემდეგი სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ, პროფესიულ სტუდენტს შეუძლია:

- განახორციელოს საბაჟო ზედამხედველობა;
- გააკონტროლოს ფიზიკური პირი და სატრანსპორტო საშუალება;
- განსაზღვროს საქონლის წარმოშობის ქვეყანა და საბაჟო ღირებულება;
- განსაზღვროს საბაჟო პროცედურა;
- განახორციელოს საბაჟო დეკლარირების და გაფორმების პროცედურები;
- განახორციელოს სასაზღვრო-საკარანტინო და არასატარიფო ღონისძიებები;განახორიელოს საბაჟო სამართალდარღვევის საქმისწარმოება.

მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს მომსახურების სახელმეიფო და კერძო სექტორში საბაჟო საკითხებთან დაკავშირებულ დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს. პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“;
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს 2025 წლის 18 მარტის N295391თანხმობის წერილი;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „საბაჟო საქმის“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

- ☒ **შეესაბამება**
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „საბაჟო საქმეს" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.
ინგლისურენოვან პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „საბაჟო საქმე" სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაში (კვოტაში) ცვლილება არ განხორციელებულა .
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია (A სასწავლო გარემო): არსებული აუდიტორია (№208 - 30 ადგილი; №202 - 34 ადგილი) გამტარუნარიანობა საკმარისია დატვირთვის გაზრდისთვის.

B სასწავლო გარემო: აკადემიის B ტიპის სასწავლო გარემოების (№113 - 15 ადგილი; №106 - 16 ადგილი; №206 - 20 ადგილი) გამოყენება შესაძლებელია გაზრდილი კონტიგენტისთვის.
საბაჟო საქმის პროგრამის მიზნებისთვის გამოიყენება C სასწავლო გარემო (ღია სივრცე აკადემიის A კორპუსის ეზოში).
ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სათანადო რაოდენობის ინვენტარითა და აღჭურვილობით, კერძოდ:
A გარემო-1 (№208) – 30 ადგილი
A გარემო- 1 (№202) – 34 ადგილი
B გარემო-1 (№113) – 15 ადგილი
B გარემო-1 (№106) – 16 ადგილი
B გარემო-1 (№206) – 20 ადგილი
C გარემო - აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ B გარემოს პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.
დაწესებულებაში „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია მოთხოვნილი კვოტის ოდენობით 2 ცვლაში. ერთდროულად სწავლება ერთ ცვლაში შეიძლება განხორციელდეს არაუმეტეს 4 ჯგუფში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ კომპანიებთან:
შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD", მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N17 15
შპს ,,გაკო ტერმინალი", მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება 40
შემოსავლების სამსახური“ მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16 40
შპს “სან ლოჯიტიკ”, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40 20
შპს ”სარ გრუპ”, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40
შპს „ნიუ ტერმინალი“ მისამართი: თბილისი, ვაზიანი, გაფორმების ეკონომიკური ზონის (თბილისი გეზის) მიმდებარედ
ხელშეკრულებით/მემორანდუმით გათვალისწინებული პროფ. სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს:

შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD"	- 15 სტუდენტი
შპს ,,გაკო ტერმინალი"	- 40 სტუდენტი
შემოსავლების სამსახური“	- 30 სტუდენტი
შპს “სან ლოჯიტიკ”	- 20 სტუდენტი
შპს ”სარ გრუპ”	- 20 სტუდენტი
შპს ნიუ ტერმინალი	- 80 სტუდენტი

ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. აკადემიაში „საბაჟო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად კოლეჯს ჰყავს 14 პროფესიული განათლების მასწავლებელი, მათ შორის დარგობრივ მოდულებზე დაკავებულია 5 პროფესიული განათლების მასწავლებელი, თითოეულ მოდულზე აკადემიას ყავს რამოდენიმე განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. რესურსების ასეთი განაწილება ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და უწყვეტ განხორციელებას.

პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება საკმარისია, და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „საბაჟო საქმე“ დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. ვიზიტის ფარგლებში დადგინდა, რომ ინგლისურენოვანი პროგრამის მოდულებით განსაზღვრული სასწავლო რესურსები ხელმისაწვდომია როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული ფორმით.

აკადემიაში სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ- ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“ (SBA-REG-066).

აკადემიის ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია მოდულების მიხედვით შერჩეული ბეჭდური სასწავლო მასალა, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესების დაცვით და თავისუფლად ხელმისაწვდომია როგორც პროფესიული სტუდენტებისთვის, ისე პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლებისთვის.

ელექტრონული სასწავლო რესურსები განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონულ კატალოგში. შესაძლებელია სასწავლო მასალების გადმოწერა და ბეჭდვა. პროფესიულ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა საჭირო მასალები მიიღონ ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან შესაბამისი ამონარიდები ბეჭდური სახით.

აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საქართველოს საკანონმდებლო მაცნესთან, რაც უზრუნველყოფს „საბაჟო სქმის“ პროგრამის მოდულებით გათვალისწინებული ნორმატიული აქტებისა და რეგულაციების განახლებულ ვერსიებზე მუდმივ წვდომას. აღნიშნული განსაკუთრებით სფეროს შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოს შესასწავლად.

აკადემიაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login) ის წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ

„საბაჟო საქმის“ინგლისურენოვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის განსაზღვრული სასწავლო და მატერიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების

ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).
დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საპროგნოზო ბიუჯეტი (დაბართი 19), მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 17 პროფესიულ სტუდენტს. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საიჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. „საბაჟო საქმეს“ პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საბაჟო საქმე“;
- „საბაჟო საქმეს“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;

- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.
დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმეს“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3.ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.
პსდ ბიზნეს აკადემია- SBA პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმე" სწავლების პროცესში უზრუნველყოფს, რომ ინტეგრირებული იყოს სწავლების თანამედროვე, სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომები და საბაჟო დარგისთვის შესაბამისი ტექნოლოგიები. აკადემიაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

ქმნის შესაძლებლობას, რომ სწავლება განხორციელდეს რეალურ სამუშაო პირობებთან მაქსიმალურად მიახლოებულ გარემოში, რაც ხელს უწყობს პროფესიული კომპეტენციების პრაქტიკულ განვითარებას.

ბიზნეს აკადემიაში ყველა სასწავლო აუდიტორია აღჭურვილია თანამედროვე ინვენტარით, რაც პროფესიულ მასწავლებლებს სწავლების პროცესში ინოვაციური მიდგომების გამოყენების საშუალებას აძლევს. აკადემიის ბაზაზე ყოველწლიურად ტარდება კონფერენცია/ვორქშოპები, რომლებზეც ხდება საუკეთესო პრაქტიკების გაზიარება, როგორც დარგის, ასევე, სწავლა-სწავლების მიმართულებით. „საბაჟო საქმის“ პროგრამის ფარგლებში დაწესებულება თანამშრომლობს როგორც შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტთან ასევე კერძო სექტორთან , ორგანიზაციებთან რომლებიც ჩართულია საერთაშორისო ვაჭრობაში, სადაც სტუდენტები ეუფლებიან პროფესიის პრაქტიკულ უნარებს და ეცნობიან დარგის თანამედროვე ტენდენციებს.

პსდ უზრუნველყოფს ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრაციას ტრადიციულ სასწავლო მეთოდებთან და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. კერძოდ პროგრამის“საბაჟო საქმე“ „საბაჟო დეკლარირების“ მოდულის შედეგების მისაღწევად გამოიყენება მონაცემთა ავტომატიზირებული სისტემა eCustoms, მოდულების: „ფიზიკური პირის კონტროლის“ და ავტოსატრანსპორტო სასუალების კონტროლის“ შედეგების მისაღწევად იმიტირებულ გარემოში გამოიყენება თანამედროვე საბაჟო კონტროლის განხორციელებისათვის საჭირო ინვენტარი-ბოროსკოპი (ენდოსკოპი), ორმხრივი 180°-ით მბრუნავი ტექნიკური დათვალიერების კამერა; სარკე სატრანსპორტო საშუალებების ქვეშ დასათვალიერებლად (ტელესკოპური, LED განათებით), რაც უზრუნველყოფს სტუდენტების ეტაპობრივ მომზადებას რეალური სამუშაო გარემოსთვის.

პროფესიული განათლების მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამის ფარგლებში აქტიურად გამოიყენება სწავლების ინოვაციური მეთოდები, როგორიცაა პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქეის-სტადიები, სიტუაციური ანალიზი, პროფესიული როლების იმიტაცია, დემონსტრაციებისა და პრაქტიკული დავალებების კომბინაცია და სხვა. ზემოაღნიშნულის ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითია საბაჟო საქმის (ინგლისურენოვანი)პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც საბაჟო საქმის (ინგლისურენოვანი)პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებისთვის დიგიტალიზებული სახელმძღვანელოს შექმნას ითვალისწინებს (დანართი 27).

პროგრამის განმახორციელებელი მასწავლებლები პროგრამის განხორციელების პროცესში ახდენენ იმიტირებული და სიმულაციური სასწავლო გარემოს შექმნას , როგორიცაა ფიზიკური პირის კონტროლი, ავტოსატრანსპორტო სასუალების კონდტროლი, დოკუმენტაციის დამუშავება, საბაჟო დეკლარაციის შედგენა და სხვა. აღნიშნული მოდგომა ანვითარებს სტუდენტის პრაქტიკულ უნარებს.

ავტორიზაციის ვიზიტის ფარგლებში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამაში გამოყენებული სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და პროფესიული სტუდენტების პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. სწავლების პროცესში ტექნოლოგიების გამოყენება უზრუნველყოფს სასწავლო გარემოს მოდერნიზაციას, ხოლო აქტიური სწავლების ფორმები ზრდის სტუდენტთა ჩართულობას და პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას.

აკადემიაში „საბაჟო საქმის (ინგლისურენოვანი)“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სპეციალობის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ

წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასწავლო დაწესებულება, პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევისას ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის „საბაჟო საქმეს“ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციასთან.

- შპს ,,GREENWAY LOGISTIC LTD", მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N17
- შპს ,,გაკო ტერმინალი", მისამართი: ქ. თბილისი, აეროპორტის დასახლება
- შემოსავლების სამსახური“ მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. N16
- შპს “სან ლოჯიტიკ”, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40
- შპს ”სარ გრუპ”, მისამართი: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას N40
- შპს „ნიუ ტერმინალი“ მისამართი: თბილისი, ვაზიანი, გაფორმების ეკონომიკური ზონის (თბილისი გეზის) მიმდებარედ

ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენს, „საბაჟო საქმეს“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლების წარმართვა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების ხელშეწყობა. ხელშეკრულებების ხანგძლივობა შეადგენს 6 წელს და თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს მოდულ(ებ)ის სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეები თანხმდებიან, რომ თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში მიღწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სწავლის შედეგები; თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგებიც, რომელთა ჩამონათვალი საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება წერილობით, თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში სწავლების დაწყების წინ, კონკრეტული ჯგუფისათვის. ასევე, ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იგზავნება წერილი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები და პროფესიულ სტუდენტთა სია.

ექსპერტთა ჯგუფი **იმყოფებოდა შპს ,,გაკო ტერმინალში",** პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობა არ გამოვლენილა. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ასევე, C სასწავლო გარემოში (უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია) თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული მუშაობის წესები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამის „საბაჟო საქმეს“ სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის

განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწესებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„საბაჟო საქმეს" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.
პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.
დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA"
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	**სკოლამდელი განათლება**
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში; HigherVocational Qualification in Preschool Education
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0112
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA“-ს რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 02 მარტის No018 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA” საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	180
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	116
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	146

X. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **სკოლემდელი განათლება**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საგანმათლებლო პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „სკოლემდელი განათლება". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება, რაც ადასტურებს, რომ წარმოდგენილი პროგრამა შეესაბამება მის პროფილსა და მისიას. „სკოლემდელი განათლებას" პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 20218 წლიდან და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. პროგრამის განხორციელების საჭიროებას განაპირობებს არაერთი ფაქტორი, რომელთაგან მნიშვნელოვანია, გაზრდილი მოთხოვნა კვალიფიციურ სკოლამდელი განათლების სპეციალისტებზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სკოლემდელი განათლების ეფექტიანად წარმართვისთვის. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა

პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, „სკოლემდელი განათლებას" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლემდელი განათლება" პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით", რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლემდელი განათლება", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, „სკოლემდელი განათლება" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის" მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „სკოლემდელი განათლება" პროგრამისთვის განსაზღვრული 180 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A და B ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. სკოლამდელი განათლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არჩევით მოდულებს არ ითვალისწინებს.**ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით“ განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს“ რექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2018 წლის 02 მარტის No018 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს სკოლემდელი განათლების საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს.
გაცნობითი პრაქტიკა - სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება;
შესავალი ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში;
პროფესიული ეთიკა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში;
ბავშვის განვითარების თავისებურებები;
ადრეული განათლების კურიკულუმები;
დაკვირვება და შეფასება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში;
დამოუკიდებლობა და ადაპტური ქცევა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
ოჯახის და თემის ჩართულობა სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში;
ჯანმრთელობა და უსაფრთხოება;
თანამედროვე გამოწვევები ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში;

საგანმანათლებლო გარემო;
ფიზიკური და სენსორული განვითარების ხელშეწყობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
ადრეული და სკოლამდელი განათლების მეთოდოლოგია;
კომუნიკაცია, ენა, მეტყველება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობის თავისებურებები სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში;
წიგნიერება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
სახვითი და ვიზუალური ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
პერფომანსული ხელოვნება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
მათემატიკური წარმოდგენების ფორმირება ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
კვლევა და აღმოჩენა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
კულტურა, ტრადიცია და მოქალაქეობა ადრეულ და სკოლამდელ ასაკში;
ტექნოლოგიების გამოყენება ადრეულ და სკოლამდელ აღზრდასა და განათლებაში;
მუსიკა და მოძრაობა ადრეულ და სკოლამდელ განათლებაში;
მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს პროფესიულ საკითხებთან დაკავშირებულ დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება არის შინაარსობრივად გამართლებული, ზუსტი და არ ქმნის შეცდომაში შემყვან წარმოდგენას პროგრამის მიზნებსა და მოსალოდნელ შედეგებთან მიმართებით.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტს „სკოლამდელი განათლება“ (ჩარჩო დოკუმენტის/საგანმანათლებლო სტანდარტის სარეგისტრაციო ნომერი, რომლის საფუძველზეც შეიქმნა პროგრამა: 02117-პ). პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლემდელი განათლება“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;

- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „სკოლემდელი განათლების“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „სკოლემდელი განათლებას” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლემდელი განათლება“ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობაში (კვოტაში) ცვლილება განხორციელდა სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის მოადგილის მოხსენებითი ბარათის საფუძველზე, კერძოდ, პროგრამის თვითშეფასების შედეგების ანალიზით მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღები სტუდენტების რაოდენობის 180-მდე გაზრდის თაობაზე.

„სკოლამდელი განათლება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის კოლეჯში გამოყოფილია ორი A და სამი B ტიპის სასწავლო გარემო, თითოეული პროფესიული სტუდენტისთვის. აღნიშნული გარემოები აღჭურვილია სრულფასოვან მატერიალურ რესურსით, რომელიც მოიცავს შესაბამის კომპიუტერულ აღჭურვილობას, სადემონსტრაციო საშუალებებს, დაფას, მაგიდებს, სკამებს და სხვა სასწავლო ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრული ჩართულობას სასწავლო პროცესში.

A სასწავლო გარემოში არსებული აუდიტორიებში გამტარიანობააა - №204 - 30 ადგილი და №201 - 70 ადგილი, ხოლო B სასწავლო გარემოში არსებული აუდიტორიებში გამტარიანობა დასტურდება შემდეგნაირად: №206 - 20 ადგილი; №113 - 15 ადგილი და №106 - 16 ადგილი;

აღნიშნული გარემოები აღჭურვილია სრულფასოვან მატერიალურ რესურსით, რომელიც მოიცავს შესაბამის კომპიუტერულ აღჭურვილობას, სადემონსტრაციო საშუალებებს, დაფას, მაგიდებს, სკამებს და სხვა სასწავლო ინსტრუმენტებს, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების სრული ჩართულობას სასწავლო პროცესში.

პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ორი მოდულის (გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი - სკოლამდელი აღზრდა და განათლება განხორციელება ქ. თბილისის ა(ა)იპ საბავშვო ბაგა-ბაღებში.

მოხდა ერთერთი პრაქტიკის ობიექტის დათვალიერება გასაუბრება, კერძოდ შპს „ცეროდენაში“, მისამართი: ქ.თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22. აღნიშნული ობიექტზე ინტერვიუირებით დასტურდება, რომ პრაქტიკის ობიექტზე ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა მიერ მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკული გამოყენება, პროფესიული დავალებების შესრულება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება, რაც უზრუნველყოფს პრაქტიკული კომპონენტის სრულყოფილად განხორციელებას და სწავლის შედეგების მიღწევას. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

პროგრამის განხორციელებაში ჩართული პრაქტიკის ობიექტებია:

- ა(ა)იპ ქ. თბილისის 76-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, ახვლედიანის ქ. N14
- ა(ა)იპ ქ. თბილისის 145-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის მე-4 შესახვევი N4
- ა(ა)იპ თბილისის 58-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის 111
- ა(ა)იპ თბილისის 36-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N30
- ა(ა)იპ თბილისის 71-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, სადგურის შესახვევი № 3
- ა(ა)იპ თბილისის 128-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზ., კვ. 5
- ა(ა)იპ თბილისის 56-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზ. 4
- ა(ა)იპ თბილისის 38-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, ზუგდიდის ქ.,№ 3
- ა(ა)იპ თბილისის 28-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, ვარკეთილი ზ/პ საქართველოს ერთიან მებრძოლთა ქუჩა № 15
- ა(ა)იპ თბილისის მე-20 საბავშვო ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, კრწანისის ქ. 21
- შპს „ცეროდენა“, მისამართი: ქ.თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22.
- შპს „ბაგრატიონი 2012“ , მისამართი: ქ. თბილისი,ბოგდან ხმელნიცკის 1 მეოთხე შესახვევი, ბოჭორიშვილის 16, ვაჟა ივერიელის 10.
- ა(ა)იპ თბილისის 191-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, ნაკაშიძის ქ.,№ 26

ა(ა)იპ თბილისის 51-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ.თბილისი ვახტანგ გორგასლის ქ.,№ 43

აღნიშნულ ობიექტებზე უზრუნველყოფილია ერთდროულად ყველა მსმენელის პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვა. აღნიშნული რაოდენობა სკოლამდელი განათლების დაწესებულებებისა სრულად ფარავს (210 სტუდენტი) პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას 180 სტუდენტს. აღნიშნული თანამშრომლობა, როგორც კოლეჯის მატერიალური რესურსი, ასევე პარტნიორ ორგანიზაციასთან კოოპერატიული ურთიერთობა, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებას კოოპერატიული მიდგომით და პროფესიული სტუდენტის ჩართულობით.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარუნარიანობა. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

დაწესებულებაში „სკოლემდელი განათლებას“ პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია მოთხოვნილი კვოტის ოდენობით 2 ცვლაში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. აკადემიაში „სკოლემდელი განათლების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილია გაფორმებული ხელშეკრულებები პროფესიული განათლების მასწავლებლებთან, რაც უზრუნველყოფს პროგრამის უწყვეტ და სტაბილურ განხორციელებას.

პროგრამის განსახორციელებლად აკადემიას ჰყავს 32 პროფესიული განათლების მასწავლებელი : მათ შორის 15 ზოგადი მოდულების მასწავლებელი და 17 დარგობრივი მოდულების მასწავლებელი. თითოეულ მოდულზე აკადემიას ყავს რამოდენიმე განმახორციელებელი მასწავლებელი, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში ერთმანეთს სრულფასოვნად ჩაანაცვლებენ. რესურსების ასეთი განაწილება ქმნის:

- პროგრამის უწყვეტობის გარანტიას,
- მოსალოდნელი რისკების მინიმიზაციას,
- მოდულების შესრულების დროულ უზრუნველყოფას.

წარდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ ყველა განმახორციელებელი მასწავლებლის დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, განაწილება ოპტიმალურია და არ ქმნის გადატვირთვის ან პროცესის შეფერხების ალბათობას.

პროგრამას დამატებული აქვს განმახორციელებელი პერსონალის სია, რაც უზრუნველყოფს პროცესების გამჭვირვალობას და პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას.

პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეების შესწავლით და მათთან გასაუბრებით დადგინდა, რომ წარმოდგენილი მასწავლებლები ფლობენ შესაბამის კვალიფიკაციას, პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს, პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან, რაოდენობა და განაწილება სრულად უზრუნველყოფს პროგრამის შინაარსობრივ და უწყვეტ განხორციელებას.

პროგრამისათვის წარმოდგენილი განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობა, კვალიფიკაცია და დატვირთვის განაწილება საკმარისია, და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის მდგრად, უწყვეტ და ხარისხიან განხორციელებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3.პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლემდელი განათლება“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება

შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სკოლემდელი განათლება“ დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988).

პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სკოლემდელი განათლება“ მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების

ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვაწი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ „სკოლემდელი განათლებას“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ანინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტით წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით (დანართი 20) რენტაბელობის ზღვარი შეადგენდა 17 სტუდენტს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლემდელი განათლებას“ პროფესიულ პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი, რის მიხედვითაც რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს ასევე 17 პროფესიული სტუდენტი (დანართი 31).

პროგრამის შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საოჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. „სკოლემდელი განათლებას“ პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლემდელი განათლება“;
- „სკოლემდელი განათლებას“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულიდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ

„ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.

დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე. ამის ნათელი დასტურია 2025 წელს წარმატებით განხორციელებული პროექტი „გააზიარე ცოდნა, გააზიარე გამოცდილება" – გახდი პროფესიული მასწავლებელი".

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი";
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლემდელი განათლებას“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3.ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.

აკადემიაში „სკოლემდელი განათლების " პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება ეფუძნება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და სპეციალობის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას. აღნიშნული პრაქტიკა სრულ შესაბამისობაშია ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნებთან და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ საჭირო კომპეტენციების ეფექტიან და პრაქტიკულად ორიენტირებულ განვითარებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასწავლო დაწესებულება, პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევისას ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის" შესაბამისად. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის „სკოლემდელი განათლებას" საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ პარტნიორ ორგანიზაციასთან.

ა(ა)იპ ქ. თბილისის 76-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, ახვლედიანის ქ. N14

- ა(ა)იპ ქ. თბილისის 145-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის მე-4 შესახვევი N4
- ა(ა)იპ თბილისის 58-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, გორგასლის 111
- ა(ა)იპ თბილისის 36-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი N30
- ა(ა)იპ თბილისის 71-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, სადგურის შესახვევი № 3
- ა(ა)იპ თბილისის 128-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, მოსკოვის გამზ., კვ. 5

- ა(ა)იპ თბილისის 56-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, გურამიშვილის გამზ. 4
- ა(ა)იპ თბილისის 38-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, ზუგდიდის ქ.,№ 3
- ა(ა)იპ თბილისის 28-ე საბავშვო ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, ვარკეთილი ზ/პ საქართველოს ერთიან მებრძოლთა ქუჩა № 15
- ა(ა)იპ თბილისის მე-20 საბავშვო ბაგა-ბაღი, მისამართი: თბილისი, კრწანისის ქ. 21
- შპს „ცეროდენა“, მისამართი: ქ.თბილისი, ვახტანგ გორგასლის 22.
- შპს „ბაგრატიონი 2012“ , მისამართი: ქ. თბილისი,ბოგდან ხმელნიცკის 1 მეოთხე შესახვევი, ბოჭორიშვილის 16, ვაჟა ივერიელის 10.
- ა(ა)იპ თბილისის 191-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ. თბილისი, ნაკაშიძის ქ.,№ 26

ა(ა)იპ თბილისის 51-ე ბაგა-ბაღი, მისამართი: ქ.თბილისი ვახტანგ გორგასლის ქ.,№ 43 ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენს, „სკოლემდელი განათლებას“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლების წარმართვა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების ხელშეწყობა. ხელშეკრულებების ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეები თანხმდებიან, რომ თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში მიღწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სწავლის შედეგები; თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგებიც, რომელთა ჩამონათვალი საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება წერილობით, თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში სწავლების დაწყების წინ, კონკრეტული ჯგუფისათვის. ასევე, ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იგზავნება წერილი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები და პროფესიულ სტუდენტთა სია.

ექსპერტთა ჯგუფი იმყოფებოდა პრაქტიკის ობიექტზე პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობა არ გამოვლენილა. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლემდელი განათლებას“ სასწავლო გეგმა;

- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირეტქორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწეებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„სკოლემდელი განათლებას" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის" შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით". შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიულ სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი”
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	საექთნო საქმე
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში Higher Vocational Qualification in Nursing
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0913
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს” დირექტორის 2019 წლის 17 მაისის №039 ბრძანება
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA” საქართველო, ქ. თბილისი, კრწანისის რაიონი, რუსთავის გზატკეცილი, №18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული

პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	150
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით(არსებობის შემთხვევაში)	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	180
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	210

XI. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ■
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება □

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა საქართნო საქმე	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA” წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - საქმე“. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით“.

1. **დაწესებულების მისია ეფუძნება, მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის შესაძლებლობებს**, რომელიც ქმნის ინკლუზიურ, მრავალფეროვან და ინტერნაციონალურ გარემოს ადამიანის ცხოვრებისა და საქმიანობის მრავალპროფილური მიმართულებით, პიროვნული და პროფესიული განვითარებისათვის, ასევე დაწესებულების ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება. **„საექთნო საქმის “ პროგრამას დაწესებულება ახორციელებს 2019 წლიდან** და შესაბამისად, გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. უნდა აღინიშნოს რომ 2024 წლის თებერვლის თვიდან საკანონმდებლო რეგულაციებით განისაზღვრა როგორც დამოუკიდებელი საქმიანოვბა და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი, ეროვნულ დონეზე ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებზე დაყრდნობით, არსებობს მოთხოვნა იმ უნარებზე/კომპეტენციებზე, რომელთა მიღწევასაც უზრუნველყოფს პროფესიული

საგანმანათლებლო პროგრამა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2017-2023 წლების მონაცემებით ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, მზარდია დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროში.

2. **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევის** - "უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა 2025" თანახმად, ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების მიხედვით, ვაკანსიების მქონე საწარმოთა ხვედრითი წილი მაღალია ჯანდაცვის - 26%, განათლების - 26%, განთავსების - 22% და ვაჭრობის - 20% სექტორებში. გვ.26.
ასევე, საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულები არიან პროფესიული განათლების მქონე ადამიანები, ასეთ საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით გამოირჩევა: ჯანდაცვის (44%) ენერგეტიკის (37%), დამამუშავებელი მრეწველობის (36%) სექტორები. გვ:55

3. **ექიმ–ექთნის თანაფარდობა და ექთნების მოთხოვნა საქართველოში.**

- WHO European Observatory, 4 დეკემბერი 2024 — ქვეყნის პროფილში წერია, რომ საქართველოში „ექიმების რაოდენობა ძალიან მაღალია, ხოლო ექთნების მწვავე დეფიციტი ქმნის მზარდ ბარიერებს მომსახურებაზე ხელმისაწვდომობისთვის".
- WHO/Europe, 12 აგვისტო 2024 — ახალი რეგულირების ანონსისას WHO პირდაპირ აღნიშნავს: საქართველო WHO ევროპის რეგიონში ექთნების ერთ-ერთი ყველაზე დაბალი რაოდენობის მქონე ქვეყანაა, ხოლო დეფიციტი მთიან და რთულად მისადგომ რეგიონებში უფრო მძაფრია. სწორედ ამიტომ იგეგმება პროფესიის ატრაქტიულობისა და აღიარების გაზრდა. ეს ცხადყოფს სისტემურ და მუდმივ მოთხოვნას.
- WHO/Europe – სტატიაში (დეკემბერი 2021) — ფიქსირდება, რომ ექიმ–ექთნის თანაფარდობა 2014 წლიდან ვერ ასცდა 0.8-ს (ანუ თითო ექიმზე ნაკლები ექთანი), მაშინ როცა რეგიონის საშუალო მაჩვენებელია 2.3 ექთანი თითო ექიმზე. ეს მიანიშნებს მრავალწლიან, ქრონიკულ დისბალანსზე.
- აკადემიური კვლევა (2025) – ექთანთა ასაკობრივი სტრუქტურა (37.5% 50+ ასაკში), დაბალი მოტივაცია და მიგრაცია ქმნის მუდმივ დეფიციტს; სტრატეგია 2022–2030 ითვალისწინებს 30%-ით ზრდას.
- GEOSTAT ოპერატიული ცხრილები (განახლდება წელიწადში ერთხელ) — ბოლო წლების მიხედვით, ექიმთა რაოდენობა საზოგადოებრივ სექტორში სტაბილურად მეტია ექთნებზე, რაც დისბალანსს ამყარებს.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამის შინაარსი პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში საფრთხეების იდენტიფიცირებას, რისკების შეფასებასა და პრევენციული ღონისძიებების შემუშავებას, ასევე გარემოს დაცვას, ნარჩენების მართვას და სხვ. შრომის ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. ამ კონტექსტში, **"საექთნო საქმე "** საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საექთნო საქმე"** პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 10.12.2024 №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687 ბრძანება) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის **წესით"(დანართი 4. „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესი" (SBA-REG-064)**., რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ

საგანმანათლებლო პროგრამას **„საქართნო საქმე“**, რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა **შეფასებით, „საქართნო საქმე“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები** და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების **წესის“თავი 5. პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია - მუხლი 23.** პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრა , რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „საქართნო საქმე“ პროგრამისთვის განსაზღვრული **150 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო , უნდა აღინიშნოს რომ დაწესებულებას „საქართნო საქმის’ პროგრამის შესაბამისად C გარემო სრულად გატანილი აქვს კლინიკურ ბაზებზე, თუმცა ადგილზე აქვთ ახალი შექმნილი სიმულაციური გარემო რეალურ კლინიკურ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში , რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, ამ სივრცეში დაწესებულება ახორციელებს სხვა-დასხვა კლინიკური ინკლუზიური და სამოტივაციო მასტერკლასებსა და კონკურსებს სტუდენტებისთვის, ასევე გარემო განსაზღვრულია საკვალიფიკაციო გამოცდისთვის OSCE -ის მეთოდოლოგიით საუკეთესო პრაქტიკად არის შეფასებული, საგანმანათლებლო დაწესებულებაში დანერგილი **ობიექტური სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE) მეთოდი** წარმოადგენს თანამედროვე, საერთაშორისოდ აღიარებულ შეფასების მექანიზმს, რომელიც ეფექტურად უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული და კლინიკური კომპეტენციების ობიექტურ, გამჭვირვალე და სტანდარტიზებულ შეფასებას. მეთოდი სრულ შესაბამისობაშია შედეგზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებთან და ხელს უწყობს თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარის გამოვლენას. სასწავლო გარემო პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას სრულად უზრუნველყოფს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ საექთნო საქმე” არ მოიცავს არჩევით მოდულს. **ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით“ განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია „შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს” დირექტორის 2019 წლის 17 მაისს №039 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები (საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა, მატერიალური რესურსი და განმახორციელებელი ადამიანური რესურსის შესახებ განახლებული ინფორმაცია) კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ (ბოლო ცვლილება განხორციელდა 16.09.2025 წლის №17235 ბრძანებით - დანართი 6, დანართი 7). ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება **„საექთნო საქმე“** ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვითი საქმიანობისათვის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს - ორგანიზაციულ, სამართლებრივ, დაგეგმვის, დოკუმენტირების, განხორციელებისა და კონტროლის მიმართულებებს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული მოდულური პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს **„საექთნო საქმე“/Nursing** (უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია საექთნო საქმეში /Higher Vocational Qualification in Nursing) პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე

დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა "საექთნო საქმე"
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი";
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის "საექთნო საქმე" განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. „საქთნო საქმე“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B, C(გატანილია კლინიკურ ბაზებზე, და დაწესებულება”კარიტასში”) სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე **„საქთნო საქმე“** სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობა -150.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია **ოთხი A გარემო - (№204 - 30 ადგილი; №202 - 40 ადგილი; №105 - 30 ადგილი; №106 - 30 ადგილი)**; **ოთხი B ტიპის სასწავლო გარემო** - (№106 - 16 ადგილი; №113 – 15 ადგილი; №114 - 10 ადგილი; №206 - 20 ადგილი)) და ასევე, C სასწავლო გარემო N101 - დამატებითი აქტივობებისთვის, რომელიც განთავსებულია დაწესებულების A კორპუსის ეზოში მოწყობილ სივრცში (უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის ინვენტარით.

C გარემო - აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით რეალურ გარემოსთან სრული სტანდარტების შესაბამისობაში და სიმულაციური OSCE - საგამოცდო და ტრენინგ მეთოდოლოგიი.ს შესაბამისად, სივრცე გამოიყენება დამატებითი აქტივობებისა და პრაქტიკული საკვალიფიკაციო გამოცდისტვის.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

დაწესებულებაში **“საქთნო საქმე”** პროფესიულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგიის თანახმად სწავლის განხორციელება შესაძლებელია 2 ცვლაში.

საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები შემდეგ 10 კომპანიებთან:

1. შპს „ვივამედი“ - 150 პროფესიული სტუდენტი

2. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი - 150 პროფესიული სტუდენტი

3. შპს “თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა” 150 პროფესიული სტუდენტი

4. **შპს „ქართულ- ჰოლანდიური ჰოსპიტალი**“- 40 პროფესიული სტუდენტი

5. შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“ - 50 პროფესიული სტუდენტი

6. შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“- 150 პროფესიული სტუდენტი

7. შპს „ნიუ ჰოსპიტალს “ - 150 პროფესიული სტუდენტი

8. შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“ - 150 პროფესიული სტუდენტი

9. შპს ,, ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“ - 60 პროფესიული სტუდენტი

10. შპს „თიმი - თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“ – 150 პროფესიული სტუდენტი

ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„საქთნო საქმე“** (მეხუთე დონე) დაწესებულებას განსაზღვრული **ჰყავს 37** პროფესიული განათლების მასწავლებელი. ზოგადი მოდულების განხორციელების მიზნით დაწესებულებს შრომითი ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს 17 პროფესიული განათლების მასწავლებელთან; პროფ. მასწავლებლის/სტუდენტის შეფარდება - 37 /150 (0,2) თითოეული მოდულისთვის დაწესებულებს ყავს მინიმუმ 2 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რომელთანაც გაფორმებულია წინარე ხელშეკრულებები და მათი დატვირთვა შეესაბამება „საქართველოს შრომის კოდექსის“ მოთხოვნებს, კვირაში საერთო სამუშაო დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართად ახლავს განმახორციელებელი პერსონალის შესახებ ინფორმაცია. პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობის, სასწავლო გეგმის და ინტერვიუს შედეგების გათვალისწინებით პროფესიულ მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის **„საქთნო საქმე“** დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.
ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„საქთნო საქმე““** დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. დაწესებულების სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“, რომელიც დამტკიცებულია რექტორის 2024 წლის 24 დეკემბრის №00000496 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 27.06.2025, ბრძანება №9988). პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი არის საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რომელიც რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ (https://www.sms.sba.ge/login), რომელიც წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამისთვის **„საქართველო საქმე“** მოდულებით განსაზღვრული სასწავლო მასალა განთავსებულია საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკაში როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. დაწესებულებას ელექტრონული პროგრამის სახით შემუშავებული აქვს საბიბლიოთეკო კატალოგი. ბიბლიოთეკაში შემოწმდა პროგრამაში განსაზღვრული სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა ელექტრონული და მატერიალური სახით. საბიბლიოთეკო საქმიანობაზე პასუხისმგებელ პირთან ინტერვიურებისას აღნიშნა, რომ პროფესიულ სტუდენტს შეუძლია ელექტრონული ბიბლიოთეკით ისარგებლოს როგორც დაწესებულების ტერიტორიიდან, ასევე გარე სივრციდანაც. დაწესებულების ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიშიდან“ დასტურდება, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6.დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტრონული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის წარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ **„საქართველო საქმე“** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულებაში ფორმალიზებულია პროგრამის საპროგნოზო და ფაქტობრივი ბიუჯეტების შექმნის პროცესი, რომელიც გაწერილია აკადემიის შიდა მარეგულირებელ აქტში "სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი" (SBA-REG-035) თავი 2, მუხლი 20 (დანართი 14). **საქართო საქმის** პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე. ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. საქართო საქმის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე შემუშავებულია საპროგნოზო ბიუჯეტი,, რომელიც მოიცავს პროგრამის ფარგლებში დაგეგმილ შემოსავლებსა და ხარჯებს რენტაბელობის ზღვარის გათვალისწინებით (დანართი 15).
საპროგნოზო ბიუჯეტი მტკიცდება აკადემიის დირექტორის ბრძანებით. პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ არსებითად იცვლება ბიუჯეტის რომელიმე მუხლი (შემოსავლები ან ხარჯები).
პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით (დანართი 16). ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა "სააღრიცხვო პოლიტიკა და წესი" (SBA-REG-035). დანართი 15. საქართო საქმის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. დანართი 16. საგანმანათლებლო პროგრამის ფაქტობრივი ბიუჯეტი., დამტკიცებუ;ლი აკადემიის **დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით** , პროფესიულ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 17 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საიჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. **„საქართო საქმე“** პროფესიული პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.
ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „საქართო საქმე“
- „საქართო საქმე“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“

- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეაფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულიდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით” და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით“. დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.
დაწესებულებამ წარმოდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.
დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე. ჩატარებასა და შესაბამისი სასწავლო მასალის გადაცემას ითვალისწინებს. მათთვის ტრენინგის შინაარსი პრაქტიკულად ეხმიანებოდა მათ პროფესიულ საჭიროებებსა და რეალურ სამუშაო პასუხისმგებლობებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **„საქართველო საქმის“** სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3.ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის **განხორციელებისათვის დაწესებულებას ადაპტირებული აქვს რეალურ გარემოსთან სრულად მიახლოვებული სიმულაციური C გარემო და OSCE - მეთოდოლოგიით პრაქტიკული დამატებითი აქტივობების (მასტერკლასები, კონკურსები,) და პრაქტიკული საკვალიფიკაციო გამოცდო გარემო. , რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.**

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ექსპერტთა მიერ გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასწავლო დაწესებულება, პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევისას ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის **„საექთნო საქმის“** საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები 10 პარტნიორ ორგანიზაციასთან.
მემორანდუმები:
1. შპს „ვივამედი“
2. ა(ა)იპ „საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი
3. შპს “თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა”
4. შპს „ქართულ- ჰოლანდიური ჰოსპიტალი“
5. შპს „ქალაქ თბილისის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი“
6. შპს „აკად. გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი“
7. შპს „ნიუ ჰოსპიტალს “
8. შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა“
9. შპს ,, ამერიკან ჰოსპიტალ ნეთვორქ“
10. შპს „თიმი - თბილისის მედიცინის ინსტიტუტი“

ხელშეკრულებების საგანს წარმოადგენს, **„საექთნო საქმე“** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების სწავლების წარმართვა ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ფართის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, ადამიანური რესურსის გამოყენებით და ორგანიზაციაში არსებულ ვაკანსიებზე დასაქმების ხელშეწყობა. ხელშეკრულებების ხანგძლივობა შეადგენს 6 წელს და თანამშრომლობის მიზანს წარმოადგენს მოდულ(ებ)ის სწავლის შედეგების მიღწევა ან/და შეფასება, რომელიც არ არის მიღწევადი საგანმანათლებლო დაწესებულების ფარგლებში; პროფესიულ სტუდენტთა ჩართვა რეალურ სამუშაო გარემოში; ხელშეკრულების მიზნებისათვის მხარეები თანხმდებიან, რომ თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში მიღწეულ უნდა იქნეს ხელშეკრულების დანართით განსაზღვრული სწავლის შედეგები; თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში შესაძლებელია მიღწეულ იქნეს პროგრამით გათვალისწინებული სხვა სწავლის შედეგებიც, რომელთა ჩამონათვალი საჭიროების შემთხვევაში განისაზღვრება წერილობით, თანაგანმახორციელებელ ორგანიზაციაში სწავლების დაწყების წინ, კონკრეტული ჯგუფისათვის. ასევე, ყოველი ახალი ნაკადის მიღების შემდგომ კონკრეტულ პრაქტიკის ობიექტებთან იგზავნება წერილი, სადაც დეტალურად არის გაწერილი პრაქტიკის დაწყების და დასრულების თარიღები და პროფესიულ სტუდენტთა სია.
ექსპერტთა ჯგუფი **იმყოფებოდა შპს „პინეო სამედიცინო ეკოსისტემა**“- პრაქტიკის განმახორციელებელი დაწესებულებების წარმომადგენლეთან ინტერვიუს დროს დაისვა მიზნობრივი შეკითხვები, რათა ეჭვქვეშ არ დამდგარიყო პრაქტიკის კომპონენტის განხორციელების მდგრადობა. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან, სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის

მატერიალურ რესურსთან და პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების პროცესში არავითარი გადაცდენა/უზუსტობა არ გამოვლენილა. აღნიშნული დადასტურდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა სპეციფიურ უსაფრთხოებას არ საჭიროებს, სასწავლო პროცესისთვის განკუთვნილ ყველა აუდიტორიაში დაცულია შრომის უსაფრთხოების ზოგადი ნორმები. ასევე, C სასწავლო გარემოში (უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია) თვალსაჩინო ადგილას არის განთავსებული მუშაობის წესები. რაც შეეხება პროგრამით გათვალისწინებული მოდულების პრაქტიკულ კომპონენტების სწავლებას, რომელიც ხორციელდება დაწესებულების პარტნიორი ორგანიზაციის ბაზაზე, ხელშეკრულებაში გაწერილია პირობა, რის თანახმადაც ორგანიზაცია ვალდებულია უზრუნველყოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის უსაფრთხო გარემო.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამის **„საქართველო საქმე“** - სასწავლო გეგმა.
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს.

პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწეებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არისვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. “ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი” (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლოანობა, ობიეტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„საქთნო საქმის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.
პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.
დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია

პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA"
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
პროფესიული განათლების დონე	მეხუთე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ფარმაციაში; Higher Vocational Qualification in Pharmacy”
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0916
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	შპს „საქართველოს ბიზნესის აკადემია-SBA-ს” დირექტორის 2019 წლის 17 მაისის №039 ბრძანება.
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	ქ.თბილისი, რუსთავის გზატკეცილი 18-22
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	100
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	-
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	--

კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	150

XII. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამა **ფარმაცია**	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შპს „საქართველოს ბიზნესია აკადემია -SBA" წარმოადგენს დაწესებულებას, რომელიც ახორციელებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის უმაღლეს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - „ფარმაცია". პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცედურა განსაზღვრულია საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2020 წლის 27 აპრილის N047 (ბოლო ცვლილება 2024 წლის 25 ნოემბრის, რექტორის N00000432 ბრძანება) ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესით".

აკადემია მრავალპროფილური საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მისი ერთ-ერთი სტრატეგიული მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება. ამასთან, ფარმაციის პროგრამა აკადემიის ტრადიციული პროგრამაა, შესაბამისად, აკადემიას გააჩნია საკმარისი ინტელექტუალური და ინფრასტრუქტურული რესურსი მისი სრულყოფილად განსახორციელებლად. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აკადემიის გადაწყვეტილება ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ, ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება აკადემიის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას . ფარამაციის პროგრამის ფარგლებში წლებია დაწესებულება თანამშრომლობს შპს პსპ ფარმა-სთან, რომელიც კურსდამთავრებულებს სისტემატიურად ასაქმებს შპს პსპ ფარმა სააფთიაქო ქსელში. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მიღებული ინფორმაციის ანალიზი ადასტურებს, რომ პროგრამა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და მოიცავს იმ კომპეტენციების განვითარებას, რომლებიც დაკავშირებულია სამუშაო გარემოში ფარმაცევტის ეფექტიან მუშაობასთან, შრომის

ბაზრის ანალიზი და დამსაქმებელთა პოზიციები ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას პრაქტიკულ საჭიროებებთან. აღნიშნულ კონტექსტში, „ფარმაციის" საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება თანხვედრაშია დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიულ პრიორიტეტებთან.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას

2. საგანმანათლებლო დაწესებულებაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ფარმაცია" პროფესიული სტუდენტების შერჩევისა და ჩარიცხვის პროცედურები რეგულირდება დაწესებულების რექტორის 2024 წლის 10 დეკემბრის №00000470 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 10.09.2025 №16687) დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა კორპუსის მართვის წესით", რომელიც სრულად შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მიმდინარე მოთხოვნებს. მასში გაწერილია პროგრამაზე ჩარიცხვის პროცედურები და ითვალისწინებს ჩარიცხვასთან დაკავშირებულ ყველა ეტაპს - პროგრამაზე მიღების გამოცხადებიდან, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭებამდე. დაინტერესებულ პირს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა, მოეთხოვება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული პროფესიული ტესტირების ჩაბარება. სასწავლო პროცესის ორგანიზება და სტუდენტის ყოველდღიური სასწავლო საქმიანობა სრულად ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „ფარმაცია", რაც უზრუნველყოფს წინარე ცოდნისა და უნარების თანმიმდევრულ განვითარებას და სწავლის შედეგების ეტაპობრივ მიღწევას. ექსპერტთა შეფასებით, „ფარმაცია" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და ჩარიცხვის პროცედურები ჩამოყალიბებულია მკაფიოდ და გამჭვირვალედ, სრულად შეესაბამება მოქმედ ეროვნულ სამართლებრივ ჩარჩოს, უზრუნველყოფს სამართლიან შერჩევას და დადგენილ ვადაში ქმნის რეალურ შესაძლებლობას სწავლის შედეგების მიღწევისთვის.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

3. დაწესებულებაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა რეგულირდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესის" მე-5 თავით, რომელიც ითვალისწინებს: პროფესიულ სტუდენტთა საერთო ოდენობის განსაზღვრას; საერთო სასწავლო სივრცის გამტარუნარიანობას; საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობის განსაზღვრის პრინციპებს; კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრას. დოკუმენტის თანახმად, კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა შესაძლო ზღვრული ოდენობა:

- არ უნდა აღემატებოდეს აკადემიის პროფესიულ სტუდენტთა საერთო რაოდენობასა და დანარჩენი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის განსაზღვრული სტუდენტთა ზღვრული ოდენობების ჯამს შორის არსებულ სხვაობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების თოთხმეტმაგ ოდენობას;
- არ უნდა აღემატებოდეს ამ პროგრამის განსახორციელებლად საჭირო C სასწავლო გარემოს საერთო გამტარუნარიანობას, ასეთი გარემოს საჭიროების შემთხვევაში;

ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას ასევე, მხედველობაში მიიღება პროგრამის განსახორციელებლად პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით/მემორანდუმებით განსაზღვრული სტუდენტთა რაოდენობების ჯამი, პროგრამის ხანგრძლივობა და განხორციელების სპეციფიკა.
ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას და მიიჩნევს, რომ „ფარმაცია" პროგრამისთვის განსაზღვრული 100 პროფესიული სტუდენტი წარმოადგენს დასაშვებ და რეალისტურ ზღვრულ რაოდენობას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულებას შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული ოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია

4. პროფესიული პროგრამების ეფექტურად განხორციელებისა და სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, დაწესებულების მფლობელობაში არსებულ სასწავლო შენობაში გამოყოფილია შესაბამისი აუდიტორიები. მოწყობილია A, B და C ტიპის სასწავლო გარემო, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის თანამედროვე სასწავლო მატერიალური რესურსით, რაც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია" არ მოიცავს არჩევით მოდულს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.5. შესაბამისობაშია

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების უფლებამოსილება 2024 წლის 3 ოქტომბრის №00000373 ბრძანებით დამტკიცებული „დებულებით" განსაზღვრული ქონდა დაწესებულების დირექტორს, ხოლო 2025 წლის 26 თებერვლის №2906 ბრძანებით განხორციელდა მთლიანი დოკუმენტის ცვლილება, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების/ცვლილებების შეტანის უფლებამოსილი პირია რექტორი. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA-ს დირექტორის 2019 წლის 17 მაისის №039 ბრძანებით. პროგრამას ხელახალი დამტკიცების პროცედურა არ გაუვლია, მასში შესული ცვლილებები კი დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის – აკადემიის რექტორის მიერ. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამის დამტკიცების პროცედურა სრულად შეესაბამება წესდებით განსაზღვრულ უფლებამოსილებასა და გადაწყვეტილების მიღების ფორმატს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.6 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.

7. საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება ზუსტად ასახავს პროგრამის შინაარსობრივ მიმართულებას და სრულ შესაბამისობაშია პროგრამით განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან. პროგრამის სტრუქტურა აგებულია ისე, რომ ეტაპობრივად ფარავს ფარმაციის პროფესიის აუცილებელ ყველა ძირითად კომპონენტს. პროგრამაში განსაზღვრული მოდულების შინაარსი და მათთან დაკავშირებული სწავლის შედეგები ლოგიკურად უკავშირდება პროგრამის სახელწოდებით განსაზღვრულ პროფესიულ საქმიანობას და სრულად მოიცავს დასაქმებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს. შესაბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.7 დაკმაყოფილებულია, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.
დაწესებულებაში პროფესიული განათლება ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებით „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ" გათვალისწინებული პროფესიული კვალიფიკაციების შესაბამისად შემუშავებული მოდულური პროფესიული პროგრამით. იგი ეფუძნება ჩარჩო დოკუმენტს „ფარმაცია"/ Pharmacy". პროგრამით განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების დეტალური აღწერა შეფასების მიმართულებები, დასაქმების შესაძლებლობები, პროგრამის მოცულობა, პროგრამის ხანგრძლივობა, სწავლების მეთოდოლოგია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი. მოდულების ბლოკში, ასევე გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულებიც (A2 და B1), რომელთა მიზანია არაქართულენოვანი სტუდენტები მოამზადოს ქართულ ენაზე პროგრამის

გასავლელად. წარმოდგენილ დოკუმენტებსა და გასაუბრებაზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.1.1.8 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ფარმაცია“;
- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“;
- დებულება;
- დაწესებულების მისია, სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული პროგრამის „ფარმაცია“ განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

„ფარმაცია" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დაწესებულების შესაბამის სასწავლო სივრცეებში, სადაც უზრუნველყოფილია პროგრამით განსაზღვრული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევისთვის აუცილებელი მატერიალური და A, B, C სასწავლო გარემოები. სასწავლო პროცესის ორგანიზება ეფუძნება პროგრამის შინაარსს, პრაქტიკული კომპონენტების მოცულობასა და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას. პროგრამას თან ერთვის სავალდებულო მატერიალური რესურსების დეტალური ჩამონათვალი, რომელიც წარმოადგენს პროგრამის დანართს და მოიცავს როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სწავლებისათვის საჭირო რესურსებს. აღნიშნული ჩამონათვალი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის უწყვეტობას და პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების სრულფასოვან განხორციელებას.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ სწავლებისთვის გამოყოფილია სამი A გარემო - (№203 - 30 ადგილი; №202 - 34 ადგილი; №201 - 70 ადგილი); სამი B ტიპის სასწავლო გარემო - (№118 - 30 ადგილი; №117 - 30 ადგილი; №113 - 15 ადგილი) და ასევე, C სასწავლო გარემო, რომელიც განთავსებულია დაწესებულების A კორპუსის ეზოში მოწყობილ სივრცში (უსაფრთხოების უნარების ლაბორატორია). ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზუალურად შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია შემდეგი რაოდენობის ინვენტარით:

A გარემო-1 (№203) – 30 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 30*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *პროექტორი - 1*
- *კომპიუტერი- 1*

A გარემო- 1 (№202) – 34 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 34*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 34*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*
- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*

A გარემო- 1 (№201) – 70 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 70*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 70*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *ეკრანი - 1*

- *კომპიუტერი - 1*
- *დაფა - 1*

B გარემო-1 (№118) – 30 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 30*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 30*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *მონიტორი* - 1

B გარემო-1 (№117) – 30 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 30*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 30*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 30*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *მონიტორი* - 1

B გარემო-1 (№113) – 15 ადგილი

- *პროფესიული სტუდენტის მაგიდა - 15*
- *პროფესიული სტუდენტის სკამი - 15*
- *პროფესიული სტუდენტის კომპიუტერი - 15*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო მაგიდა - 1*
- *პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო სკამი - 1*
- *მონიტორი* - 1

C გარემო - აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსებით.

ინტერვიურებისას დადგინდა, რომ ***B გარემოს*** პროგრამაზე განსაზღვრული კვოტის მიხედვით გააჩნია გამტარიანობის უნარი. ყველა კომპიუტერი ჩართულია შიდა ქსელში და გააჩნია წვდომა ინტერნეტთან.

სასწავლო გარემოს მოდელი A გარემო - ქიმიურ-სააფთიაქო-ტექნოლოგიურ-ბიოლოგიური ლაბორატორია- განკუთვნილია 30 პროფესიული სტუდენტისათვის.: სამუშაო ქიმიური მაგიდები, ლაბორატორიული სკამები, გამწოვი კარადა, კარადა ქიმიური ჭურჭლისთვის, კარადა რეაქტივებისათვის, მაშრობი კარადა, მაცივარი, სითხოვანი წამალთფორმების დასაფასოებელი ჭურჭელი თავსახურებით (სხვადასხვა ზომის და ფერის), სამკურნალო მცენარეული ნედლეულის წყლის შთანთქმის კოეფიციენტების ცხრილები, ალკოჰოლომეტრული ცხრილები, ხსნარის მოცულობითი ზრდის კოეფიციენტების ცხრილები, გრადუირებული გამზომი ცილინდრები (10,50.100,500მლ.), მინის კოლბები, შტანგლასები, წყლის აბაზანა, თერმომეტრების ნაკრები, სასწორები (ხელის), საწონების კომპლექტი, სპირტქურები, შტატივები, როდინები სასრესით (სხვადასვა ტევადობის), ნორმატიულ–ტექნიკური დოკუმენტაცია მყარი და რბილი წამლის ფორმების მომზადების წესებთან დაკავშირებით, მიკროსკოპები და სხვა.

ამავე სივრცეში განთავსებულია პროფესიული სტუდენტის სამუშაო 30 ადგილი (მაგიდა/სკამი), პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

ამავე სივრცეში განთავსებულია პროფესიული განათლების მასწავლებლის სამუშაო ადგილით (მაგიდა /სკამი), დემონსტრირების ციფრული საშუალებით, დაფით, კომპიუტერით (პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის), სასწავლო პლაკატებით, სიმულაციური აფთიაქი, შესაბამისი აღჭურვილობით.

საგანმანათლებლო დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება: შპს პსპ ფარმა, რომლითაც სრულადაა უზრუნველყოფილი პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული ოდენობის პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული კომპონენტის გავლა.

ხელშეკრულების საფუძველზე პროფესიული სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას გაივლიან აღნიშნულ კომპანიებში. კომპანიების წარმომადგენლებმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ ხელშეკრულებაში გაწერილი პირობა სრულდება მათი მხრიდან და პროფესიულ სტუდენტებს წვდომა აქვთ შესაბამის მატერიალურ რესურსთან. აღნიშნული დადასტრდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრებითაც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/პრაქტიკის ობიექტის ფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 31 პროფესიული განათლების მასწავლებელი, რაც უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას. აკადემიაში პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვა სრულ შესაბამისობაშია შრომის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან,აკადემიის პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციები მოწმდება როგორც მათი მიღებისას, ისე მუშაობის პროცესში, აკადემიის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად. ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ყველა განმახორციელებელს აქვს პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, რაც დასტურდება მათი პირადი საქმით.ფარმაციის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი , რომელიც ასრულებს ხელმძღვანელ ფუნქცას. რაც დასტურდება მისი სამუშაო აღწერილობით და ხელმძღვანელის რეზიუმეთი. პროგრამის ხელმძღვანელი დანიშნულია დირექტორის ბრძანებით და მხარეებს შორის გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება. ფარმაციის პროგრამის ხელმძღვანელი არ შეცვლილა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.2 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას

3. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ დანართით წარმოდგენილი განმახორციელებელი პროფესიული მასწავლებლების ინფორმაციის მიხედვით ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა პირადი საქმეები, ტრენინგების დასწრების ფურცლები, სერტიფიკატები და დადგინდა, რომ პირებს უდასტურდება შესაბამისი მოდულების განხორციელებისთვის საჭირო დარგობრივი კომპეტენციები, მათთან გასაუბრებით და პირადი საქმეების ანალიზით დადგინდა, რომ: წარმოდგენილი პროფესიული განათლების მასწავლებლები ფლობენ პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელ პროფესიულ და პედაგოგიურ კომპეტენციებს; პროფესიული გამოცდილება შესაბამისობაშია მოდულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ჩაატარა ინტერვიუები მოდულების განმახორციელებელ პირებთან, რის შედეგად დადასტურდა, რომ ისინი წლების განმავლობაში თანამშრომლობდნენ დაწესებულებასთან, აქვთ პროფესიული სტუდენტისთვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და შეფასების კომპეტენცია და ფლობენ სათანადო გამოცდილებას პროფესიული პროგრამების განხორციელების სფეროში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ფარმაცია“ დირექტორის ბრძანებით განსზღვრული ჰყავს პროგრამის ხელმძღვანელი. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო აღწერილობა, რომელიც მოიცავს პოზიციის ფუნქცია-მოვალეობებსა და საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ხელმძღვანელთან გასაუბრებით, სამუშაო აღწერილობისა და პირადი საქმის შესწავლით დადგინდა, რომ პროგრამის ხელმძღვანელი ეწევა პროგრამის ადმინისტრირების საკითხებს, ზრუნავს პროგრამის განვითარებასა და მასში დარგში მიმდინარე თანამედროვე ტენდენციების ინტეგრირებაზე, პროგრამის ხელმძღვანელს უდასტურდება საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი

5. აკადემიაში სასწავლო პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის, სარგებლობისა და მათში ცვლილებების განხორციელების საკითხები დარეგულირებულია სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურტექნიკური ბაზით სარგებლობის წესით“ (SBA-REG-066) (დანართი 10). პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა სასწავლო რესურსებით მხარდაჭერაზე პასუხისმგებელი პირი საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტია. ის რეგულარულად თანამშრომლობს აკადემიის პროფესიულ მასწავლებლებთან სასწავლო პროცესის რესურსებით უზრუნველყოფის მიზნით. აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსები დაცულია ბიბლიოთეკის კატალოგში და სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. აღსანიშნავია, რომ აკადემიაში საპილოტე რეჟიმში ფუნქციონირებს ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“. ის წარმოადგენს ერთიან ელექტრონულ სივრცეს პროფესიული სტუდენტების, მასწავლებლებისა და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. პლატფორმაზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ (დანართი 11). საგანმანათლებლო რესურსების სპეციალისტი, რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ყოველი ახალი სასწავლო წლის დასაწყისში MS Teams-ის ელექტრონულ პლატფორმაზე არსებულ სასწავლო ჯგუფებში ტვირთავს მოდულებში მითითებულ სასწავლო რესურსებს. ამასთანავე, აკადემიის ბიბლიოთეკის ბაზაზე გაელექტრონებულია თითქმის ყველა სასწავლო სახელმძღვანელო. აკადემიის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებიც ადასტურებს, რომ პროფესიული სტუდენტებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსები სრულად ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ შეუფერხებლად მიეწოდებათ სასწავლო რესურსები და საჭიროების შემთხვევაში სარგებლობენ ელექტრონული ბიბლიოთეკითა და სამკითხველო დარბაზით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მოცემული სასწავლო რესურსი კი იძლევა სწავლის შედეგების სრულად მიღწევის საშუალებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.5 დაკმაყოფილებულია, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლორესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში

6. დაწესებულების „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესის“ თანახმად, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისათვის პროგრამით ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სასწავლო რესურსების ხელმისაწვდომობას და საჭიროების შემთხვევაში მათ ადაპტირებას უზრუნველყოფს სამსახური. დაწესებულება, ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე, ფლობს უსინათლო პირებისთვის განკუთვნილ (ელექტროწული ფორმით მიწოდებული ტექსტური მასალის ხმოვანი აღქმის საშუალება) ხმის აღწარმოების (კითხვის) პროგრამას. ასევე, შშმ პირებისთვის სასწავლო რესურსებთან წვდომის უზრუნველსაყოფად დაწესებულებას

მომსახურების ხელშეკრულებებით განსაზღვრული ჰყავს სპეციალური მასწავლებლები (ხმის აღწარმოების პროგრამის სწავლებისთვის და ჟესტური ენის თარჯიმანი).

დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ „ფარმაცია“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სსსმ სტატუსის მქონე პროფესიული სტუდენტი არ ჰყოლიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.6 დაკმაყოფილებულია, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა საქართველოს ბიზნესის აკადემიის დირექტორის 2025 წლის 28 თებერვლის N3033 ბრძანებით დამტკიცებული „ფარმაციის“ პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. მონაცემების მიხედვით რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს 17 პროფესიული სტუდენტი. შემოსავალი შედგება ორი ნაწილისგან: სწავლის საფასური და სხვა სხის შემოსავლები, ხოლო ხარჯებში წარმოდგენილია შემდეგი: პროფესიული მასწავლებლების შრომის ანაზღაურება; მასალა და ნედლეული; საბიბლიოთეკო ფონდის შევსება/განახლება; პროგრამული უზრუნველყოფა; დიპლომების/დანართების დამზადება; სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის ღონისძიებები; ადმინისტრაციული პერსონალის ანაზღაურება; კომუნალური გადასახადები; ძირითადი საშუალებების ცვეთა და არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია; საოჯარო ხარჯი; საკანცელარიო და საოფისე ხარჯი; გადარიცხვა აკადემიის საერთო ბიუჯეტში; გაუთვალისწინებელი და სხვა ხარჯი. „ფარმაციის“ პროგრამა ხორციელდება ვაუჩერული დაფინანსების საფუძველზე, ხოლო თუ სტუდენტი არაა უფლებამოსილი ვაუჩერული დაფინანსების მიღებაზე, სწავლობს თვითდაფინანსებით. პროგრამის ყოველი ციკლის/ჯგუფის დასრულების შემდგომ ხდება ფაქტობრივი ბიუჯეტის შედგენა ჯგუფში სტუდენტთა ფაქტობრივი რაოდენობის მიხედვით. ფაქტობრივი შედეგები დარდება საპროგნოზო ბიუჯეტს და ხდება გადახრების გაანალიზება, რაც შესაძლოა გახდეს პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტის კორექტირების საფუძველი.

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ბიუჯეტი რეალისტურად არის გაწერილი და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.2.1.7 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროგრამა „ფარმაცია“;
- „ფარმაციის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- პროგრამის ხელმძღვანელის რეზიუმე;
- „სწავლა-სწავლების პროცესის საგანმანათლებლო რესურსებით უზრუნველყოფის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით სარგებლობის წესი“
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA“ -ის ბმული - https://www.sms.sba.ge/custom-links;
- „პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის - სერვისების შეფასების ანგარიში“;
- პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებლებებთან გაფორმებული ხელშეკრულებება;
- სასწავლო გეგმა;
- პროგრამის განმახორციელებლებთან გაფორმებული წინარე ხელშეკრულებები და პირადი საქმეები;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებაში მოქმედებს ხარისხის უზრუნველყოფის ციკლი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება. ხარისხის უზრუნველყოფის საკითხები რეგულირდება დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 13 ოქტომბრის N00000237 ბრძანებით (ბოლო ცვლილება 24.07.2025 N13803 ბრძანება) დამტკიცებულ „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესით" და 2025 წლის 26 მარტის რექტორის №4228 ბრძანებით დამტკიცებული „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესით". დაწესებულებაში პროგრამის შეფასების რამდენიმე მექანიზმი არსებობს: პროგრამის მონიტორინგი და შეფასების სისტემის ვერიფიკაცია; პროგრამის შუალედური შეფასება; დაინტერესებულ მხარეთა კვლევა; პროგრამის შეფასების ფორმის ანალიზი; ინფორმაციის სხვა წყაროები (სოციალური მედიით მიღებული უკუკავშირი). უზრუნველყოფილია პროგრამის პერიოდული შეფასება პროფესიული განათლების მასწავლებელთა, პროგრამის ხელმძღვანელებისა და კურსდამთავრებულთა უკუკავშირის საფუძველზე.
დაწესებულებამ წარმოიდგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების დოკუმენტები;

- პროფესიულ სტუდენტთა და მასწავლებელთა კმაყოფილების კვლევები;
- კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის ანალიზი;

პროგრამის განახლება ეფუძნება ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის შედეგებს, კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემებსა და დამსაქმებელთა შეფასებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. დაწესებულება მუდმივად ზრუნავს ხარისხის გაუმჯობესებაზე, რისთვისაც რეგულარულად ახორციელებს პროგრამებში სასწავლო, მატერიალურ-ტექნიკური და მისი განხორციელებისთვის საჭირო სხვა რესურსების შეფასებას.
დაწესებულებაში არსებობს მექანიზმი, რომლის საშუალებითაც ფასდება პროგრამის განხორციელების ხარისხი. კერძოდ, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ პროგრამების შემოწმებისას გამოვლენილი ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები მიმართულია როგორც პროგრამებში ცვლილების განხორციელებისკენ, ასევე სასწავლო პროცესის წარმართვის გასაუმჯობესებლად. პროგრამის შეფასების შედეგები ეცნობება ყველა სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც საკუთარი

კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს რეკომენდაციების შესრულებას. შეფასების შედეგები განიხილება დაწესებულების მენეჯმენტთან და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილებები. დაწესებულება, კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე. .

კანონმდებლობით მინიჭებული შესაძლებლობების ფარგლებში, აკადემია მუდმივად ზრუნავს საგანმანათლებლო პროგრამების დახვეწასა და დარგის საჭიროებებთან მათ შესაბამისობაზე. ამის ნათელი დასტურია 2021 წელს, აკადემიის ფარმაციის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტში განსახორციელებელი ცვლილებების ინიცირება. აღნიშნული ცვლილებების დასაბუთება წარედგინა სსიპ ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია, პდს აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი“ ;
- „აკადემიის მიერ დაინტერესებულ მხარეთა კმაყოფილების კვლევის ჩატარების წესი“;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაციის“ სასწავლო გეგმა შედგენილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისათვის პროგრამის კომპონენტებით განსაზღვრული წინაპირობების დაცვით. პროფესიული სტუდენტების კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს, სასწავლო გეგმაში დაცულია მოდულებზე განმეორებითი და შუალედური შეფასებისთვის გონივრული დროის შუალედი. მეცადინეობის განრიგები შემუშავებულია სასწავლო გეგმების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია და განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას. ექსპერტთა შეფასებით პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმების შესაბამისად და სასწავლო პროცესი ხორციელდება დადგენილი ნორმების დაცვით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ განსაზღვრულია პროფესიული სტუდენტების ინტერესების გათვალისწინების საჭიროების შემთხვევები. მაგალითად, თითოეულ პროგრამას ჰყავს საკუთარი კოორდინატორი, რომელიც იკვლევს სტუდენტების საჭიროებებს და ხელს უწყობს მათ ადაპტირებას სასწავლო პროცესში. ასევე დაწესებულება მოქნილად რეაგირებს წარმოქმნილ საჭიროებებზე, რისთვისაც მას გააჩნია არაერთი მექანიზმი: საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება; ინდივიდუალური მეცადინეობები; ცალკეული სტუდენტებისთვის/სტუდენთა ჯგუფისთვის შეფასების დისტანციურ ფორმატში ორგანიზება კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში ასევე რეგულირდება, პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა. პროფესიული სტუდენტებს აქვთ მობილობის უფლება, რომლის მექანიზმებიც გაწერილია წესში. დაწესებულებაში შემუშავებული ვერიფიკაციისა და შეფასების სისტემები ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების ობიექტურ შეფასებას. ექსპერტებთან გასაუბრებისას დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ დაწესებულება მოქმედებს ყველა არსებული რეგულაციის შესაბამისად და სასწავლო პროცესის ორგანიზებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს პროფესიული სტუდენტების საჭიროებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. ვიზუალური დათვალიერებით და შესაბამისი დოკუმენტების გაცნობით დგინდება, რომ სწავლება მიმდინარეობს თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილ გარემოში, შესაბამისი სალექციო, სადემონსტრაციო ტექნოლოგიების და მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენებით, რაც მასწავლებლებს საშუალებას აძლევს ინოვაციური მიდგომები გამოიყენონ სწავლების პროცესში. მოდულებში გაწერილია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორიცაა - პრეზენტაცია, ტექნიკური უნარის დემონსტრირება, პრობლემების განხილვა-გადაჭრა, კეთება ინსტრუქტაჟით. ექსპერტთა შეფასებით სწავლების მეთოდები არის თანამედროვე, დარგის სპეციფიკასთან თავსებადი და სტუდენტთა პრაქტიკულ განვითარებაზე ორიენტირებული. ზემოაღნიშნული დასტურდება პროგრამის ხელმძღვანელის, პროფესიული განათლების მასწავლებლების, პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით. პროგრამის განხორციელებისათვის დაწესებულებას შესყიდული აქვს და აქტიურად იყენებს სასწავლო მიზნებისათვის სენსორულ დაფას, თანამედროვე მოწყობილობებს, აპარატურას და ინვენტარს, რითაც დასტურდება სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენება.ფარმაციის პროგრამის განმახორციელებელი პირების უმეტესობა დარგში მოქმედი სპეციალისტია, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს სწავლების პროცესში დარგის თანამედროვე მიდგომების დანერგვას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.3 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. დაწესებულების წარმომადგენლებსა და პროფესულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება ჯგუფების დაკომპლექტების, სწავლის შედეგების მიღწევის მიდგომებისა და მეთოდოლოგიის განსაზღვრისას ითვალისწინებს პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. დაწესებულების მხრიდან წარმოდგენილი იქნა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მაგალითები, რომლის საჭიროებაც, სტუდენტის მობილობის, სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემდგომ წელიწადში 5-10-ჯერ შეიძლება დადგეს. ექსპერტთა მიერ მაგალითების შესწავლისა და გასაუბრების შედეგების გათვალისწინებით დადგინდა, რომ დაწესებულებისთვის მნიშვნელოვანია სტუდენტთა საჭიროებები. დაწესებულებამ წარმოადგინა მობილობის და სტატუსის აღღდგენის პროცესების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დასტუდება რომ პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვით დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ახორციელებს სასწავლო პროცესს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.4 დაკმაყოფილებულია, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

5. სასწავლო დაწესებულება, პარტნიორი ორგანიზაციების შერჩევისას ხელმძღვანელობს „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად. დაწესებულებას პროფესიული პროგრამის „ფარმაცია“ საწარმოო პრაქტიკის განხორციელების ფარგლებში, გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შ.პ.ს პსპ ფარმასთან, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება არანაკლებ პროგრამის განხორციელების ვადით და კანონმდებლობით მოთხოვნილი სხვა პირობების გათვალისწინებით. თანაგანმახორციელებელი დაწესებულებების შერჩევა ხდება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესის“ (SBA-REG019) შესაბამისად (დანართი 3). რაც შეეხება პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებას, მისი დაგეგმვა და მიმდინარეობა რეგულირდება „სასწავლო პროცესის მართვის წესით“ (SBA-REG-018) (დანართი 22). ამ პროცესის კოორდინაციას კი პრაქტიკის კოორდინატორი უზრუნვრლყოფს.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.5 დაკმაყოფილებულია, დაწესებულების თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით/ხელშეკრულებით.

6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ფარმაციის პროგრამის დარგობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, შრომის უსაფრთხოების მოთხოვნებში ცვლილება არ განხორციელებულა და დამატებითი სპეციფიკური პირობების დაცვა საჭირო არ არის. აკადემიაში დაცულია ლაბორატორიული უსაფრთხოების მაღალი სტანდარტები. შემუშავებულია ქიმიურ, ბიოლოგიურ და ტექნოლოგიურ ლაბორატორიებში უსაფრთხოდ მუშაობის წესები, რომლებიც თვალსაჩინო ადგილზეა განთავსებული. გარდა ამისა, უზრუნველყოფილია ლაბორატორიაში მასალა-ნედლეულის შენახვა და გამოყენება უსაფრთხოების, ჰიგიენური და გარემოსდაცვითი მოთხოვნების დაცვით. განსაზღვრული პასუხისმგებელი პირების ჩართულობით უზრუნველყოფილია რესურსების მიზნობრივი და რაციონალური გამოყენება, რაც ამცირებს როგორც არასათანადო მოხმარების, ისე სასწავლო პროცესის შეფერხების რისკებს. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები უზრუნველყოფენ რესურსების გამოყენებას სწავლების მიზნების შესაბამისად და საჭიროების შემთხვევაში ახდენენ მათი გამოყენების ადაპტაციას სასწავლო პროცესის დინამიკისა და სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით.
ამასთან, აკადემიაში დადგენილია სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის რეგულაცია (მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესი), რაც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი პასუხისმგებლობის დაცვას და უსაფრთხო სასწავლო გარემოს შენარჩუნებას. მასალა-ნედლეულის გამოყენების სრული ციკლი-მიწოდებიდან უტილიზაციამდე -ორგანიზებულია ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა და პრაქტიკული კომპონენტების ხარისხიანი განხორციელება.

ამასთან, კოლეჯში დანერგილია ქიმიური ლაბორატორიული ცდების ჩატარების ახალი, ინოვაციური მიდგომა თითოეული ცდისთვის მზა პაკეტების შეძენის გზით ხელშეკრულების საფუძველზე, რომლითაც კოლეჯი ახდენს ნარჩენების მინიმიზაციისა და ზუსტად იმ ოდენობის ცდებისთვის ქიმიური რეაქტივების შესყიდვას, რაც ესაჭიროება სასწავლო პროცესში.
ზემოაღნიშნული პრაქტიკა ადასტურებს, რომ აკადემიაში არსებული საგანმანათლებლო და მატერიალური რესურსები ფუნქციურად უკავშირდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებს და ეფექტიანად უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების მიერ პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.1.6 დაკმაყოფილებულია, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი“
- „სასწავლო პროცესის მართვის წესი“
- საგანმანათლებლო პროგრამის „ფარმაცია“ სასწავლო გეგმა;
- კალენდარული გეგმები;
- ინდივიდუალური გეგმები;
- პრაქტიკის განმახორციელებელ კომპანიებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები;
- პარტნიორი ორგანიზაციის წარმომადგენლებთან ინტერვიურების შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის დოკუმენტში (დამტკიცებულია 2020 წლის 24 მარტს, დირექტორის №031 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 10.09.2025 რექტორის ბრძანება №16700) გაწერილია პროფესიული სტუდენტის შეფასების პროცესი, რომლის თანახმადაც ნებისმიერი შეფასების ფორმატი უნდა აკმაყოფილებდეს ვალიდურობის, სანდოობის, გამჭვირვალობის, სამართლიანობის და ობიექტურობის პრინციპებს. პროფესიული სტუდენტებისთვის არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასება. შეფასების კრიტერიუმები განსაზღვრულია მოდულის შესაბამისად და იგი წინასწარ არის ცნობილი პროფესიული სტუდენტებისთვის. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს/შეიმუშავებენ მოდულის განმახორციელებელი პირ(ებ)ი. მოდულის განმახორციელებელი პირის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების წარმოდგენისა და შეფასების განხორციელების განრიგს შეიმუშავებს სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, მოდულის განმახორციელებელი პირი უფლებამოსილია შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების

პროცესში ჩართოს დარგის სხვა სპეციალისტი. მოდულის განმახორციელებელი პირი მის მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტების პროექტებს წარუდგენს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს. მოდულის სწავლებისას, განმსაზღვრელი შეფასების უარყოფითი შედეგის მიღების ან შეფასებაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში: ა) თუ აღნიშნული მოდული წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებითი/დამატებითი შეფასება. ხოლო, ბოლო სწავლის შედეგის განმეორებითი/დამატებითი შეფასების მოთხოვნის უფლება აქვს პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს. ბ) თუ აღნიშნული მოდული არ წარმოადგენს სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობას, სტუდენტს უფლება აქვს მოდულის ბოლო სწავლის შედეგის განმსაზღვრელ შეფასებამდე, ან პროგრამის სასწავლო გეგმის მიხედვით განსაზღვრულ დროს, ან პროგრამის დასრულებამდე მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის განმეორებით/დამატებით შეფასება დაწეებულების მიერ განსაზღვრული სხვა მარეგულირებელი აქტების შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითობის პრინციპით გამოთხოვილი იქნა შეფასების ინტრუმენტები და მტკიცებულებები. შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ ინსტრუმენტის შინაარსი შეესაბამებოდა შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით გაწერილ წესებს, დავალების მოცემულობა შესაბამისობაში იყო შეფასების კრიტერიუმებთან და სრულად აფასებდა სწავლის შედეგის მიღწევას.

ექსპერტების მიერ შერჩევით გადამოწმდა შეფასების ინსტრუმენტები, ასევე პროფესიული სტუდენტების მიერ შესრულებული დავალებები. აღნიშნული ინსტრუმენტები არის სრულყოფილი და შეესაბამება სწავლის შედეგებს. დავალებებიც შესრულებულია მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ისინი იცნობენ შეფასების სისტემას, მათთვის ყოველთვის წინასწარ არის ცნობილი შეფასების თარიღი და შეფასების კრიტერიუმები, იციან, რომ აქვთ განმეორებითი გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა და ასევე იცნობენ შედეგების გასაჩივრების მექანიზმებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.1 დაკმაყოფილებულია, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.

2. "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი" (თავი III) მოიცავს პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ვერიფიკაციას. დოკუმენტის თანახმად, ვერიფიკაცია შეფასების სისტემის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმია, რომელიც გამოიყენება შეფასების ინსტრუმენტის, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულების, შეფასების სისტემის მიმართ ავტორიზაციის სტანდარტებით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. შეფასების სისტემის მიმართ დადგენილი მოთხოვნებია: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭვირვალეობა, სამართლოანობა, ობიეტურობა. ვერიფიკაცია ხორციელდება: სამსახურის ორგანიზებით; პროგრამის შემოწმების ფარგლებში; ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შერჩეული ვერიფიკატორის ან საჭიროების შემთხვევაში - ვერიფიკაციის ჯგუფის მიერ.

ვერიფიკაციისას შეფასების ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების შერჩევისას მხედველობაში მიიღება: ა) ვერიფიკაციის პროცესის ადმინისტრირებისათვის არსებული რესურსი და შესასრულებელი სამუშაოს მოცულობა; ბ) რისკების ანალიზის შედეგები, სადაც გაითვალისწინება შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობა, რაც შესაძლოა გამოწვეული იყოს დამწყები მასწავლებლის ფაქტორით, პრაქტიკული დავალებების სიმრავლით, ერთი ინსტრუმენტით ერთდროულად შესაფასებელი სწავლის შედეგების რაოდენობით და სხვა.

პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, შუალედური შეფასებისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნას: ა) თეორიული შეფასება; ბ) პრაქტიკული უნარების დემონსტრირება; გ) პროექტის პრეზენტაცია; დ) სიტუაციის განხილვა და ანალიზი; ე) სხვა შესატყვისი მეთოდები ან მათი კომბინაცია.

„ფარმაცია" პროგრამის მონიტორინგის საფუძველზე, ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავდა და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაციები.

ექსპერტების მიერ მოხდა განხორციელებული ვერიფიკაციის მასალების გადამოწმება, წარმოდგენილ იქნა ვერიფიკაციის ჯგუფის ბრძანება, ჯგუფის სამუშაო მასალები, დასკვნები და რეკომენდაციები, რომელთა საფუძველზე გაუმჯობესდა რიგი შეფასების ინსტრუმენტები.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.2 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. დაწესებულების „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესის“ შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის შეფასების შედეგები ფორმდება უწყისით; „შეფასების მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება მოდულის განმახორციელებელ პირს/შემფასებელს; შეფასების მტკიცებულება წარმოადგენს სტუდენტის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან/და ელექტრონული სახით არსებულ დადასტურებას, რომელიც განსაზღვრულია მოდულის მესამე ნაწილში; შეფასების მტკიცებულებები უზრუნველყოფს სტუდენტის იდენტიფიცირების საშუალებას; შეფასების მტკიცებულებები (მონაცემები, ინფორმაცია, არტეფაქტები, ფოტო და ვიდეო გამოსახულებები, აუდიო ჩანაწერები და სხვ.) აღირიცხება და შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით ინახება საამისოდ განკუთვნილ ადგილას; მტკიცებულება შესაძლებელია დაცული იქნეს როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით; შეფასების მტკიცებულებები აღირიცხება სტუდენტის მიხედვით იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს მტკიცებულებათა სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში მათი მიკვლევა; შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის შემდეგ შეფასების მტკიცებულებების განკარგვა ხდება აკადემიის ერთიანი საქმისწარმოების ინსტრუქციით“. შეფასების უწყისები სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება სასწავლო პროცესის მართვის სამსახურში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა დაწესებულების არქივს, აღირიცხება სპეციალურ რეესტრში და ინახება უვადოდ. ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა არსებული შეფასების უწყისები და მტკიცებულებები, შედგა გასაუბრება პასუხისმგებელ პირებთან და დადასტურდა ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.3 დაკმაყოფილებულია, დაწესებულება უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4.დაწესებულებაში სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი დარეგულირებულია „პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესით“. ამასთან, სტუდენტებისათვის შეფასების შედეგების უკუკავშირის მიცემის საკითხები ასახულია პროფესიული განათლების მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში. დაწესებულებაში პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობისა და უკუკავშირის მიცემის პროცესი უზრუნველყოფილია: შედეგების ინდივიდუალური გაცნობით; განმავითარებელი შეფასებებით და კონსულტაციებით; სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემით „ჩემი SBA“.

პროფესიულ სტუდენტებს შედეგები ეცნობებათ ინდივიდუალურად, პროფესიული განათლების მასწავლებელის ან სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ. სწავლების მთელი ციკლის მანძილზე, მოდულის განმახორციელებლები ატარებენ განმავითარებელ შეფასებებს. ეს მექანიზმი კი უზრუნველყოფს სტუდენტებისათვის უწყვეტი უკუკავშირის მიწოდებას, რაც ხელს უწყობს მათ პროგრესს, საჭიროების შემთხვევაში ტარდება დამატებითი კონსულტაციები, რათა სტუდენტებმა მიიღონ მიზნობრივი დახმარება და მხარდაჭერა. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგების გაცნობა ასევე შესაძლებელია** „ჩემი SBA“, რომელიც წარმოადგენს ელექტრონულ პლატფორმას სტუდენტებისათვის, მასწავლებლებისათვის და ადმინისტრაციული პერსონალისთვის, სადაც მოცემულია ინფორმაცია მეცადინეობის განრიგის, მოდულის სწავლის შედეგების დადასტურების, სასწავლო კალენდრის, მეცადინეობებზე დასწრების აღრიცხვისა და საგანმანათლებლო რესურსების შესახებ.

დაწესებულებაში შეფასების შედეგების ანალიზი, სტუდენტისთვის ინდივიდუალური უკუკავშირი და მიღწევების სტატისტიკური დამუშავება შიდა რეგულაციებით გათვალისწინებული კონფიდენციალობის დაცვით ხორციელდება. ექსპერტებთან გასაუბრებისას, პროგრამის განმახორციელებელი პირების განმარტებით, სასწავლო პროცესში გამოიყენება განმავითარებელი შეფასება, რომელიც პროფესიული განათლების მასწავლებელს აძლევს საშუალებას, შეამოწმოს პროფესიული სტუდენტების ცოდნა/უნარები და შესაბამისად დაგეგმოს-გადაგეგმოს სწავლების პროცესი, ასევე მისცეს რეკომენდაცია პროფესიული სტუდენტს თუ რა კუთხით გააქტიუროს მუშაობა განმსაზღვრელი შეფასებისთვის. სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებიც ადასტურებს, რომ ისინი იღებენ პროფესიული მასწავლებლებისგან დროულ და მათთვის გასაგებ უკუკავშირს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ინდიკატორი 2.4.2.4 დაკმაყოფილებულია, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების წესი
- „ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა და წესი"
- ელექტრონული პლატფორმა „ჩემი SBA"
- ვერიფიკაციის შედეგები;
- გასაუბრების შედეგები.

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. ინფორმაცია იმ პროგრამ(ებ)ის შესახებ, რომლებსაც დაწესებულება განახორციელებს უკვე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტებისათვის, მილევად რეჟიმში

პროგრამის სახელწოდება	ლოგისტიკა/Logistics
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია ლოგისტიკაში/Secondary Vocational Qualification in Logistics
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0413
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA, რუსთავის გზატკეცილი N18-22, თბილისი, 0114, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	34
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	122
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	69
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	152
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99

პროგრამის სახელწოდება	ფინანსები/ Finance
პროფესიული განათლების დონე	მესამე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია საფინანსო სერვისებში / Basic Vocational Qualification in Finance Services
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0412
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA, რუსთავის გზატკეცილი N18-22, თბილისი, 0114, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	32
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	62
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	77

პროგრამის სახელწოდება	ბუღალტრული აღრიცხვა/ Accounting
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0411
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA, რუსთავის გზატკეცილი N18-22, თბილისი, 0114, საქართველო
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური
აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, განხორციელების ფორმის შესაბამისად, მათ შორის, ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში)	42
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	99
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	-
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	129

ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

24.02.2026

თარიღი